
გლობალიზაცია და ბიზნესი

№5

GLOBALIZATION & BUSINESS

www.eugb.ge



ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2018 თბილისი TBILISI

გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION AND BUSINESS

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები
გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
თეორია და პრაქტიკა

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

Actual Problems of Economy and
Business in Modern Globalization
Theory and Practice

თბილისი
TBILISI
2018

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL OF THE FACULTY OF BUSINESS AND TECHNOLOGY AND THE INSTITUTE OF RESEARCH OF ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS OF GLOBALIZATION OF THE EUROPEAN UNIVERSITY

ISSN 2449-2396

განათლება, ტექნოლოგიები, ინფორმაცია, კომუნიკაცია და ტურიზმი გლობალიზაციის პირობებში

EDUCATION, TECHNOLOGIES, INFORMATION, COMMUNICATION AND TOURISM IN TERMS OF GLOBALIZATION

თეორია, მეთოდოლოგია და სისტემური პრობლემები

THEORY, METHODOLOGY AND SYSTEMIC PROBLEMS

ეკოლოგიური გამოწვევები საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში

დემურ ჩომახიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
d.chomakhidze@gnerc.org

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.001

დავით ნარმანია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
davit.narmania@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, ენერგორესურსები, გარემოს დაცვა, კიოტოს პროტოკოლი, ელექტროსადგური

საზოგადოების ინტერესები და ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ეკოლოგიური საკითხები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. საზოგადოებისათვის სულერთი არ არის, თუ როგორ მიიღწევა მისი ენერგეტიკული უზრუნველყოფა. საზოგადოებას ისიც აინტერესებს, თუ როგორ გარემოში მოუწევს ცხოვრება მას და მის მომავალს. ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე, ნებისმიერ პროექტს ჩაშლა ემუქრება, რაგინდ წარმატებულიც არ უნდა იყოს იგი. ეს ნათლად დაადასტურა საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში საზოგადოების მწვავე პროტესტის გამო შეჩერდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ობიექტის – ხუდონიჰესის მშენებლობა, ხოლო 2002 წლის მიწურულს, აქციების ფონზე მიმდინარეობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის უკომპრომისო განხილვაა.

გარემოსდაცვითი პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში, რომელთა ჯგუფში ახლა საქართველოც მოიაზრება. მიგვაჩნია, რომ საკითხის გადაჭრის დროს საჭიროა გამოვიყენოთ რაციონალურად დაბალანსებული მიდგომა გარემოს დაცვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ამასთან დაუშვებელია ისეთი მაქსიმალისტური ეკოლოგიური მოთხოვნების წინა პლანზე უკომპრომისოდ დაყენება, რომლებიც დასაწყისშივე კრძალავენ ყოველი ეკოლოგიური ვნების მომტან ტექნიკურ პროექტს.

ენერგეტიკა კი ბუნების დაბინძურებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი დიდი რაოდენობით ხარჯავს წიაღისეულ ნედლეულს, მტკნარ წყალს, ატმოსფერულ ჟანგბადს, სახეს უცვლის ლანდშაფტს, აჭუჭყიანებს ჰაერს და წყლის აუზებს ორგანული სათბობის წვის პროდუქტებითა და ტექნოლოგიური პროცესების ნარჩენებით, გამოჰყოფს დიდი რაოდენობით დაბალპოტენციურ თბურ ენერგიას, ხშირად ერთი რომელიმე პროდუქციის მოპოვებისა და წარმოების დროს ნაწილობრივ ან მთლიანად უვარგისი ხდება ნიადაგის შრეები, უარესდება ჰიდროგეოლოგიური რეჟიმი. ჭუჭყიანდება წყალი და იზრდება ეროზიის ზემოქმედება, მცირდება მოსავლიანობა, ხმება და იღუპება ნარგავები, მცირდება მერქნის ნაზარდი და ა.შ. ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშში, წლების განმავლობაში იწვევს შექმნილი ბუნებრივი კომპლექსის რღვევასა და მოსპობას.

წლების მანძილზე საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად ყოფილ სსრ კავშირში, ენერგეტიკული კომპლექსის ობიექტებზე პასიური ეკოლოგიური პოლიტიკა ტარდებოდა, თუმცა ფორმალურად ბუნების დაცვის საკითხები უკვე 1968 წლიდან სისტემატიურად განიხილებოდა უმაღლეს დირექტიულ ორგანოებში და თანმიმდევრობით გამოდიოდა ამ საკითხებზე სხვადასხვა დონისა და ხასიათის დადგენილება. რეალურად კი, საქმე თანდათან უარესდებოდა.

ენერგეტიკა და, პირველ რიგში, ელექტროენერგეტიკა წყლის მნიშვნელოვანი მომხმარებელია. ჩვენი თბოელექტროსადგურები წლების განმავლობაში დაახლოებით მილიარდ კუბურ მეტრ წყალს მოიხმარენ; მათ შორის სამ მილიონზე მეტს _ დაუბრუნებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ყოველი ათასი კვტსთ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე მოიხმარებენ 82 კუბურ მეტრ წყალს, აქედან დაუბრუნებლად – 0,22 კუბურ მეტრს.

საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსში, ბოლო წლების მონაცემებით, წყლის აღებამ 691,8 მლნ კუბ.მ., ხოლო გამოყენებამ 664,3 მლნ კუბმ შეადგინა. ეს კი შესაბამისად 64,2 და 57,3 პროცენტი იყო ჩვენი მრეწველობის და 18,1 და 21,3 პროცენტი მთელი ეკონომიკის ანალოგიური მაჩვენებლისა. კომპლექსის წილად მოდის ქვეყანაში დაბინძურებული წყლების 1,3 %, მაჩვენებელი გაცილებით მეტია მრეწველობის მიმართ – 5,2%.

დედამიწაზე არსებული ყველა სახის ენერგიის წყაროებიდან საქართველოში უმრავლესობაა წარმოდგენილი. ქვეყანას აქვს ჰიდრორესურსები, ნახშირი, ტორფი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, თერმული წყლები, კარგი პერსპექტივებია ქარის, მზის, ბიომასისა და თერმული წყლების ენერგიების გამოყენებისათვის.

აღნიშნულთაგან ფასდაუდებელ სიმდიდრეს წარმოადგენს ჰიდროენერგეტიკული რესურსები, ქვეყნის ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული რესურსები 80, ხოლო ეკო-

ნომიკური ჰიდრორესურსები 40 მლრდ. კვტ. სთ-ია. დღეისათვის კი ტექნიკური რესურსების მხოლოდ 12%-მდეა ათვისებული და მათი ათვისება, ცხადია, გრძელდება. განსაკუთრებით მწვავედ დგას გარემოს დაცვის პრობლემები ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების დროს. ცნობილია, რომ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი სჭირდება ენერგეტიკის, განსაკუთრებით ჰიდროელექტროენერგეტიკის განვითარებას. ეს საკითხი, პირველ რიგში, აქტუალურია მცირე მიწიანი რაიონებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის. ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე მოდის დაახლოებით 1,43 ჰა მიწის საერთო ფართობი; 0,64 ჰა – სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,15 ჰა – სახნავი, ეს კი ძალიან მცირეა და მაშინ ყოფილი სსრ კავშირის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 17,1%; 28% და 17,7% შეადგენდა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჰიდროელექტროსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგია ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, ვიდრე ნახშირით, მაზუთით ან თუნდაც ბუნებრივი გაზით მომუშავე თბოელექტროსადგურებზე. მიგვაჩნია, რომ ჰიდროენერგეტიკაში ეკოლოგიური საკითხების წინ წამოწევა ძირითადად დიდი წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობამ განაპირობა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წყალსაცავიანი ჰესი გამოიმუშავებს ყველაზე ძვირად ღირებულ ჰიკურ ენერგიას. იგი უზრუნველყოფს წყალდიდობის და წყალმოვარდნების დროს წყლის შეკავებას და ამ პროცესების შედეგად ბუნებაზე და ელექტროენერგიის მომხმარებლებზე მიყენებული ზარალის მინიმიზაციას. გარდა ამისა, შესაძლებელია წყლის კომპლექსური გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა, მისი მოხმარება როგორც ენერგიის საწარმოებლად, ისე ირიგაციისა და წყალმომარაგების საჭიროებისთვისაც.

ამასთან საქართველოს პირობებში სახეზე გვაქვს ისეთი ნეგატიური შედეგები როგორიცაა წყალსაცავიანი ჰესების (განსაკუთრებით დაბლობში მოწყობილი) მიერ მიწების დიდი ფართობების დატბორვა, გარკვეულ არეალში კლიმატის ცვლილება, მდინარის ჩამონადენის რეჟიმის შეცვლა. ეს უკანასკნელი კი პრობლემებს უქმნის თევზების მიგრაციას, ხდება მდინარის კალაპოტის დამუშავება და სხვა. საქართველოში ჰესების მშენებლობას და ექსპლუატაციას დაახლოებით 1,5 საუკუნის ისტორია აქვს. პერიოდულად იცვლებოდა მათი გავლენა გარემოზე.

ახლა (2016 წ.) საქართველოში მოქმედებაშია დიდი და საშუალო ზომის 67 და 50-მდე მცირე სიმძლავრის (13 მგვტ-ზე ნაკლები) ჰიდროელექტროსადგურები. მუშაობს 4 თბოელექტროსადგური საერთო სიმძლავრით 913,2 მგვტ. ბალანსზეა მაღალი და საშუალო ძაბვის გადამცემი ხაზები საერთო სიგრძით 3265 კმ და 92 ქვესადგური დადგმული სიმძლავრით 102013 მგვტ. ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილის ფუნქციონირების პერიოდი 40 წელს აღემატება და ეკოლოგიური თვალსაზრისითაც ტექნიკურ გადაიარაღებას საჭიროებს.

ელექტროენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირებასთან ერთად საქართველოში მოიპოვება ნახშირი, ნედლი ნავთობი, გეოთერმული წყლები, ბიო საწვავი; მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იწარმოება ბუნებრივი გაზი, მზის, ქარის ენერგია.

ქვეყნის ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი. დიდი რაოდენობით შემოდის ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი გაზი. მთლიანობაში ქვეყანაში ენერგორესურსების ტრანსპორტირებას და მოხმარებას ზრდის ტენდენცია აქვს (იხ. ცხრილი 1), შესაბამისად ,,ეკოლოგიური ტვირთი'' თანდათან იმატებს.

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მთლიანობაში ახლა (2016 წ.) საქართველოს ტერიტორიაზე იწარმოება 1376,3 ათასი ტონა პირობითი სათბობის ენერგორესურსი და ქვეყნის გარედან შემოიტანება 2,7 -ჯერ მეტი ენერგორესურსი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუნებრივი გაზი (1,9 მლნ ტ.) და ნავთობპროდუქტები (1,5 მლნ ტ.).

ცხრილი 1. ენერგორესურსების წარმოება და ტრანსპორტირება საქართველოში (ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი

ენერგორესურსების დასახელება	საქმიანობის სახე	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2016 წ. %-2014 წ-თან
ნახშირი	წარმოება	121,5	124,2	120,4	99,1
	ექსპორტი	1,0	0,7	0,6	60,0
ნედლი ნავთობი	წარმოება	43,3	40,8	39,1	90,3
	ექსპორტი	52,0	155,0	18,4	35,4
	იმპორტი	_	135,3	_	_
ნავთობპროდუქტები	იმპორტი	1152,2	1382,5	1526,6	132,5
	ექსპორტი	16,0	83,6	108,2	676,3
	წარმოება	_	11,6	_	_
ბუნებრივი გაზი	იმპორტი	1825,3	2090,6	1885,3	103,3
	წარმოება	8,6	9,5	5,5	152,7
ჰიდროენერგია	წარმოება	716,7	726,9	802,2	111,9
ელექრტოენერგია	წარმოება სულ გვტ.სთ	10371,2	10592,5	11573,6	111,6
	იმპორტი	73,2	60,1	114,2	155,8
	ექსპორტი	52,0	56,7	121,1	232,8
გეოთერმული,მზის და სხვ. ენერგია	წარმოება	1,68	18,5	21,2	126,2
ბიოსაწვავი და ნარჩენები	წარმოება	456,0	399,0	387,9	83,4
სულ	წარმოება	1372,0	1330,4	1376,3	100,3
	იმპორტი	3229,4	3820,7	3735,1	115,6
	ექსპორტი	121,1	408,1	249,6	206,1

ასეთ პირობებში ენერგეტიკული კომპლექსის ნეგატიური გავლენა გარემოზე დიდია და, როგორც ითქვა, თანდათან იზრდება. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ახლა საქართველოში ჰესების მშენებლობის „ბუმია". 2010 წლიდან 2017 წლამდე ექსპლუატაციაში ეტაპობრივად შევიდა 18 ჰესი ჯამური დადგმული სიმძლავრით 174 მგვტ, ზრდის უფრო მეტი მასშტაბებია ნავარაუდები მომავლისათვის. ამ მხრივ ახალი „სიურპრიზებია" მოსალოდნელი ელექტროენერგეტიკიდან. როგორც ცნობილია, ეს დარგი წყლის მნიშვნელოვანი მომხმარებელია. მასზე მოდის ენერგეტიკის წყალმომარაგების ძირითადი ნაწილი, დიდი დაბინძურების დონე ჩამდინარე წყლებში. მდინარეებს აბინძურებს ნახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან ჩადენილი წყლებიც და ა.შ.

ვინაიდან ენერგეტიკული კომპლექსი გარემო პირობების დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, ამიტომ ენერგეტიკის ფუნქციონირება და განვითარება ბოლო პერიოდში მეტად მწვავე, ეკოლოგიურ პრობლემებს აწყდება.

ნარჩენების უტილიზაციის დაბალი ტემპებისა და მათი მასშტაბიდან გამომდინარე, ენერგეტიკული კომპლექსის უდიდეს და მწვავე ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს ნავთობმომპოვებელი ტერიტორიების ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურების საშიშროება.

სერიოზული პრობლემაა, აგრეთვე, ენერგომომპოვებელ და მწარმოებელ ტერიტორიებზე კომპლექსის საწარმოების საქმიანობის ნეგატიური ზეგავლენა. ამას ემატება ტექნოლოგიური პროცესების ეკოლოგიურად არადამაკმაყოფილებელი დონეები, ძირითადი მოწყობილობა – დანადგარების ფიზიკური და მორალური ცვეთა, გარემოს დაცვის და სტრუქტურის (გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთისა და შემცირების სისტემის) განუვითარებლობა.

პრობლემათა შორის სიმწვავით გამოირჩევა შელფის გაზ-ნავთობმოპოვების პროექტების ფართომასშტაბიანი განხორციელების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეკოლოგიის სფეროში ენერგეტიკის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს გარემო პირობებზე კომპლექსის დატვირთვის თანდათანობით შემცირება და საერთაშორისო ეკოლოგიურ ნორმებთან მიახლოება.

ენერგეტიკაში, ისე როგორც სხვა დარგებში, ეკოლოგიური პრობლემების თანდათანობითი გადაჭრა სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. „საქართველოს ენერგეტიკის" დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის 24 ივნისს დაამტკიცა, ხაზგასმითაა გათვალისწინებული გარემოს დაცვითი კომპონენტები: კერძოდ, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება. იგი გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებას, ადგილობრივ თემებთან კონსულტაციების გამართვას, შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მიზნით გათვალისწინებულია ენერგეტიკული კომპლექსის საქმიანობისა და პროდუქციის მიმართ ეკოლოგიური მოთხოვნილებების გამკაცრების მიზნით, ეკოლოგიურად მაღალი ეფექტურობის მქონე მეთოდების გამოყენება და ეკოლოგიურად სუფთა ენერგორესურსების წარმოება-მოხმარება. მცირენარჩენიანი, ან უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენების ეკონომიკური სტიმულირება. მათი დარღვევის შემთხვევაში, საკომპენსაციო ანაზღაურების სისტემის დაწესება. ასეთი კომპენსაციების ორგანიზაციის პრინციპის კანონით გამყარება და ეკონომიკური ანაზღაურების (მათ შორის პრევენციული ღონისძიებების სადაზღვეო ფონდები) ხასიათის მიცემა. ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ფულადი გადასახადების რაციონალიზაცია, მართვა და ეკოლოგიური დაზღვევის სამართლებრივი რეგლამენტირება;

– საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს, ეკოლოგიური მოთხოვნილების დაცვისადმი კონტროლის გამკაცრება და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის სისტემის სრულყოფა.

ენერგეტიკის ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

– სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად წარმოებისა და გამოყენებისათვის ენერგო და რესურსებდამზოგავი მცირე ნარჩენიანი ან უნარჩენო, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნა, გარემო პირობების დამაბინძურებელი გამონაფრქვევებისა და თბური გაზების შემცირება, საწარმოო ნარჩენების წარმოქმნისა და სხვა აგენტების მავნე ქმედებების შეკვეცა, აგრეთვე, ნარჩენების უტილიზაცია;

– გარემოსდაცვითი ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მათ შორის ნამწვი აირებიდან მავნე ნივთიერებების დაჭერა-გაუვნებელყოფისა და გამდინარე წყლების ნეიტრალიზაციისა და გაწმენდის, ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესებში დაბინძურებული და ეროზიული ნიადაგის რეკულტივაციის ტემპების გაზრდა და საწარმოო ნარჩენების მეორად ნედლეულად გამოყენება;

– ნავთობის თანმდევი გაზის რაციონალურად გამოყენების ეკონომიკური სტიმულირება, მისი ჩირაღდნებში დაწვის პრაქტიკის აღკვეთა (პირველ რიგში, ასეთი გაზის გამოყენებისათვის ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობების შექმნის ხარჯზე);

– როგორც ნახშირის გამოყენების პერსპექტივის განხორციელების პირობა, ნახშირის თბოელექტროსადგურსა და სხვა საწარმოებშიწვის ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა;

– ნახშირის ხარისხის გაუმჯობესება (მათ შორის გამდიდრების, გადამუშავების, ბრიკეტირებისა და სხვათა გამოყენება);

– შახტების მეთანის გამოყენება;

– ნავთობპროდუქტებისა და დამაბინძურებელი ნივთიერებების წვის პროდუქტების, გამონაბოლქვების, ნორმატიული ბაზის სრულყოფა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. გაუმჯობესებული ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მაღალხარისხიანი ძრავების საწვავის წარმოების ზრდა;

– ჰესების ფუნქციონირებით და მშენებლობით გამოწვე-

ული ეკოლოგიური ზარალის მინიმიზაციის პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;

– გარემოს დამცველი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების სერტიფიცირების სამუშაოთა ორგანიზაცია;

– გარემოს დაცვით სფეროში მომუშავე სპეციალისტების სწავლებისა და მომზადების ორგანიზაცია.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს თანამედროვე ეკოლოგიური მოთხოვნილებისა და სამეცნიერო–ტექნიკური მიღწევების დონის, აგრეთვე, ეკოლოგიური მონიტორინგის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებას; ეკოლოგიური უსაფრთხოების შესაბამისი პირობების დაცვას, ინვესტიცირების სტიმულირებასა და რეგლამენტირებას, ჰარმონიული საკანონმდებლო ბაზის შექმნას.

ენერგეტიკული კომპლექსის ეკოლოგიური სტრატეგია გამომდინარეობს ეკოლოგიის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობიდან და ჩამოყალიბებულია თანამედროვე ენერგეტიკის განვითარების გლობალური ხასიათის ინ პრობლემასთან მისადაგებით, რომლებიც გარემოს დაცვას უკავშირდება და რომელთა გადაჭრაც კაცობრიობის მდგრად მომავალს უზრუნველყოფს.

კიოტოს ოქმით (საქართველოში რატიფიცირებულია 1999 წლის ივლისში), გათვალისწინებული კლიმატის ცვლილებების ჩარჩო–კონვენციის განხორციელების რამდენიმე ფინანსური მექანიზმიდან, საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, უფლება აქვს ისარგებლოს: „სუფთა განვითარების მექანიზმით“ (CDM).

„სუფთა განვითარების მექანიზმი“ საქართველოს საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბოს ენერგოეფექტიანობის ამაღლებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების მზარდი ტემპით ათვისებაზე დამყარებული ენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი, მდგრადი სტრატეგია.

„სუფთა განვითარების მექანიზმის“ გამოყენებით საქართველო იღებს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ ნახშირორჟანგის (და სხვა თბური გაზების) ემისიების შემცირებით (სეკვესტრირებით), კიოტოს პროტოკოლის ეგიდით განვითარებულ ქვეყნებთან კოოპერირების გზითა და საბაზო მექანიზმებზე დაყრდნობით, განახორციელოს ქვეყნის ენერგოკომპლექსის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია; ეკონომიკისა და მუნიციპალური მეურნეობის ყველა სფეროში ენერგოეფექტიანობისა და ენერგოდაზოგვის ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარებით გადაწყვიტოს ეკონომიკური და გარემოს დაცვითი პრობლემები.

ჯერ–ჯერობით ჰიდრორესურსები საქართველოს მთავარი ენერგეტიკული სიმდიდრეა და ამ მიმართულებით აუცილებელია ეკოლოგიურ მოთხოვნათა სრულმასშტაბიანი გათვალისწინება. კერძოდ, საჭიროა:

– გაგრძელდეს ადგილობრივი ჰიდროენერგორესურსების ეკოლოგიურად და ეკონომიკურად ეფექტური ათვისება;

– კომპლექსური ჰიდროკვანძების მშენებლობა, რაც შესაძლებელს გახდის მდინარის ჩამონადენის დარეგულირებას და წყლის რესურსების გამოყენებას ირიგაციის, წყალმომარაგებისა და ენერგეტიკული მიზნებისათვის;

– ისეთი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენა და დაცვა, მდინარეებიდან მყარი ნატანის შემცირების გამო;

– შეძლებისდაგვარად ჰიდრომააკუმულირებული ელექტროსადგურების კომპლექსის მოწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. გველესიანი, დ. ჩომახიძე – საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები) თბ., 2011. 468 გვ.
2. ირ. ჟორდანია, თ. ურუშაძე, ნ. მირიანაშვილი, ო. ფარესიშვილი, დ. ჩომახიძე და სხვ. – საქართველოს ბუნებრივი რესურსები – თბ., 2015. 1166 გვ.
3. დ. ჩომახიძე – საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, სტატისტიკა, რეგულირება. თბ., 2014. გვ. 185.
4. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო – საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია 2016–2025. თბ., 2017. 56 გვ.
5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება – ენერგეტიკული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ქუთაისი, 2015. 5 გვ.
6. დ. მირცხულავა, დ. ჩომახიძედა სხვ. — საქართველოსენერგეტიკული სტრატეგია, თბ., 2004. 295 გვ.
7. საქართველოს სტატისტიკური კრებულები, 2000–2016წწ.
8. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბ., 1999წ.
9. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა – საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2017–2027წ. თბ., 2017. 254 გვ.
10. სემეკის წლიური ანგარიშები, 1999–2017 წწ.
11. ნ. სამსონია, დ. ჩომახიძე, გ. გუდიაშვილი – ეკონომიკა და მართვა ენერგეტიკაში. თბ., 2017. 250 გვ.
12. დ. ნარმანია, შ. მურღულია – დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების საქმიანობა, თბ. 2009.
13. თ. მურღულია, შ. მურღულია, დ. ნარმანია, ნ. ხადური – კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა, თბ. 2012.
14. საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, www.gnerc.org
15. ChomakhidzeD. – Energy balance of Georgia, ScienceDirect, 2017.
16. ChomakhidzeD., Georgia Energy Resources; Central Asian and the Caucasus 4 (46), 2007.
17. ChomakhidzeD.,Narmania D. - Synthetic Management of Energy and Ecology in Georgia, International Journal of Investment Management and Financial Innovations, 2018.

ECOLOGICAL CHALLENGES IN THE DEVELOPMENT OF GEORGIA ENERGY

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.001

DEMUR CHOMAKHIDZE
Academic Doctor in Economics, Professor,
Georgian Technical University,
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia
d.chomakhidze@gnerc.org

DAVID NARMANIA
Academic Doctor in Economics, Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
davit.narmania@tsu.ge

KEYWORDS: ENERGY, ENERGY RESOURCES, ENVIRONMENTAL PROTECTION, KYOTO PROTOCOL, ELECTRIC POWER STATION

SUMMARY

The article views environmental protection issues in the energy sector of Georgia. Trends of developing energy complex are discussed and assessed envisaging ecological requirements. It is indicated that energy complex is the most polluting one among the fields of material production. Focus in made on ecological problems of the land, including cultivable ones, water, climate and other fields. The Georgian experience is presented in respect with meeting these challenges. At the end, views are given for improving the situation. Points to be stressed are:

- Rational production and usage for energy resources, creation of energy recourse-conserving, low waste or no waste environmentally clean technologies, reduction of emissions, and thermal gases polluting an environment, decrease of harmful action of industrial and other waste and waste utilization;

- Construction and reconstruction of systems of protection of environment, including increase of rates of filtration and neutralization of natural substances in the exhaust gases, waste water, cleaning of ground polluted and damaged during construction and operation of energy facilities, and also usage of industrial waste as secondary raw material;

- Provision of economic incentives of rational use of casing-head gases, suppression of practice of their burning in their torches (first of all at the experience of creation of economically favorable conditions for use of such gases);

- Introduction of environmentally clean technologies of coal burning in thermal power stations and other enterprises, as a condition of coal use prospects;

- Improvement of coal fuel quality (including its enrichment, processing, bracketing etc.);

- Usage of mine methane;

- Growth of production of high-quality engine fuels appropriate to the European standards, improved for conformity with the requirements of the advanced legal base for polluting substances and exhaust gases emitted as a result of oil products combustion;

- Development and realization of the programs of minimization of environmental damage caused by construction and functioning of hydroelectric power stations;

- Organization of works of certification of environment protection technologies and means;

- Organization of experts training working in a sphere of an environmental protection.

გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება

მიხეილ თოქმაზიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისის ღია უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
m_tokmazishvli@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.002

საკვანძო სიტყვები: გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება

შესავალი

ეკონომიკის თეორიაში ტრადიციული ფუნდამენტური მიმდინარეობების ალტერნატივად განხილვას დღევანდელი რეალობა სულ უფრო მეტად არასაკმარისად მიიჩნევს და ადასტურებს მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებაზე აგებული კანონზომირებების ნაკლოვანებას, მათი ურთიერთობის კომპლექსურ ხასიათს, რომლის ახსნაც ტრადიციულ მიმდინარეობებს სრულად არ შუძლიათ. მიწოდება ქმნის მოთხოვნას, ხოლო ეს უკანასკნელი კი – მიწოდებას. მათი ორგანული ერთიანობა განმტკიცებულია ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარებით, რომელიც ვირტუალურად ამყარებს მაკროეკონომიკურ წონასწორობას და ადამიანების რაციონალური და ამასთანავე ირაციონალური ქცევების გზით არღვევს მას. ამ წინააღმდეგობრივ გარემოში ფინანსური კრიზისები და ეკონომიკის რყევების ცვლილებები ობიექტურ კანოზომიერ მოვლენად აღიქმება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დამოკიდებულება საფონდო ბირჟებზე და მონეტარულ ბაზრებზე განსაკუთრებით ძლიერია. იგი თავის რყევებს ჯაჭვურად გადასცემს დაბალგანვითარებულ ქვეყნებს, სადაც კვლავ მაღალია მოთხოვნა–მიწოდებაზე დაფუძნებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ქცევები.

გლობალური კრიზისის შემდეგ ქვეყნები მარადიულ სტაგნაციაში აღმოჩნდა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ნელა მიმდინარეობს. ძველი ტრადიციული მონეტარული მეთოდებით – ინფლაციითა და გაცვლით კურსის ცვლილებებით – მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის აღდგენა და მდგრადი განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა, ხოლო კეინსური მეთოდებით, მიწოდებაზე საბიუჯეტო ინტერვენციებით სტიმულირების ზრდა კი ლიმიტირებული რჩება.

ეკონომიკურ მეცნიერებას დღემდე უფრო მეტად შეეძლო მოვლენების განმარტება, ვიდრე პროგნოზირება. საკითხი ახალი ინდუსტრიული სტრუქტურული რეფორმების შესახებ მხოლოდ ახალ კითხვებს წარმოშობს.

ეკონომიკურ მეცნიერებას ახალი გამოწვევები დღეს სრულიად ახალ ამოცანას უყენებს. ეკონომიკური მეცნიერებისაგან მოითხოვენ ახალი ეკონომიკის შექმნას, რომელიც შეძლებს, ახსნას ყველა მოვლენა, ეკონომიკის წონასწორობის მდგრად უზრუნველყოფისათვის შეიმუშაოს ადეკვატური პრინციპები და ეკონომიკა დაუბრუნოს სახელმწიფოებრივ კონტროლს. ხდება ექლექტიკური მიდგომების გამოყენება, რომელიც აერთიანებს ისტორიულ, ლოგიკურ, ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ და სხვ. მიდგომებს. ყველაფერი იწყება თავიდან იმის ახსნით, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა და როგორ უნდა მუშაობდეს იგი. ეფექტიანი, გაწონასწორებული ეკონომიკის მოდელი არის დღევანდელი გამოწვევა და ამ მოდელს აქვს თავისი შეზღუდულობები.

თეორიული წინააღმდეგობები

კეინსური თეორია ამოდის იმ ფაქტიდან, რომ ერთობლივი მოთხოვნა განსაზღვრულია გამოშვების დონით. როცა ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, მცირდება გამოშვება და ფასები, სრული დასაქმება მცირდება ასევე და იგი ფასებთან ერთად შეუძლებელია დაუბრუნდეს თავის საწყის დონეს, თუ სახელმწიფო აქტიურად არ განახორციელებს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კომბინაციას ფასებისა და სრული დასაქმების აღდგენის მიზნით.

ნეოკლასიკური მაკროეკონომიკა კი სრულად განსხვავებულ პირობას ადგენს. იგი ამოდის ჟ.ბ. სეის კანონიდან, რომლის თანხმად, მიწოდება ქმნის მოთხოვნას და არავინ არ აწარმოებს ისეთ პროდუქტს, რომელზე მოთხოვნა არ შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს. შესაბამისად ჭარბწარმოება არ არის დამახასიათებელი ასეთი საზოგადოებისათვის. ეს თეორია თავდაპირველად კ. მარქსმა გააკრიტიკა, მას ბავშვური გულუბრყვილობა უწოდა და ჭარბი ზედმეტი ღირებულების თეორია შექმნა.

მარქსის თეორიის თანახმად, საქონელი ფულში გადადის და თუ საქონელი ფულში არ გადაიცვალა, იგი საქონელი არ არის. სეის თეორია კი მხოლოდ ნატურალური გაცვლითი ურთიერთობის პირობებში შეიძლება ყოფილიყო სამართლიანი, ხოლო როდესაც ქვეყანაში ფულის საყოველთაო საქონლის დიქტატურა დადგა, მაშინ ჟ. ბ. სეის კანონი მხოლოდ ბავშვური ბუტბუტი აღმოჩნდა და საბაზრო ეკონომიკის კრიზისებიც რეალობა გახდა. სეის კანონზე დაფუძნებული ნეოკლასიკური ეკონომიკა კი ეკონომიკურ მეცნიერებას ვერ სთავაზობს ეკონომიკური კრიზისებიდან გამოსავალს.

ნეოკლასიკური მაკროეკონომისტები, ისევე, როგორც მათი კლასიკური წინამორბედები, იწყებენ ერთობლივი მიწოდების სრული შესაბამისობით მოთხოვნასთან და დასაქმებასთან. რამდენადაც «მიწოდება ქმნის საკუთარ მოთხოვნას», ამიტომ ერთობლივი მოთხოვნა არ განსაზღვრავს გამოშვებას და საბაზრო უხილავი ხელი ინარჩუნებს სრულ დასაქმებას, ხოლო ფასები განიცდის დეფლაციას (ე.წ. რეალური ბალანსის ეფექტის მეშვეობით), რომელიც ზრდის მოთხოვნას და ამდენად ინარჩუნებს სრულ დასაქმებას.

მნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკურ განსხვა-

ვებებია კეინსსა და ნეოკლასიკურ მაკროეკონომისტებს შორის. დღეს ეს დებატები კვლავ აქტუალურია. კეინსელები ყურადღებას ამახვილებენ ბაზრის გაურკვევლობაზე (განსაკუთრებით ინვესტორთა ირაციონალურ გადაწყვეტილებებზე) და ხელისუფლების პოლიტიკის (განსაკუთრებით ფისკალური) მნიშვნელოვან როლზე, ხოლო ნეოკლასიკური მიმდინარეობები ხაზს უსვამს მიწოდებაზე (განსაკუთრებით ხისტიფასების ფაქტორზედა ხელფასებზე) და ბაზარზე სახელმწიფოს ჩაურევლობაზე, თუმცა არ უარყოფენ მონეტარულ პოლიტიკაზე ორიენტირების აუცილებლობას (David Ruccio, 2018: 3-5).

ამ ორ ფუნდამენტალურ მიმდინარეობას შორის არსებობს მსგავსებაც, რამდენადაც ორივე მიმართულება ეკონომიკის დაცემას ეგზოგენურ ფაქტორებს აბრალებს, უარყოფენ ბაზრის არასატაბილურ ბუნებას და წონასწორობას განიხილავენ როგორც ფუნდამენტურ ამოსავალ პუნქტს.

ეს რომ ასე არ არის,იგი 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა და საკითხი – შეეძლო თუ არა საბაზრო ავტომატურ სტაბილიზატორებს – ფასებსა და გამოშვებას ეკონომიკის წონასწორობაში მოყვანა, დღეს სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას.

თუ კეინსური თეორია ამოდის არასრული დასაქმებიდან, კლასიკური ეკონომია ემყარება სრულ დასაქმებას და ორივე შემთხვევაში აღიარებულია, რომ მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორები იწვევენ წონასწორობიდან გადახრას. სწორედ ამიტომ 2007-2008 წლის კრიზისების წინასწარმეტყველება გაუძნელდა ეკონომიკურ მეცნიერებას. ამას მრავალი მეცნიერი ადასტურებს. ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ მე-20 საუკუნეში რეცესიას და დეპრესიას 18-ჯერ ჰქონდა ადგილიდა ენდოგენურად მისი ახსნა ამ თეორიებმა ვერ შეძლეს ((David Ruccio, 2018: 3-5). დაშვება იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია სრული დასაქმების უზრუნველყოფა, აღმოჩნდა უტოპია ((David Ruccio, 2018: 3-5).

საეჭვოდ ჟღერს არგუმენტი, როლმის თანახმად, პოლიტიკოსების ჩარევა და არასწორი პოლიტიკა განსაზღვრავს წონასწორობის წერტილიდან გადახრებს და მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის საფუძველზე არის შესაძლებელი ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება.

დღეს საკმაოდ პოპულარული გახდა ფინანსურ არასტაბილურობაზე მსჯელობა. ამის შესახებ ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ სტაბილურობა არის არასატაბილურობა (Minsky, 2014). ასეთი ლოგიკით იგი დაეფუძნა ჰეგელის ლოგიკაზე დამყარებულ მარქსისტულ მეთოდოლოგიას, რომელიც დაპირისპირებული მხარეების ერთიანობას, იგივეობისა და განსხვავების, უარყოფის ურყოფის კანონზომიერებებს ასახავს. მაგალითად, ფული საქონელია, მაგრამ არც არის საქონელი. ღირებულება იგივე ფასია, მაგრამ არ არის ფასი. ხელფასი შრომის ანაზღაურებაა, მაგრამ არ არის შრომით შექმნილი ღირებულების ტოლფასი და ა.შ.

წონასწორობის მოდელი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ სტაბილურობას გამოხატავს, არის პრობლემა. ზოგიერთი ეკონომიკური კრიზისი, უეცარი ზრდა და დაცემა არის ეგზოგენური ფაქტორების, ნავთობის ფასის, ომების ან ინტერნეტის და სხვ. ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილი. ამის საწინააღმდეგოდ მინსკი წერს, რომ საბაზრო სისტემა მოიცავს შოკებს შინაგანად და ყოველი სტაბილური წონასწორობა შინაგანად ამზადებს მომავალ კრიზისებს (Minsky, 2014).

კ, მარქსის თეორია კაპიტალიზმის კრიზისულ განვითარებას წინასწარმეტყველებდა, რომელიც ამოდიოდა იმ გარემოებიდან, რომ არ არსებობდა წონასწორობა შრომით შექმნილ ღირებულებასა და ანაზღაურებას შორის. დღევანდელი ვითარება კი მეტყველებს იმაზე, რომ წარმოებულ ღირებულებასა და მოხმარებულ პროდუქტს შორის თანაფარდობა დროში არის განსხვავებული. მოხმარება წინ უსწრებს შექმნილ ღირებულებას. მომხმარებელს ვალის მეშვეობით შეუძლია ჯერ მოიხმაროს პროდუქტი, და შემდეგ აწარმოოს მისი ტოლფასი ღირებულება. საფონდო ბირჟებზე კი დივიდენდები და აქციების მზარდი ფასები მნიშვნელოვნად აჭარბებს წარმოების ზრდის ტემპებს. ამდენად მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობა ქრონიკულად არაწონასწორულ მდგომარეობაში ექცევა, რის შედეგადაც ფულის და ვირტუალური ფულის მასის წინმსწრები ტემპი გამოშვებასთან შედარებით სულ უფრო იზრდება და რაოდენობრივი ზრდის შედეგად თვისებრივ მდგომარეობა იცვლება კრიზისებით.

საკითხი რეგულაციებიდან დერეგულაციებისაკენ და უკან გახდა ერთ-ერთი კამათის საგანი. კარგი პოლიტიკა კვლავ გაურკვეველი დარჩა, რამდენადაც ფუნდამენტური თეორია უკვე პასუხს ვერ იძლევა არსებული ვითარების ახსნაზე, ხოლო ეკონომიკური ჩავარდნების მიზეზების პოლიტიკაზე გადაბრალება მხოლოდ პოლიტიკურ დატვირთვას აძლევს ეკონომიკურ მეცნიერებას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ყურადღება თანდათან მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკურ ფუნდამენტურ პრინციპების მიხედვით ანალიზზე, ნეოკლასიკურ სინთეზზე და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე გადავიდა.

ფასები და გამოშვება და მომხმარებელთა მოლოდინები და ქცევები ერთმანეთს უპირისპირდება, რის შედეგადაც კიდევ უფრი რთულდება ეკონომიკის წონასწორობის და სტაბილური განვითარების ხელისშემშლელი ფუნდამენტური მიზეზების და მისი სტაბილიზატორების განმარტებები.

მსოფლიო ფინანსური კრიზისთან ერთად აკადემიურ წრეებში და საზოგადოებრივ დებატებში ინტენსიურად დაიწყო ფუნდამენტური თეორიების კრიტიკა, რომელიც მანამდე შეზღუდული იყო. გამოვლინდა ეკონომიკური თეორიის ხელოვნური, უაზრო ან არარეალისტური ხასიათი, რამდენადაც თეორია ეკონომიკური რეალობისგან განსხვავებული აღმოჩნდა (Sebastian Thieme, 2018: 1). მეცნიერები აღიარებენ, რომ რამდენადაც ეკონომიკურმა თეორიამ და მაკროეკონომიკამ ვერ შეძლო გლობალური კრიზისის წინასწარმეტყველება, ამდენად იგი აღმოჩნდა კრიზისში და ჰეტეროდოქსული, ფუნდამენტური თეორიების ალტერნატივა გახდა შესაქმნელი. საჭირო იყო ღირებულებების, ინსტიტუტების და პოლიტიკის კომბინაცია,რომელიც ნეოლიბერალიზმის ტიპიური იქნებოდა (Bogusław, 2013: 8).

დაიწყო მსჯელობები ახალი ინსტიტუციური წესრიგის, გლობალური ბალანსის შესახებ, რომელიც გააერთიანებდა, ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალური და გარემოს დაცვით ასპექტებს. ამასთან, იმისათვის, რომ გაიზარდოს ეკონომიკური თეორიის წინასწარგანჭვრეტითი და ახსნითი ფუნქცია, დაისვა რეკომენდაციები, რომლის თანახმად, უფრო მეტად გამოყენებული ყოფილიყო ჰეტეროდოქსული მიდგომები, რომელიც ფინანსური ბაზრის ქცევებისა და მაკროეკონომიკური ეფექტების ერთობლიობას განასახიერებდა (Przesławska,2016:134-136).

მკვლევარები აღიარებენ, რომ ეკონომიკური თეორია, განსაკუთრებით „ჰეტეროდოქსული ეკონომიკა", ფუნდამენტური თეორიის (ნეოკლასიკური და კეინსური-თეორიების), იგივე ორთოდოქსული ნეოკლასიკური ეკონომიკის, საწინააღმდეგო მიმდინარეობაა. იგი, ნაცვლად ნეოკლასიკოსებისათვის დამახასიათებელი ინდივიდის რაციონალური ქცევებისა და საბაზრო წონასწორობის, როგორც კვლევის ამოსავალი პუნქტისა, ამოდის ინსტიტუტებისა და სოციალური სტრუქტურების მნიშვნელობიდან და ინსტიტუციური პოსტკეინსური (და არა ახალი კეინსური) ანარქისტული, სოციალისტური, მარქსისტული, ფემინისტური და სხვ. ეკონომიკების პლურალიზმიდან. ეს მეცნიერები გახდნენ ოქრთოდოქსული ეკონომიკის კრიტიკოსები. მათი მიდგომით, ყოველ ეკონომიკას აქვს თავისი სტილი და გამომდინარეობს კულტურული და სოციალური განვითარების ისტორიული პროცესებიდან, იმ როლიდან, რაც ბაზარს, სახელმწიფოს და არასაბაზრო ინსტიტუტებს აქვთ სოციალურ ურთიერთობებში. თუმცა მისი კრიტიკოსები აღიარებენ, რომ ეს თეორია ახსნის მოვლენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაუახლოვდება ფუნდამენტურ თეორიას (Lee, 2012: 340).

საინტერესოა, რომ მრავალ ქვეყანაში დაიწყო მოძრაობა ეკონომიკური პლურალიზმის დასანერგად ეკონომიკაში. ამის მაგალითია საერთაშორისო სტუდენტების მოძრაობა მას შემდეგ, რაც მსოფლიო გაეხვია გლობალურ კრიზისებში, მსოფლიოს სტუდენტთა 65 ასოციაციამ 30 ქვეყნიდან, გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელიც მოითხოვდა დებატების დანერგვას და პლურალისტური მიდგომის უზრუნველყოფას უნივერსიტეტებში[1].

ეკონომიკის თეორიული პარადოქსები

ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული მოვლენის ახსნა მრავალ პარადოქსს ეფუძნება. ისინი შეიძლება სამ ჯგუფად გავაერთიანოთ: 1. მაკროეკონომიკური ხასიათის პარადოქსები; 2. ქცევითი ხასიათის პარადოქსები და 3. საგარეო ფაქტორებზე (ეგზოგენურ პირობებზე) დამოკიდებული პარადოქსები.

კლასიკურ მაკროეკონომიკურ პარადოქსს მიეკუთვნება ღირებულების პარადოქსი, რომელიც ცნობილია როგორც ალმასის და წყლის პარადოქსი და გამოხატავს ღირებულების აღიარების წინააღმდეგობებს: წყალი უფრო მეტად სასიცოცხლოდ სასარგებლოა ადამიანისთვის, ვიდრე ბრილიანტები, მაგრამ ალმასებს ბაზარზე უფრო მაღალი ფასი ადევს. ამ პარადოქსის ახსნას ცდილობდნენ ადამ სმიტი, პლატონი, ჯონ ლოკი, და სხვ. ამ პარადოქსის ასახსნელად ადამ სმიტმა განასხვავა საცვლელი ღირებულება და სახმარი ღირებულება და აღნიშნა, რომ შესაძლებელია საგანს ჰქონდეს მაღალი სახმარი ღირებულება, მაგრამ მისი საცვლელი ფასი იყოს დაბალი და პირიქით (Smith Adam). ეს პარადოქსი სმიტმა გადაჭრა იმით,რომ საქონლის ფასი განსაზღვრა შრომისა და ფულის, როგორც წარმოების ფაქტორების დისპროპორციით და არა მომხმარებლის შეხედულებით. შემდგომში ეს თეორია მარჟინალიზმმა ზღრულ სარგებლიანობას დაუკავშირა და შენიშნა, რომ საქონლის რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება მისი სარგებლიანობა.

თუმცა ღირებულება ყოველთვის არ იყიდება და მას არ აქვს გაცვლითი ფორმა. ამას ადასტურებს ე.წ. კენეტ ეროუს პარადოქსი (Arrow information paradox), რომლის თანახმად, როდესაც მეწარმე უხსნის მომხმარებელს საქონლის ტექნოლოგიას, იგი გადასცემს მას ინფორმაციულ ღირებულებას, რომელიც არ იცვლება და არ არის კომპენსირებული ფულით (Arrow, 1962: 615). ამას ამტკიცებს სტიგლიცის ასიმეტრიული ინფორმაციის თეორიაც.

ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ გაცვლა არ არის მონეტარული ღირებულების გამოვლენის ფორმა. ამის შესაბამისად ღირებულება უფრი მეტია, ვიდრე ფულის ის რაოდენობა, რომელიც მას ასახავს.

ამ პარადოქსის განვითარებაა გიბსონის ცნობილი პარადოქსი, რომლის თანახმად, საპროცენტო განაკვეთი და ფასების დონე პოზიტიურ კორელაციაში არიან ერთმანეთთან (Alasdair Macleod, 2017). მის საწინააღმეგოდ კეინსი ლიკვიდურობის თეორიაში ამტკიცებდა, რომ სპეკულაციური მოთხოვნის პირობებში მათ შორის არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება და რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია სპეკულაციური მოთხოვნა ფულზე და პირიქით (Prateek Agarwal, 2018).

ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ფულის დაბალი ზრდა იწვევს ფასების ნელ ზრდას, მაგრამ ფულის დაბალი მიწოდება ნელა ზრდის სასესხო კაპიტალს და საპროცენტო განაკვეთს. თუ ეს დებულება მართალია, მაშინ ფულის დაბალი მიწოდება უნდა იწვევდეს ფასების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის ზრდას. დეპრესიის პერიოდში ფასები მცირდება, ხოლო საპროცენტო განაკვეთები კი იგივე რჩება.

კეინსი ამტკიცებდა, რომ საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია საერთო ფასებთან და არა ინფლაციასთან, ხოლო დღეს არავინ უარყოფს, რომ ეს განაკვეთი კორელაციურ დამოკიდებულებაშია ინფლაციასთან. ყოველივე აქედან გამომდინარე, ფულის მასა და ფასები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია, მაგრამ ფულის ღირებულება, რომელიც საპროცენტო განაკვეთით გამოიხატება და ფასები, რომელიც ფულშია გამოსახული, შესაძლებელია ერთმანეთის საპირისპირო მოვლენებს ასახავდეს.

[1] An international student call for pluralism in economics, http://www.isipe.net/open-letter/


ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამოვლინდა ჯევონსის პარადოქსში, რომლის თანახმად, ტექნოლოგიების ზრდასთან ერთად ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს რესურსების გამოყენებაზე მოთხოვნას (Bauer, Diana; Papp, Kathryn, 2009). თუ გარემოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ამ კანონზომიერებას მაკროეკონომიკურ ასპექტში გადავიტანთ, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეფექტიანობის ზრდასთან ერთად იზრდება ეკონომიკა, ხოლო მის რესურსებზე კი მოთხოვნა კიდევ უფრო სწრაფად. ამის ილუსტრაციაა ის, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ფულის, როგორც წარმოების სტიმულის რესურსების ზრდის ტემპი წინ უსწრებს ეკონომიკის ზრდის ტემპს. (იხ გრაფიკი 1).

ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე პერიოდში სულ უფრო იზრდება უკონტროლო ელექტრონული ფულის (კრიპტოვალუტების) გამოცემა, და მათზე მოთხოვნა, რაც მომავალში ეკონომიკასთან მიმართებაში როგორც რეალური, ასევე ვირტუალური ფულის ტემპების უპირატეს ზრდაში აისახება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა იმის მტკიცება, რომ ფულის ღირებულება მნიშვნელოვნად გადაიხარა საქონლისა და მომსახურებების ღირებულებების ზრდისაგან, რაც გამოვლინდა კიდეც 2009 წლის გლობალურ კრიზისში.

მაკროეკონომიკურ მეცნიერებაში წინააღმდეგობრივი მსჯელობები განსაკუთრებით დამახასიათებელია კეინსის დანაზოგების თეორიასთან მიმართებაში. დაზოგვის პარა-დოქსის თანახმად, შავი დღისთვის დანაზოგის ზრდა იწვევს საერთო მოთხოვნის შემცირებას. ამით მცირდება მთლიანი გამოშვება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკას. ანუ რაც მეტად ისწრაფვი განვითარებისაკენ მით უფრო ნაკლებად ვითარდები. ზრდა ეკონომიკურად საზიანოა. რეცესიის დროს დანაზოგების გაკეთება ამცირებს მოთხოვნას და იგი, თავის მხრივ, შეამცირებს დანაზოგებს. იგი დაკავშირებულია შემდეგ წინაღმდეგობრივ ქმედებებთან: ა/. დანაზოგების ზრდა მიმართულია არა დანაზოგების შექმნისაკენ, არამედ ვალების გადახდისკენ. ბ/. რეცესიის დროს დასაქმება მცირდება და ხელფასიც მცირდება. – ეს იწვევს დასაქმების სურვილის შემცირებას. რეცესიის დროს დასაქმება ამცირებს ხელფასებს, ამცირებს ფასებს და იწვევს დეფლაციური მოლოდინის გაჩენას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს დანაზოგების გაკეთების სურვილს, ამცირებს მოთხოვნას და დასაქმებას; გ/. ხელფასისა და ფასების მოქნილობა ხელს არ უწყობს რეცესიებისგან გამოსვლას ლიკვიდურობის ხაფანგის დროს, არამედ მას რეალურად ამწვავებს. ლიკვიდურობის ხაფანგის (სარგებლის განაკვეთის შემცირების დროს უპირატესობა ეძლევა ნაღდ ფულის გამოტანას) პირობებში დასაქმება და ხელფასების მოქნილობა ვალის დეფლაციის შოკის დროს (დეფლაცია და ვალი ორივე იზრდება) იწვევს ხელფასების და დასაქმების შემცირებას.

ეს ცალკეული შემთხვევები ადასტურებენ იმას, რომ ეკონომიკის კვლევა არ შეიძლება ერთაზროვანი იყოს და მას მრავალი ასპექტი გააჩნია, რომელთა ერთ ლოგიკურ

გრაფიკი 1



წყარო: მსოფლიოს ბანკის მონაცემთა ბაზა, https://data.worldbank.org/indicator/FM.LBL.BMNY.GD.ZS?view=chart

სისტემაში „დალაგების“ დეფიციტს დღეს უკვე მტკივნეულად განიცდის მთელი ეკონომიკური მეცნიერება.

რაციონალური ქცევების პარადოქსები ფართოდ არის ცნობილი და იგი მრავალ კითხვას ქმნის ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას. ჯერ კიდევ მე–15 საუკუნეში მეცნიერები აღნიშნავდნენ ნებასა და ქმედებას შორის განსხვავებას. ფრანგი ფილოსოფოსი ბურიდიანი (Buridan) შენიშნავდა, რომ ვირი არის თავისუფალი ნების პარადოქსი. ეს ეხება ჰიპოთეზურ სიტუაციას, სადაც ვირი, რომელიც თანაბრად მშიერია და მწყურვალია, მდებარეობს ზუსტად თივისა და წყალს შორის შუა ნაწილში. ამ პარადოქსის მიხედვით, ვირი მიუახლოვდება იმას, რომელიც უფრო ახლოა, მაგრამ ვერ აკეთებს არჩევანს და შიმშილითა და წყურვილით კვდება, რადგან მას არ შეუძლია რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს და აირჩიოს თივა თუ წყალი.

დღეს არჩევანთან დაკავშირებით სხვა თეორიები გვეუბნება, რომ რეალურად სუბიექტების არჩევანისათვის ქმედება ყოველთვის განსხვავდება მათი მიერ სარგებლის მოლოდინის აღქმისაგან. ადამიანები ერთს აკეთებენ და მეორეს მოელიან.[2]

რაციონალური არჩევანის თეორია აღიარებს, რომ, მართალია ბაზრის სუბიექტებს აქვთ სრული ინფორმა–ცია, მაგრამ იძულებულნი არიან მიიღონ ირაციონალური გადაწყვეტილებები. ამის მაგალითია საფონდო ბირჟებზე აუქციონის პროცესი. აუქციონზე ყოველი შემდგომი ბიჯი არის ფონდზე მოთამაშის დანაკარგი.

დღევანდელი საფონდო ბირჟაზე მოლოდინები ქმნიან პარადოქსულ სიტუაციას, როდესაც ადამიანს შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება არა იმისა, რაც მათ სურთ, რომ რეალურად გააკეთონ, არამედ იმაზე ფიქრობენ, სხვა ადამიანებს რისი გაკეთება სურთ, რის შედეგადაც ყველა გადაწყვეტს გააკეთოს ის, რისი გაკეთება არავის არ სურდა, თუმცა ფიქრობდნენ და ეგონათ, რომ ყველას სურდა მისი გაკეთება.[3]

საერთოდ კი ადამიანები დგებიან მრავალგანზომილე–ბიანი არჩევანის წინაშე და ისინი ეძებენ ალტერნატივას და საუკეთესო არჩევანს გააკეთებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ იციან, რომ ეს საუკეთესო არჩევანია. შესაბამისად მის წინაშე საუკეთესოს არჩევანის პრობლემა, რომელსაც ვერ წყვეტს იმის გამო, რომ აპრიორულად მისი ამოცნობა არ შეუძლია.[4] ქცევითი წინააღმდეგობების შედეგად, საბაზრო ინსტიტუტები წარმატებების შემდეგ განიცდიან დაცემას იმ ფაქტორების შედეგად, რომლებმაც მათ წარმატება მოუტანა.

საერთოდ, მაკროეკონომიკურად, დინამიური განვი–თარების შენარჩუნება წინააღმდეგობრივია და განუხრელი ზრდა კი შეუძლებელი. ციკლები გარდუვალია.

საგარეო ურთიერთობებში მაკროეკონომიკური ასპექ–ტები ქვეყნების ერთობლივ ქცევებთან არის დაკავშირებული. ეკონომიკის ერთ–ერთი კლასიკური წინააღმდეგობა გამო–ხატავს ცალკეული სახელმწიფოს ისეთ კონკურენტულ ქცევებს, რომელსაც მათთვის სარგებელი მოაქვს, მაგრამ ყველა დანარჩენი ქვეყნის მდგომარეობა გაუარესდება იმ შემთხვევაში, თუ იგივე ქცევებს გაიმეორებს, რაც წარმა–ტებულ ქვეყანას ახასიათებს.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ყველა ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დამოკიდებული ხდება იმ ქვეყნის განვითარებაზე, რომელიც განსაზღვრავს განვითარების მიმართულებას. თუმცა ქვეყნები ყოველთვის დგანან დილემის წინაშე: კონკურენცია თუ თანამშრომლობა და პარტნიორობა? საგარეო ვაჭრობაში ქვეყნების ცდა დაიცვას ადგილობრივი წარმოება და შემოიღოს ანტიმონოპოლიური წესრიგი უფრო მეტად სარგებლიანია უცხო ქვეყნის მომხმარებლისათვის, ვიდრე იგი იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს. ეს წინა–აღმდეგობრივი ქმედებები ყოველთვის წარმოშობს ალტერ–ნატივებს, მაგალითად, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა პოზიტიურად იმოქმედებს თუ არა საქართველოს საგადა–სახდელო ბალანსზე.

მთლიანობაში, ეს წინააღმდეგობრივი ეკონომიკური ქმედებები, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება ორაზროვან პასუხს სცემს, საბოლოოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი ხდება და ამდენად ეკონომიკაზე პოლიტიკის პრიმატი ხორციელდება.

დასკვნა

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არის შექმნილი მაკროეკონომიკური განვითარების ამსახველი თეორია, რომელიც გასცემს ლოგიკურ პასუხს ეკონომიკის წონასწორული და სტაბილური განვითარების შესახებ. ეკონომიკურ მეცნიერებას აქვს მრავალფეროვანი განმარ–ტებები იმის შესახებ, თუ რა კანონზომიერებები არღვევენ ეკონომიკურ სტაბილურობასა და წონასწორობას. ყველა მათგანი არასრულფასოვანია.

გლობალურმა კრიზისებმა სრულიად ახალი ასპექ–ტით დააყენა საკითხი ეკონომიკური თეორიის განვითარე–ბის შესახებ. არსებული მაკროეკონომიკური ფუნდამენტური თეორიები არასაკმარისია თანამედროვე მოვლენების ასახსნელად და ეკონომიკის ციკლური განვითარების წინას–წარმეტყველებისათვის. დაიწყო ეკონომიკური პლურა–ლისტური თეორიების დანერგვა, მათ შორის უნივერსიტეტე–ბის სასწავლო პროცესშიც, ხოლო ეკონომიკური მეცნიერების განვითარება კი მოითხოვს ფუნდამენტურ მიდგომებთან ერთად ნეოლიბერალური მიმართულების, ინსტიტუცი–ური მიდგომების განვითარებას და მაკროეკონომიკური მოვლენების ახსნას არა კეინსური და კლასიკური მიმდი–ნარეობების საფუძველზე, არამედ ინსტიტუციური, ქცევითი, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა კონ–ტექსტების კომბინაციით, რაც ეკონომიკურ მეცნიერებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. იგი საუნივერსიტეტო სწავლებაშიც უნდა აისახოს.

---

[2] მაურეკ ალაის, 1988 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, თეორია (Maurice Félix Charles Allais paradox).

[3] აბილინის (Abilene) თეორია.

[4] მრავალგანზომილებიანი გადაწყვეტილებების თეორია (multi-criteria decision analysis (MCDA) / multi-criteria decision making (MCDM).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adam Smith,Of the Origin and Use of Money. Adask,s law, https://adask.wordpress.com/2013/02/23/adam-smith-the-origin-and-use-of-money/
2. Alasdair Macleod, Further Thoughts on Gibson’s Paradox, Economics, The Cobden Center, 14 September, 2017, https://www.cobdencentre.org/2017/09/further-thoughts-on-gibsons-paradox/
3. An international student call for pluralism in economics, http://www.isipe.net/open-letter/
4. Arrow, K. 1962. “Economic welfare and the allocation of resources for inventions.” In The Rate and Direction of Inventive Activity: Economic and Social Factors, ed. R. R. Nelson, pp. 615, Princeton: Princeton University Press. URL: http://www.nber.org/books/univ62-1, http://www.nber.org/chapters/c2144.pdf
5. Bauer, Diana; Papp, Kathryn «Book Review Perspectives: The Jevons Paradox and the Myth of Resource Efficiency Improvements». Sustainability: Science, Practice, & Policy. 5 (1). March 18, 2009. Archived from the original on 29 May 2015. https://web.archive.org/web/20150529111127/http:/sspp.proquest.com/static_content/vol5iss1/book.polimeni-print.html
6. Bogusław F., The Economic Crisis Versus the Crisis of economics as a Science, Ekonomika,2013 Vol. 92(4), p.8.http://www.zurnalai.vu.lt/ekonomika/article/viewFile/2349/1572
7. David Ruccio, Utopia and Macroeconomics,World Economics Association, April 2018, pp.3-5, https://www.worldeconomicsassociation.org/newsletterarticles/utopia-and-macro/
8. Lee, F. S. ‘Heterodox Economics and its Critics.’ Review of Political Economy, vol. 24, no. 2, 2012, p. 340.https://ideas.repec.org/a/taf/revpoe/v24y2012i2p337-351.html
9. Minsky, H. Marx and modern mainstream macroeconomics, Occasional Links & Commentary,
on economics, culture and society,24 March 2014, https://anticap.wordpress.com/2014/03/24/minsky-marx-and-modern-mainstream-macroeconomics/
10. Przesławska G., Rethinking economics in response to current crisis phenomena, „Ekonomia i Prawo. Economics and Law”, Polszakiewicz B., Boehlke J. (ed.), Vol. 15, No. 1/2016, pp. 134-135. DOI: http://dx.doi.org/10.12775/EiP.2016.008. https://www.researchgate.net/publication/301675385_Rethinking_economics_in_response_to_current_crisis_phenomena,
11. Prateek Agarwal, Liquidity Preference Theory, Intelligent Economist, 14 February 2018, https://www.intelligenteconomist.com/liquidity-preference-theory/
12. Sebastian Thieme, Spiethoff’s Economic Styles: a Pluralistic Approach? Economic Thought, Vol 7, No 1, 2018, p. 1, http://et.worldeconomicsassociation.org/papers/spiethoffs-economic-styles-a-pluralistic-approach/

THE GLOBAL ECONOMIC CRISIS AND ECONOMIC SCIENCE

MIKHEIL TOKMAZISHVILI
Doctor of Economics,
Professor of Tbilisi Open University
Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
m_tokmazishvli@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.002

KEYWORDS: GLOBAL ECONOMIC CRISIS, ECOCNOMIC SCIENCE

SUMMARY

Considering the traditional fundamental process as an alternative of economic theory is increasingly insufficient in today›s reality; deficiencies of the supply and demand interconnections, as well as the complex character of their relationship that cannot be fully explained by traditional mainstreaming that is confirmed.

In the aftermath of the global crisis, countries have been occurred in an eternal stagnation. The development of world economy progresses slowly. The restoration of macroeconomic stabilization and sustainable development by the old traditional monetary methods - inflation and exchange rate changes - were impossible, while by Keynesian methods the increase in stimulation of budget interventions on the supply remains limited.

Economic science has been able to explain events far more than to predict the future. The issue of new industrial structural reforms only brings new questions.

Today new challenges impose new tasks to economic science. Academic approaches are being used that combines historical, logical, technological, institutional, and other methodologies. Everything starts with explaining how the economy is working and how it should work. The model of economy that is efficient and balanced is a current challenge and this model has its own limitations.

Introducing pluralist theories has begun, including at the universities. Development of economic science requires fundamental approach together with promoting neo-liberal course and institutional approaches, as well as explaining macro-economic events not based on Keynesian and classic methodologies, but based on combination of institutional, behavior, psychological, political, social and other sciences. It gives rise to new challenges for economics. It should also be reflected in university studies.

HOW TO EVALUAT EFFICIENCY OF THE EXPORT STRATEGIES

GIORGI GAGANIDZE
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
giorgi.gaganidze@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.003

BADRI RAMISHVILI
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
badri.ramishvili@tsu.ge

KEYWORDS: EXPORT STRATEGY FORMULATION AND MANAGEMENT, EVALUATION OF THE EFFICIENCY OF THE EXPORT STRATEGIES

INTRODUCTION

During two hundred years, against the backdrop of the realization of the first three stages of the modern type population reproduction, stabilization of the natural movement of the population at the zero level was not observed in any developed countries for a long time. Consequently, the third stage was followed by the process of depopulation. Therefore, the theory of demographic transition, which he formulated in the later years, underwent a certain transformation according to the views of various scientists. The majority of demographers think that the newest, so-called "civilized type" of population reproduction is starting to take shape at a modern stage. This type of population reproduction is characterized, on the one hand, by a low level of childbirth and mortality, and on the other hand, by qualitatively new age structure of demographically aged population [Riley N.E., 2003;Population...2001; Ivanov S., 2002]. However, with regard to the newest type of population reproduction, A. Landri's concept remains the only one yet to be confronted by other similar competitive theories.

According to the opinion of S. Ivanov, the expert of UN's population fund, the countries of the world are in different stages of demographic transition and in some of them the demographic transition has reached its end. He believes that, based on the concept of the demographic transition, on the upper level of childbirth and mortality the era of quasi-equality gradually comes to an end in the world's population. It is replaced by a new stage of equality on the low level of childbirth and mortality, which unlike the former era's young structure of population, is mainly characterized by aged population. The countries that have already undergone the demographic transition have long since witnessed the reduction of the total rate of childbirth just under 2.0 and those countries that are defined by curtailed reproduction of generations went from 13 to 66 in the period of 1970-2002.

With regard to the finish of demographic transition, we think that the existing demographic situation in Georgia must be attributed to the intertype period transitioninig from the modern to the newest type of the population reproduction, which is succeded by the so-called civilized type of population reproduction. We will discuss the modern type of Georgian population reproduction and its stages in light of demographic system's modernization.

* * *

The subsystem of demographic relationships, as the relatively independent subsystem and factor for the develop-

ment of the whole societal system, has the basic and specific laws for its own development. Each of these laws, on the one hand, objectively determines functioning and place of the mentioned subsystem in the whole societal system; on the other hand, it is mutually dependent on the development laws of other subsystems in the whole societal system. Consequently, without grasping the essence of the laws of the subsystem of demographic relationships and understanding their interaction with the laws of other subsystems in the whole societal system, it is virtually impossible to assess demographic development correctly and effectively.

In some demographer's [Vishnevsky, 1976] whole system of societal relationships, qualitative renewal of the subsystem of demographic relationships transpires spontaneously and momentarily and it does not have the transition period of qualitative change. To represent the subsystem of demographic relationships with momentary qualitative change is unacceptable to us not only its newly-formulated type but also in its stage. It is necessary to research its transformational process in the form of transitional period which, to say the least, has barely been studied and, therefore, it is important to know how the process happens, in what conditions and at which stage essentially which factors (global and/or local together with internal and external) determine its transformation.

The development of population reproduction type, during long periods of time, transpires in the form of stages with the backdrop of its qualitative changes. Once the development of the population reproduction type reaches the culmination, qualitative renewal of the demographic system becomes crucial, which, in turn, is naturally followed by the formation of a new population reproduction type that is completely different from the predecessor in terms of qualitativeness. This process requires some time and basically transpires between the logically existing transitional period of the last stage of the old reproduction type and the first stage of the new reproduction type. We do not exclude a chance that the intertype transitional period can be developped unnoticed (latently) at the end of the last stage of the old type and at the beginning of the new type. This period is, at some point, hinted at by its drastic nature with the help of demographic behavior or with the change of quantitative indicators of reproduction.

The theory of demographic transition mainly depicts quantitative results of the ongoing changes inside the subsystem of demographic relationships and does not provide us with the idea of how transformation of other subsystems influences 'rules of play' of its own components. This is one of the setbacks of the mentioned theory. It is not sufficient to contemplate about the development of the demographic relationships' subsystem only by taking into account quantitative changes of demostatistical indicators. Therefore, in order to better elicit the period and time of a country's demographic transition, it is necessary to analyze qualitative changes transpiring during the development (transformation) of certain subsystems belonging to the system of societal relationships.

Generally, the transformation of the whole societal system and its various subsystems are the requirement of time and it is conducted differently. This process can be developped in light of simultaneous or successive reform of separate subsystems within the whole system and is largely dependent on the global and local events happening all across the world, as well as in its specific geographical areas. The severity of the latter changes the pace of evolutionary development of the whole societal system together with its separate subsystems by speeding it up or slowing it down. Consequently, during the process of transformation, it violates "old rules of settled play" between various subsystems of the whole system and in its places establishes "new rules of play", which, more or less, is reflected, during transitional period, in the final result of the transformation of each.

Thus, momentary and spontaneous transition from one type of demographic development to the next type, as well as from one stage to the next stage is hardly possible. There exists, even for a small stretch of time, some transitional period, the length of which, together with other subsystems, is determined by the severity of demographic subsystem's transformation.

In this aspect, sustainable and stable development of the subsystem of political relationships in the whole societal system is of crucial importance. In a way, it determines peaceful and evolutionary character of the development of other subsystems, during which it is possible that the pace of one of the subsystems (or of several at once) will substantially exceed the developmental pace of other subsystems.

At this time, in light of the qualitative change of the subsystems' components, we can notice a hidden transformation of its subsystems, which against the backdrop of quantitatively stable, insignificant change tendency, is dragging out in time and even becomes invisible. In contrast to the mentioned, during the process of radical, drastic transformation of the political subsystem, at varying pace, often asynchronously, separate subsystems and their components undergo qualitative transformation which are clearly reflected on the quantitative results and can even adopt an undesired tendency in the long run.

As a result of all the above mentioned, we would like to emphasize two types of transitional period in terms of intertype and interstage population reproduction: latent, or closed and obvious or open.

Criteria for the assessment of the qualitative transformation of the subsystem of demographic relationships can take various forms at different periods. It is possible they will be represented as a whole, complex or only in the form of several criteria. This is largely dependent on the severity of


transformation in the transitional period, on its forms – latent or open. Stemming from the range of the transformation of the whole societal system, these criteria can take various qualitative forms in the transitional period and therefore, yield different final result in terms of quantitativeness. Demographic history clearly confirms that after almost all inter-stage transitional periods the tendencies of childbirth went down and mortality increased. The power of influence of the demographic subsystem and its transformation's global and local factors largely determine the sustained character of demographic behavior during intertype and interstage transitional periods, which, in turn, substantially determine the final demographic result.

Exactly, more or less, different sustained character of demographic behavior of population determined varying quantitative results of demographic subsystem's qualitative transformation in certain countries during the intertype and interstage transitional periods. In some countries, this process resulted in depopulation at the end of 20th century. In this regard, by taking into account the impact of the global and local factors, we will discuss the periods of Georgia's demographic modernization since 1800 until today (Figure).

The formation of the modern type of population reproduction in Georgia in our opinion starts supposedly after abolishing serfdom in Georgia (year 1864) – a global event of the 19th century. Consequently, we deem the period of 1864-1880s to be the transitional period from traditional to modern type of population reproduction. Our opinion is confirmed by the statistical data of that time [Kotrikadze B., 1990: 8]. Some Georgian demographers [Khmaladze M., 1994], think that the beginning of the modern type of population reproduction is 30s of the 19th century, whereas according to others [Tsuladze G… 2002;Kotrikadze B… 1990: 8] the "European type" of demographic behavior in Georgia was marked substantially early, as opposed to the European part of the Russian Empire. These demographers deem 50s of the 19th century to be the beginning of the first stage in Georgia and in Armenia and Muslim countries the same stage started 100-150 years later. Therefore, Georgia always outpaced those countries in terms of demographic development.

Consequently, the first stage of the modern type of population reproduction continued from 1880 until 1914. In this respect, some Georgian demographers, according to the calculations conducted on the results of 1926 population census based on the Bogie's Quotient, thought that Georgia entered the second stage in the middle of 1920s. In this aspect, they did not take into consideration the reliablility of demostatistical information of that period relating to the 1926 population census, as well as the country's current political, social-economic and the transformation of other subsystems, etc. be-

Figure. Demographic transition in Georgia during 1800-2050



Source: 1800-1950 – Geostat; 1950-2050 – www.esa.un.org/unpd/wpp

cause of which they were a little inaccurate. We believe that the period 1914-1928 was the first interstage transitional period that was determined by global (World War I, Revolution) and local (industrialization, collectivization and other reforms) social-economic factors. The severity of the revolutionary form of demographic and other subsystems' transformation stretched the transitional period from the first to the second stage in time (nearly 12-15 years), therefore, we must surmise the beginning of the second stage to have commenced around 1928-1930 [Sulaberidze A., 1998: 49-52].

The second transitional period from the second to third stage of the modern type of population reproduction despite the impact of the global (World War II and expansion of the socialistic block) and local (political and social-economic reforms conducted after World War II) factors on the demographic processes during the second stage (1930-1960) compared to other transitional periods, was carried out in a relatively peaceful political environment in the form of evolution. In contrast to this, transitional periods between the first and third stages were essentially stipulated by the transformation of political subsystem and thus, there developed, in the whole societal system, simultaneous transformation of almost all subsystems. This determined a severe and revolutionary character of demographic development in the second and fourth stages [Sulaberidze A., 2001: 114-117). However, after correcting demostatistical information, there was expressed a view that: "In the whole, since 1960, correcting evaluative data of mortality leads us, like the evolution of the expected life expectancy, toward new interpretation of a general demographic transition during the last 40 years (1960-2000)" [Tsuladze G. 2007: 31]. This confirms our opinion about the second [1960-1965] and the third interstage transitional periods [1990-1995].

It must be noted that the global and local factors having impact on the demographic modernization of the previous periods have not inflicted as much loss as the global event of 1992 – dismantling of the communist system and together with it, the years of the aftermath of the restoration of Georgian independence and the factors of local character, like demolition of territorial unity and drastic social-economic problems – did. This period witnessed the unprecedentedly high emigrational processes in the history of Georgia, the result of which was 1.7 million people leaving the country and the broken regime of population reproduction fostered zero natural increase and depopulation.

Carrying out the activities of global and local factors was exactly the reason why the country faced a rapid cascade of demographic modernization since 1992 in a pretty short time (1992-2020): first the fourth stage (1995-2005.), and then the period between the second types of transition (2005-2020), from the modern to the newest, civilized population reproduction. This will be followed by depopulation at the beginning of 2020.

Regarding the prognosis of Georgian demographic development, as the diagram Figure 1 shows, the newest type of population reproduction will be established from 2020. During this type, depopulation processes (mortality exceeding childbirth, natural decrease of population) are expected to develop for yet an unknown period of time.

CONCLUSION

Therefore, despite the fact that the demographic development of Georgia, in certain periods, since 1800 until today, was largely dependent on the external-global and inner-local factors, and this violated evolutionary process of the regime of population reproduction in the interstage transitional periods (except the second period), it has not influenced the evolutionary development of Georgia's demographic subsystem for two centuries until 1992. If we do not take into account the fragmentary growth of childbirth in some periods due to the external interference (for example: active demographic policy in 1984-1992, and the baptism of every third and the next successive child by the patriarch in 2007-2011), demographic processes in the country, in the mentioned period, except after 1992, progressed in light of general demographic laws and evolutionary development.

REFERENCES:

1. Ivanov S. (2002). New type of marriage in developed countries. Information bulletin of the center of demography and ecology of Russian science academy's institute for predicting national economy. № 36. June (In Russian).

2. Khmaladze M. (1994). Laws and economic results of Georgian population reproduction. Dissertation for attaining scientific degree of the doctor of economic sciences. 08.00.01. Tbilisi(In Georgian).

3. Kotrikadze B., Sinelnikov A. (1990). Childbirth in the Soviet-Socialistic Republic of Georgia. Tendencies and ways of regulation. "Science" (In Russian).

4. Landri A. (1934).La revolution Demographique.

5. Notestein F.W. and others. (1944).The future population of Europe and Soviet Union. Geneva: League of Nations.

6. Population, environmental conditions and development. (2001). United Nations. New York.

7. Riley N.E., McCarthy J. (2003). Demography in the Age of the Postmodern. Cambridge. University Press.

8. Vishnevsky. A. (1982). Population reproduction and society. Moscow (In Russian).

9. Sulaberidze A. (1986). Demographic development of the highland regions of the Soviet-Socialistic Republic of Georgia."-Science". Tbilisi(In Georgian).

10. Sulaberidze A. (1996). Demographicdevelopment of Transcaucasia and Georgia (short analysis). "Science ". Tbilisi. (In Georgian)
11. Sulaberidze A., Sulaberidze V. (1998). Peculiarities of demographictransition in Georgia. Collection of scientificworks of the economic-humanitarianstateinstitute of Gori. (Summary in English).
12. Sulaberidze A. (1999). Peculiarities of demographic development of Georgia. Materials from international conference. «Existing problems of the processes of demographic development in Georgia» Tbilisi, p. 37-49. (In Russian).
13. Sulaberidze A. (2000). Depopulation in the aspect of overpopulation. Journal: «Matsne». T.10. № 1-2 p. 51-64 (InRussian).
14. Sulaberidze A. (2001). Depopulation in the countries of transitional economy. Journal: «Sociological publications» №11-01, p.114-117 (InRussian).
15. Sulaberidze A. (2002). Aboutsome factors concerning the modern transformation of society and families in Georgia. Journal: «Society and Economy», № 3-4, P.230-237. (In Russian).
16. Sulaberidze A. (2004). Aboutt ransitional period of intertype and interstage population reproduction. Journal:„Demography" №8, p .72-81(In Georgian).
17. Sulaberidze A.(2007). Thoughts about Georgian family and demography. Monography. (In Georgian).
18. Tsuladze G., Sulaberidze A., Maglaperidze N., Mamardashvili G.Demographicdevelopment of Georgia: yesterday, today and tomorrow. Monography (In Georgian).
19. Sulaberidze A. (2014). Peculiarities of demographic transitions in Georgia in light of post-communist countries. XIV International scientific conference of April regarding the problems of economic and societal development. T. 2. P. 758-767, (In Russian).
20. Tsuladze G., Sulaberidze A., (2016). Monography: "Demographic peculiarities of Georgian regions". Tbilisi., (In Georgian).

HISTORICAL PERIODIZATION OF GEORGIA'S DEMOGRAPHIC DEVELOPMENT

AVTANDIL SULABERIDZE
Doctor of Economic Sciences, Professor
Institute of Demography and Sociology of Ilia State University,
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia
sulaberidzeavtandil@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.008

KEYWORDS: MODERNIZATION, TYPE OF POPULATION REPRODUCTION, STAGE, INTERTYPE PERIOD, CHILDBIRTH, MORTALITY, GLOBAL AND LOCAL FACTORS.

SUMMARY

In accordance with the theory of demographic transition, the following article analyzes peculiarities of Georgia's demographic modernization during XIX-XX centuries and at modern stage. Peculiarities of the impact of global and local political and social-economic factors on the modernization of demographic system are discussed according to the separate stages and the intertype period of the modern type of population reproduction.

გლობალიზაცია და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
daswreba@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.009

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეგზოგენური ფაქტორები, მოსახლეობის კეთილდღეობა

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალობაზე ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკისადმი სულ უფრო ღიად ატრანსპარენტული ხდება. 2018 წლისათვის საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს დაახლოებით 140 ქვეყანასთან, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვა ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტთან მიმართებაში შეადგენს 74.5 პროცენტს, რაც ერთერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო-ეკონომიკურ კავშირებსა და ინვესტიციებზე. დღეისათვის სამომხმარებლო ბაზრის 70%-ზე მეტი იმპორტულ საქონელზე მოდის და ამგვარი დამოკიდებულება წლიდან წლამდე იზრდება. ამას ემატება ისიც, რომ კვლავ მაღალი რჩება საქართველოს ეკონომიკის – დეპოზიტებისა და სესხების დოლარიზაციის დონე, რაც, მიუხედავად სამომხმარებლო რესურსებისა და შესაძლებლობების დივერსიფიცირებისა, კიდევ უფრო ზრდის კორელაციას მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებსა, ერთი მხრივ, და საქართველოს ეკონომიკის ფაქტობრივ მდგომარეობასა და ქვეყნის მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას შორის, მეორე მხრივ.

მსოფლიო ეკონომიკისადმი საქართველოს მაღალ დამოკიდებულებას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ „ტრადიციულად" ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. 2017 წელს საქართველოს ექსპორტით იმპორტის გადაფარვამ მხოლოდ 34% შეადგინა, რაც ჯერადად დაბალია არა მარტო სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან, არამედ ყველა სახმელეთო მეზობელთან შედარებით. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი სომხეთში შეადგენს 77.4 პროცენტს, აზერბაიჯანში – 161.7 პროცენტს, თურქეთში – 73.9 პროცენტს, ხოლო რუსეთში – 156.7 პროცენტს. მარტო აგროსასურსათო პროდუქციის მიხედვით, 2000 წლის შემდეგდროინდელ პერიოდში საქართველომ ექსპორტზე გაიტანა 8.0 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების და შემოიტანა ორჯერ მეტი – თითქმის 16.4 მლრდ. დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია, ანუ ექსპორტით იმპორტის გადაფარვამ ამ სასაქონლო ჯგუფის მიხედვით შეადგინა მხოლოდ 49.2 პროცენტი. **2011-2017 წლებში საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ მხოლოდ აგროსასურსათო პროდუქციის მიხედვით 3.8 მლრდ. აშშ დოლარს გადაჭარბა.** ამ წლებში აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებამ 8.2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რომლიდანაც ექსპორტზე გავიდა 4.6 მლრდ. აშშ დოლარის პროდუქცია, შემოვიდა – 8.4 მლრდ. აშშ დოლარის პროდუქცია. ანუ, **ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი 12.0 მლრდ. აშშ დოლარის აგროსასურსათო სახეობის პროდუქციიდან 70 პროცენტი იმპორტირებულ პროდუქციაზე მოდიოდა.** ექსპორტზე ამგვარი დამოკიდებულება შიდა ბაზრის ფასებს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისაგან.


ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ საჭიროა სამამულო წარმოების ისეთი განვითარება, რომელიც ექსპორტზე მეტად ორიენტირებული იქნება იმპორტირებული პროდუქციის სამამულოთი ჩანაცვლებაზე. შესაბამისად, მოსაძებნია ის "ოქროსშუალედი", რომელიც გააგრძელებს მსოფლიო მეურნეობრიობაში საქართველოს ეკონომიკის აქტიური ჩართვის პროცესს და, იმავე დროს, შიგა მოთხოვნასა და მოხმარებას, ადგილობრივი მოხმარებისა და კეთილდღეობის დონეს რაც შეიძლება ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ეგზოგენურ ფაქტორებზე.

ღია ეკონომიკა და ინტენსიური კავშირები დანარჩენ მსოფლიოსთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ფასების დონეზე, რის გამოც საქართველოში სამომხმარებლო ფასები საკმაოდ მაღალია მოსახლეობის საშუალო შემოსავლებთან შედარებით. **საქართველოში უფრო ძვირია აშშ-სთან შედარებით, საცალო ფასები რძეზე, ბანანზე, ბენზინზე, ბუნებრივ აირზე;** საცალო ფასები კვერცხზე, ქათმისა და საქონლის ხორცზე, აგრეთვე მობილური ტელეფონით საუბრის ტარიფი საქართველოში ახლოსაა ამერიკის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რაზეც მკაფიო წარმოდგენას ქვემორე გრაფიკი №1 იძლევა.


ამავე დროს, იმის გამო, რომ საშუალო ხელფასი როგორც ერთ დაქირავებით დასაქმებულზე, ისე ყოველ ათას კაცზე საქართველოში ჯერადად დაბალია აშშ-სთან შედარებით, საქართველოს საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობის ჩამორჩენა აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელთან კიდევ უფრო შთამბეჭდავია, რაზეც ქვემორე, გრაფიკი №2 იძლევა წარმოდგენას.

საშუალო ხელფასით, ჩვენთან, აშშ-სთან შედარებით, შესაძლებელია 4.7-ჯერ ნაკლები ელექტროენერგიის, 10.1-ჯერ ნაკლები ბენზინის, 5.5-ჯერ ნაკლები საქონლის ხორცის შეძენა... ბიგმაკის ფასის მიხედვით, რომელსაც ხშირად გამოიყენებენ ქვეყნების ვალუტების რეალური მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის დასადგენად, ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა საქართველოში თითქმის 5-ჯერ უფრო დაბალია აშშ-თან შედარებით.

გრაფიკი 1



გრაფიკი 2




საქართველოში კეთილდღეობის (შემოსავლების) დაბალი, თითქმის ორმაგი ჩამორჩენა მსოფლიოს საშუალო დონესთან მნიშვნელოვნად განპირობებულია დაქირავებით დასაქმებულთა დაბალი წილითა და, ამის შესაბამისად, საზოგადოების საშუალო ფენის დაბალი ხვედრითი წონით მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ეს იწვევს შრომით მიგრაციას საქართველოდან, რომელიც ფაქტობრივად ყველაზე მეტად შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ მოსახლეობას შეეხება.

ზემოთ უკვე ნახსენები მიზეზების გამო, ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა შემცირებულია 32 პროცენტით, მაშინ როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა — 1.5-ჯერ, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - 2.9-ჯერ (თითქმის 1.5 მილიონი კაცით)[1]. დღეისათვის საქართველოდან შრომით მიგრანტთა რაოდენობა ერთ მილიონ ადამიანს აღემატება. მათი დიდი ნაწილი საზღვარგარეთ არაფორმალური და არალეგალური შრომითი საქმიანობითაა დაკავებული. **საქართველო მიეკუთვნება იმ იშვიათ სახელმწიფოთა რიგს (თუ ერთადერთს არა), რომელსაც საზღვარგარეთ გაცილებით მეტი დაქირავებით დასაქმებული ყავს, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში.**

[1] საქართველოს მოსახლეობა 1989 წლის და საწყისში შეადგენდა 5460, ათას კაცს, 2017 წლისათვის — 3720 ათას კაცს (-32%), დასაქმებულთა რაოდენობა იყო, შესაბამისად, 2580 ათასი კაცი და 1706.6 ათასი კაცი, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა: 1989 წელს- 2228 ათასი კაცი, 2017 წელს კი - 824.2 ათასი კაცი (-63.0%).

გრაფიკი 3



ოფიციალურად უმუშევრობის დონე 2017 წლის მიხედვით საქართველოში შეადგენს 13.9 პროცენტს, ხოლო აბსოლუტური რიცხოვნობა — 276.4 ათას კაცზე მეტს[2]. მაგრამ ქვეყანაში უმუშევრობის აბსოლუტური დონის განსაზღვრისათვის აუცილებელია, უმუშევართა კონტინგენტს ქვეყნის ტერიტორიაზე დაემატოს ქვეყნიდან გასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობაც. — ეს უკანასკნელნი ხომ იმიტომ გახდნენ მიგრანტები, რომ საკუთარ სამშობლოში ვერ იშოვეს სამუშაო, არ იყო სათანადო რაოდენობის სამუშაო ადგილები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში ოფიციალურად დაფიქსირებულ 1983.1 ათას ეკონომიკურად აქტიურ ადამიანს უნდა დაემატოს ქვეყნიდან გასული მიგრანტების რაოდენობაც (არანაკლებ 1 მილიონი კაცი) და მხოლოდ ამის საფუძველზე იქნეს გაანგარიშებული ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის აბსოლუტური დონე.

თუ ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას აღნიშნული პრინციპით შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ დღეისათვის საქართველოს პოტენციური სამუშაო ძალის რიცხოვნობა უნდა იყოს დაახლოებით 3 მილიონი (1983.1 + 1000 = 2983.1 (ათასი კაცი). აქედან, საქართველოში სამუშაო ვერნახა 1276.4 ათასმა (276.4 ათასი — საქართველოში დაფიქსირებული უმუშევარი და 1000 ათასი — შრომითი მიგრანტი), რის გამოც **ქვეყანაში უმუშევრობის აბსოლუტური, ბრუტო დონე** საქართველოს მთელი შრომითი პოტენციალის — ქვეყანაში მყოფთა და ქვეყნიდან გასულ ეკონომიკურ აქტიურ პირთა ერთობლივი რიცხოვნობის – გათვალისწინებით, 42.8%-ია (=1276.4/2983.1). შესაბამისად, საქართველოში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 57.2%, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა (824.2ათასიკაცი) წილი საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ მთელ (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მოსახლეობაში მხოლოდ 27.6%-ია. გამოდის, რომ **ანაზღაურებით შრომით საქმიანობას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დღეისათვის ფაქტობრივად ახერხებს საქართველოს მხოლოდ ყოველი მეოთხე შრომისუნარიანი ასაკის მოქალაქე.**

ვფიქრობთ, სანამ საქართველო რჩება აქტიური შრომითი მიგრაციის ქვეყნად, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე, შრომაში ჩართულობისა და უმუშევრობის დონეები გაანგარიშებული ყოფილიყოს როგორც ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით, ისე ქართველ (ინსტიტუციურად და არა მხოლოდ ეთნიკურად) შრომით მიგრანტთა რაოდენობის გათვალისწინებით.


ბოლო წლებში (2010-2017 წწ.) საქართველოში საშუალო ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა მთლიანი შიგა პროდუქტის ნომინალური ზრდის ტემპს. — 2017 წლისთვის მათი სიდიდე 2010 წელთან შედარებით შეადგენდა, შესაბამისად, 179.2%-სა და 183.2%-ს. ამავე დროს, კვლავაც დაბალი რჩება ხელფასის მიმღებთა, დაქირავებით დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში. დაბალია მშპ-ის ხელფასოტევადობა, რომელიც საქართველოში დაახლოებით 1.44-ჯერ ჩამორჩება საშუალო ევროპულ დონეს და 1.22-ჯერ — აშშ-ის დონეს. გრაფიკი №3.

აღნიშნულის გამო, **საშუალო ხელფასის დონით საქართველოს შედარებამ სხვა ქვეყნებთან მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავისი ეკონომიკური შინაარსი და გამოყენებითი ღირებულება.** მაგალითად, საქართველოს აშშ-თან შედარებით ყოველ 1000 მცხოვრებზე თითქმის 2-ჯერ ნაკლები დაქირავებით დასაქმებული ჰყავს – შესაბამისად, 222 კაცი და 441 კაცი[3]. ამიტომ საშუალო ხელფასების შედარება, თვით მათი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებითაც კი, გარკვეულწილად არასრულ სურათს იძლევა და შეიძლება არასწორი დასკვნების გაკეთების საფუძველიც კი გახდეს, როდესაც საქმე ეხება უკვე შინამეურნეობათა და ზოგადად, საზოგადოების წევრთა

[2] წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

[3] აშშ-ის 325.7 მილიონი მოსახლეობიდან დაქირავებით დასაქმებულია 143.6 მილიონი (44.1%), მაშინ როდესაც საქართველოს 3.720 მილიონი მცხოვრებიდან ხელფასის მიმღებთა რაოდენობა მხოლოდ 824.2 ათასი კაცია (22.2%).

გრაფიკი 4



კეთილდღეობის დონეთა შედარებას. კერძოდ, **ნეტო ხელფასები საქართველოში აშშ დონის 13 პროცენტია, თუმცა ფასების ფაქტობრივი დონის გათვალისწინებით** (საქართველოში ფასების დონე აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის 39 პროცენტს შეადგენს) — **მესამედი (33.5 პროცენტი).** იმის გამო, რომ საქართველოში მოსახლეობის თანაბარ რიცხოვნობაზე 2-ჯერ ნაკლები დაქირავებით დასაქმებულია, სახელფასო ფონდის სიდიდე ყოველ 1000 კაცზეც შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს. შედეგად მივიღებთ გარემოებას, როდესაც ყოველ 1000 კაცზე მოსული საშუალო ხელფასის ჯამური მაჩვენებელი საქართველოში აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 6.6 პროცენტი, ხოლო მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით - 16.8 პროცენტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **საქართველო აშშ-ს ჩამორჩება: საშუალო ნომინალური ხელფასით - 7.7-ჯერ, საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობით - 3-ჯერ, საშუალო ხელფასის ჯამური სიდიდით მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე - ნომინალურად 14.7-ჯერ და რეალურად თითქმის 6-ჯერ.** გრაფიკი №4

ქვეყანაში დაბალი შემოსავლებით განპირობებულ დაბალ მოთხოვნას საგრძნობლად ზრდის ქვეყნიდან გასული შრომითი მიგრანტების სამშობლოში რეპატრირებული თანხები. საქართველოდან სამუშაოს საშოვნელად უცხოეთში წასული (ეთნიკური მიგრანტებისა და ქვეყნიდან არაეკონომიკური მიზეზებით გასულთა გარეშე) ჩვენი თანამემამულეების მიერ საქართველოში გადმოგზავნილი თანხების მოცულობამ 2017 წელს 1379.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის საქართველოს მშპ-ის 9.1% და შინამეურნეობათა ფულადი სახსრების 23%-ია. მთლიანად, 2011-2017 წლებში საქართველოში საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციებმა შეადგინა 9130.8 მლნ. აშშ დოლარი, რაც, მაგალითად, იმავე პერიოდში საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებას (8189.6 მლნ. აშშ დოლარი) 11.5 პროცენტით აღემატება.


შრომითი მიგრანტების მიერ საქართველოში დარჩენილი მოსახლეობის მსყიდველობით, გადახდისუნარიან მოთხოვნას 1.3-ჯერ და მეტად ზრდიან. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარი იმპორტირებული საქონლითაა გაჯერებული, შრომითი მიგრანტების მიერ საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები საქართველოში „იცვლება" ასევე იმპორტირებულ საქონელზე და ეს ფული გაედინება საქართველოდან, რის გამოც **ჩვენი ქვეყანა ფაქტობრივად ხდება (რჩება!) სხვაგან შექმნილი დოვლათისა და რესურსების გაცვლის, უტილიზაციის ადგილად,** ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთგვარ *„მეგაერგნეთად"*. მაგალითად, 2005 წლის შემდეგ საქართველოს უარყოფითმა ჯამურმა სავაჭრო ბალანსმა **მხოლოდ** თურქეთთან თითქმის ასტრონომიულ მასშტაბს - 11440 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც იმავე პერიოდში მთელი მსოფლიოდან საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების 84.8 პროცენტია! - თურქეთის წილი კი საქართველოს მთლიან იმპორტში არასდროს ყოფილა 1/5-ზე მეტი (2017 წ. — 17.2%)...

მსოფლიო ეკონომიკაში ჩართულობა, შიდა სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება იმპორტული საქონლითა და ქვეყნის შიდა ფასების დაახლოება მსოფლიო (აშშ) დონესთან ობიექტურად მოითხოვს ოფიციალური საარსებო მინიმუმის გადასინჯვასაც. წლებია, იგი საკმაოდ დაშორებულია ეტიმოლოგიურად სიღარიბის ზღვართან და ჯერჯერობით არაფერი კეთდება ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ოთხსულიანი ოჯახის წლიური სიღარიბის ზღვარი აშშ-ში 2018 წლისთვის 25100 აშშ დოლარს შეადგენს[4], ანუ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით თვეში — 1281 ლარს (ლარისა და დოლარის ოფიციალური კურსით).

[4] იხ. https://en.wikipedia.org/wiki/Poverty_in_the_United_States. კიდევ უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი ჰავაიზე - 28870 დოლარი და ალიასკაზე - 31380 დოლარი.

გრაფიკი 5



საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკით, საარსებო მინიმუმი ოთხსულიან ოჯახზე თვეში შეადგენს 313.3 ლარს, ანუ ოჯახის ერთ წევრზე 78.3 ლარს – ამერიკული დონის მხოლოდ 6.1%-ს. გრაფიკი №5

შეუძლებელია ქვეყანაში, სადაც ბიგმაკის ფასი აშშ დონის 64 პროცენტია, რიგი პირველადი დანიშნულების საქონლის ფასი ამერიკულის დონე ზედა ან უფრო მაღალია, საარსებო მინიმუმი ამერიკულის მხოლოდ 6.1 პროცენტის დონეზე იყოს. – გლობალიზაციის პროცესი ხომ მარტო სასაქონლო ნაკადების ზრდას და ქვეყნების იმპორტდამოკიდებულების მატებას არ ნიშნავს. ეს აგრეთვე არის მოწინავე ქვეყნების მოხმარების ფორმის, სტილის, წესის, მასშტაბების გადმოღებისა და დამკვიდრების პროცესი.

საარსებო მინიმუმის ხელოვნური შემცირება ნომინალურად კი ამცირებს ქვეყანაში სიღარიბის დონეს, ღარიბთა რიცხოვნობას, თუმცა ამით პრობლემის სიმწვავეს არ ხსნის. ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ორიენტირებული ინდიკატორები კი ლატენტური ფორმით კვლავ რჩებიან საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის, უკმაყოფილების, მიგრაციის წყაროდ. ჩვენი **აზრით, სიღარიბის ზღვარი საქართველოში აშშ-ის ფაქტობრივი დონის არანაკლებ 15-16 პროცენტი უნდა იყოს, რაც ვალუტების პარიტეტის გათვალისწინებით აშშ-ის ფაქტობრივი დონის 38-40 პროცენტია.** – საშუალო, ოთხსულიანი ოჯახისათვის ეს ამჟამინდელი ფასებით, თვეში 800-850 ლარია! აღნიშნული მეთოდური გარღვევის გარეშე ვერ განხორციელდება ქვეყნის მოსახლეობის სრულყოფილი სოციალური კლასტერიზაცია და, შესაბამისად, ვერ გატარდება ეფექტიანი სოციალური პოლიტიკა.[5]

მსოფლიო მეურნეობრიობაში ჩართვა, მსოფლიო დონის საქონლითა და მათი შესატყვისი ფასებით შიდა ბაზრის გაჯერება სულ უფრო მეტი სიმწვავით აყენებენ მოსახლეობის კეთილდღეობისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრაში ადეკვატური ინდიკატორების განსაზღვრის აუცილებლობას.

შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი, რყევებისაგან თავისუფალ ეკონომიკური განვითარებისათვის ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი იკვეთება: ერთი მხრივ, ეკონომიკის შემდგომი გახსნილობა, ლიბერალიზაცია, ბიზნესის კეთების პირობების გაუმჯობესება, მსოფლიო მეურნეობრიობაში უფრო აქტიური ჩართვა და, მეორე მხრივ, ქვეყანაში სიღარიბის არსებული დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება მსოფლიოში მიღებული სტანდარტებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით. აღნიშნულის გარეშე ქართული სახელმწიფო შეიძლება კვლავაც დიდხანს დარჩეს რიგი სოციალურ-ეკონომიკური რისკებისადმი შედარებით იოლად მოწყვლადი ეკონომიკის მქონე ქვეყნად.

[5] ჩვენის აზრით, შესაძლებელია მოსახლეობის დიფერენცირება მოხდეს შემდეგ ჯგუფებად: ღარიბები (ღატაკები, უქონელნი, საშუალოდ ღარიბები, ხელმოკლენი — სოციალური ღარიბები…), საშუალო კლასი (დაბალი ფენა, მაღალი ფენა), მდიდრები (შეძლებულები და საკუთრივ მდიდრები).

GLOBALIZATION AND INFLUENCE OF EXOGENOUS FACTORS ON THE WELFARE OF THE POPULATION OF GEORGIA

JOSEPH ARCHVADZE
Academic Doctor in Economics,
Professor of Kutaisi University
daswreba@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.009

KEYWORDS: GLOBALIZATION, EXOGENOUS FACTORS, WELFARE OF THE POPULATION

SUMMARY

Involvement in the world economy makes the economy of Georgia and the welfare of its population more dependent on the global process and the global market conjuncture. The small size of our country's economy, much greater import than export and consumer market satiety with imported products increases the risk of dependence on exogenous factors. The high level of dollarization of economy, savings and credit resourses strengthens the vulnerability of the welfare of Georgian economy and its population toward global processes.

Today, more than 70% of consumer market comes to imported goods. In addition, Georgia, comparing to its neighbouring countries, is far behind by the negative balance of trade. In Georgia the number of wage earners out of 1000 people is twice less than in the United States of America, and the purchasing power of average salary is 6 times less than the level of the USA and 2 times less, than average global level.

The population of Georgia has decreased by 32% compared to late 1980s, while the number of employees by - 1.5 times, among them employed employees - by 2.9 times. The number of migrant workers is more than 1 million and most of the mare engaged with the informal and illegal labor activities. Georgia belongs to the list of rare countries (if not the only), that has more employed citizens abroad than in its own country. Taking this into consideration the real level of unemployment in Georgia is not 13.9% as declared but - about 43%.

Money transfers from abroad increase the income and welfare of Georgian households by 1.3 times.

Large scale involvement in the world economy has not resulted in an adequate change of cost of living and its approach to poverty level. Today, the ratio of Georgia to the USA by the price of Big Mac is 64%, by the consumer prices – 39%, by the living cost – only 6.1%.

OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.010

დავით სიხარულიძე
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
Ivane Javakhishvili Tbilisi state university, Georgia
davit.sikharulidze@tsu.ge

ვახტანგ ჭარაია
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
vakhocharaia@gmail.com

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს ეკონომიკა, OLI პარადიგმა, საინვესტიციო პოზიცია

შესავალი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა განისაზღვრება მისი შესაძლო გავლენით მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. პუი-ის გავლენის ანალიზი განსაკუთრებით აღსანიშნავია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როგორიცა საქართველო, სადაც პუი-ის შემოდინება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, თუმცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად მხოლოდ 1996 წლიდან აღირიცხება. უკანასკნელ ათწლეულების განმავლობაში პუი-მა გარკვეული როლი შეასრულა ქართული ეკონომიკის განვითარებაში და ხელი შეუწყო განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას (Charaia V., Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia, 2014). თუმცა, საქართველოში შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული, და წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის თავლსაზრისით ნაკლებად მდგრადია. გარდა ამისა მულტი ნაციონალური საწარმოების ქართულ ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხი დაბალია და შესაბამისად მათი წვლილი საქართველოს ეკონომიკის დარგების მოდერნიზებაში უმნიშვნელოა, რაც ხელ არ უწყობს ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობის ამაღლებას.

გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) — ინვესტიციების მსოფლიო ანგარიშის თანახმად, 2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 2%-ით შემცირდა და შეადგინა 1,746 მლრდ აშშ დოლარი.

მოცემული ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობის ზრდით აიხსნება. ამავე დროს მუდმივად იზრდება ინვესტიციები განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან, ვინაიდან კონკურენცია და ეკონომიკური ზრდა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში მათ კომპანიებს სხვა ქვეყნებში გაფართოებისაკენ უბიძგებს.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განხორციელებულმა საინვესტიციო ნაკადებმა 2014 წელს, მთლიანი ინვესტიციების 54 (778 მლრდ. აშშ დოლარი) და 7 (108 მლრდ. აშშ დოლარი) პროცენტი შეადგინა, შესაბამისად. მათ კი თავის მხრივ ერთობლივად მთლიანი პუი-ს 39 პროცენტის (ანუ 553 მლრდ აშშ დოლარი) ინვესტირება შეძლეს, რაც მათი ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია და ნათლად ასახავს ზრდას 2000-იანი წლების დასაწყისის 12 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა გავაანალიზოთ პუი-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და შევისწავლოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულება ქვეყნის საინვესტიციო განვითარების მოდელის (IDP) ფარგლებში, ვინაიდან ის გვიჩვენებს სამამულო და უცხოური ფირმების: ა) საკუთრების, ბ) ადგილმდებარეობისა და გ) ინტერნალიზაციის უპირატესობათა კონფიგურაციას და ქვეყნის განვითარების სტადიებს.

გარდამავალი ქვეყნების განვითარების გზა ძლიერ არის დამოკიდებული: სპეციფიურ რესურსებზე, ინსტიტუტებზე, ეკონომიკურ სტრუქტურაზე, პოლიტიკურ იდეოლოგიასა და ქვეყნის სოციალურ და კულტურულ ფორმაციაზე, აგრეთვე პუი-ს რეციპიენტი ქვეყნის განვითარების სტადიაზეც.

1. ლიტერატურის ანალიზი

ერის საინვესტიციო განვითარების იდეა (Investment Development path, IDP) წარმოადგენს დინამიკურ მიდგომას, რომელიც თავდაპირველად ჯონ დანინგის მიერ იყო შემოთავაზებული. მოდელის თანახმად ქვეყნის IDP-ს ტრაექტორია წარმოდგენილია სამი ფაქტორით: საკუთრების სპეციფიური უპირატესობით (O), ადგილმდებარეობის სპეციფიური უპირატესობით (L) და მისი მიდრეკილებით მოახდინოს ბაზრის ინტერნალიზაცია (I) ფირმის სპეციფიური უპირატესობის რეალიზებისათვის საზღვარგარეთის ბაზრებზე. IDP მოდელის მიხედვით ქვეყნის განვითარების დონე მოიცავს რამდენიმე საფეხურს, რომელიც განისაზღვრება შემომავალი და გამავალი პუი-ის ნაკადებისა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთ დამოკიდებულებით. ამ თეორიის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის განვითარებასთან ერთად იცვლება პირობები სამამულო და

უცხოური კომპანიებისათვის, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს შემომავალი და გამავალი პუი-ის ნაკადებზე. შესაბამისად შემომავალი და გამავალი პუი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზე.

ეკლექტიკური მოდელის თანახმად, დროის ნებისმიერ მომენტში, რაც უფრო მეტი საწარმო ფლობს ქვეყანაში საკუთრების სპეციფიკურ უპირატესობას სხვა ქვეყნის ფირმებთან მიმართებით, მით უფრო მეტი სტიმული ექნებათ მათ უნიკალური აქტივების ინტერნალიზების, ვიდრე ექსტერნალიზების; ასევე, მეტად დაინტერესდებიან საზღვარგარეთ საწარმოო სიმძლავრეების განთავსებით და შესაძლებელია საერთაშორისო წარმოებაში ჩართვა (Dunning J.H, 2002). თეორია წარმოდგენილია დინამიკურ კონტექსტში, რომლის მიხედვით შემომავალი პუი მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ კომპეტენციების გაძლიერებაში, რომელიც საბოლოოდ აისახება სამამულო ფირმების შესაძლებლობაში, განახორციელონ პუი საზღვარგარეთის ბაზრებზე. მიმღებ ქვეყნაში ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში, შემომავალი პუი ასტიმულირებს შიდა ფირმების O-ს უპირატესობას ახალი ტექნოლოგიებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანი უნარებით და ცოდნით, კონკურენციის ეფექტით და ადგილობრივ ფირმებთან კავშირით.

ამგვარად IDP წარმოადგენს დინამიკურ მოდელს, რომლის ფარგლებშიც შეისწავლება კავშირი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შემომავალ და გამავალ პუი-ის ნაკადებს შორის, სადაც სამთავრობო პოლიტიკა თამაშობს კატალიზატორის როლს ცვლილებებისადმი (Narula, 1996), **(Durán J. J., 2001).**

მიუხედავად იმისა, რომ IDP მოდელის საშუალებით შესაძლებელია მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მაკრო დონეზე პუი-ის გავლენის ანალიზი, მისი ფუნდამენტური იდეა ძირითადად დაფუძნებულია მიკრო დონეზე (Scott-Kennel, 2005). ამ მოდელის მიხედვით პუი-ს შეუძლია ადგილობრივი დარგების მოდერნიზება, როგორც პირდაპირი O-ს სპეციფიური უპირატესობის ტრანსფერით, ასევე უცხოური ფირმების აქტივების არაპირდაპირი დიფუზიით გააძლიერონ სამამულო ფირმების ეკონომიკური აქტივობა მიმღებ ქვეყანაში.

IDP-მოდელის მიხედვით ქვეყანა გადის ეკონომიკური განვითარების 5 სტადიას (Dunning, 1981). სტადიების იდენტიფიცირება ხდება ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიციით – NOI (სხვაობა შემოსული და გასული პუი-ს ნაკადებს შორის) და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე). ქვეყნების შედარებითი პოზიცია IDP-ის ტრაექტორიაზე შეიძლება აიხსნას OLI პარადიგმით. ხოლო თავად OLI-ის ელემენტებზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა და განვითარების სტრატეგია, აგრეთვე მთავრობის მაკრო-ორგანიზაციული სტრუქტურა. შესაბამისად, OLI-ის კონფიგურაციის ცვლილება სხვა ქვეყნებთან მიმართებით, ქვეყნის NOI-ის პოზიციის ცვლილებას და ეკონომიკური განვითარების სტადიას განაპირობებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მოდელი მოიცავს ეკონომიკური განვითარების ხუთ ეტაპს. პირველი ეტაპზე ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია (NOI) ნეგატიურია. შემომავალი პუი-ის ნაკადები შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს და არ ხორციელდება პუი-ის ნაკადების ექსპორტი. ქვეყანას გააჩნია მცირე ადგილმდებარეობის (L) უპირატესობა, რაც საშუალებას არ აძლევს მოიზიდოს პუი. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული უპირატესობა არსებობს, ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი ფირმების O უპირატესობა არასაკმარისია, რომ უზრუნველყოს, როგორც პუი-ს შემოდინება, ასევე მათი გადინება. ეკონომიკა იმყოფება განვითარების ადრეულ ეტაპზე. საქართველო 1990-1995 წლებში, როდესაც ქართულ ფირმებს არ გააჩნდათ რაიმე სპეციფიური უპირატესობა, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების პრივატიზებით და ყოფილი ე.წ ,,წითელი დირექტორებისადმი“ გადაცემით, რომლებიც უუნარონი აღმოჩნდნენ მორგებოდნენ ახალ საბაზრო პირობებს, შესაბამისად თავიანთი კომპანიები სრულ კოლაფსამდე მიიყვანეს და უმეტესი ნაწილი ჯართად გაყიდეს (ჯართი წლების მანძილზე საქართველოს პირველი საექსპორტო პროდუქტი იყო).

მეორე ეტაპი, რომელიც ხასიათდება მთავრობის პოლიტიკის გააქტიურებით, უზრუნველყოფს შედარებით ხელსაყრელი ადგილმდებარეობის უპირატესობის ფორმირებას, **NOI-ს** პოზიცია კი უარესდება, შემომავალი პუი-ის ნაკადების ზრდის შედეგათ. მოცემული ტენდენცია ძლიერდება სამთავრობო პოლიტიკის – შეღავათების, ტარიფების, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების წყალობით. პარალელურად, სამამულო ფირმები იძენენ სპეციფიურ აქტივებს და უპირატესობას, რამაც შეიძლება ქვეყნიდან პუი-ის ექსპორტი წაახალისოს.

მესამე ეტაპზე, კონკურენცია შიდა ბაზარზე იზრდება, ვინაიდან შემოსული ინვესტორების O-ს უპირატესობა ვრცელდება ადგილობრივ დარგებზე, ხოლო დასაწყისში მიღებული დანახარჯებით კონკურენტული უპირატესობა – მცირდება. დაბალი დანახარჯების მაძიებელ პუი-ს თანდათანობით ენაცვლება ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები (Barry, 2003). ვინაიდან ადგილობრივი **L-ს და O-ს უპირატესობა უმჯობესდება. იზრდება ადგილობრივი ფირმების მიერ განხორციელებულ პუი-ს ნაკადების ექსპორტი, რასაც მოჰყვება NOI-ს** პოზიციების და ეკონომიკური განვითარების დონის გაუმჯობესება.

მეოთხე ეტაპზე, ქვეყანა ხასიათდება დადებითი საინვესტიციო პოზიციით, ვინაიდან პუი-ის ნაკადების ექსპორტი პუი-ის ნაკადების იმპორტს აღემატება. თუმცა, ზოგიერთი კვლევის მიხედვით არსებობს განსხვავება ეკონომიკური განვითარების დონესა (განსაზღვრული მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ით) და ქვეყნის საინვესტიციო პოზიციას (NOI) შორის, რის გამოც მოხდა მეოთხე სტადიის მახასიათებლების გადახედვა. **(Durán J. J., 2001).** ამ კვლევების მიხედვით ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უნდა განისაზღვროს, როგორც მშპ-ით ერთ სულზე, ასევე ეკონომიკის სტრუქტურით. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მეოთხე ეტაპზე მყოფი ქვეყნები ვითარდებიან ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, სტრუქტურული განვითარების დონე, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა. ამ სტადიაზე მყოფი ქვეყნები იზიდავენ სტრატეგიული აქტივებისა და ბაზრის მაძიებელ ინვესტიციებს და თავადაც

ახორციელებენ პუი–ს საზღვარგარეთ. თუმცა, საზღვარგარეთ განხორციელებული პუი–ის მოცულობა შეიძლება იყოს მცირე და ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია აღმოჩნდეს ნეგატიური **(Durán J. J., 2001).** მეოთხე სტადიაზე მყოფი ქვეყნები ყოველთვის არ ხასიათდებიან დადებითი საინვესტიციო პოზიციით, თუმცა პუი–ს ნაკადების ექსპორტს უნდა ჰქონდეს ექსპონენციონალური ზრდის ფუნქცია.

საინვესტიციო განვითარების მეხუთე ეტაპზე, ქვეყნების NOI–ის პოზიცია მერყეობს ნულთან ახლოს ვინაიდან, შემომავალი და გამავალი ინვესტიციების ნაკადები იწყებს ურთიერთ დაბალანსებას და ადგილი აქვს ქვეყნებს შორის ურთიერთ ჩამთრევ ინვესტიციებს. (Duning and naruula, 1996). კვლევებიდან ჩანს, რომ მეოთხე და მეხუთე სტადიების მისაღწევად ქვეყანას სჭირდება ცოდნა–ინტენსიური აქტივების აკუმულაცია, რომელიც აისახება ადგილობრივ ფირმებში და ხელსაყრელი ადგილმდებარეობის L უპირატესობაში.

საქართველოს IDP–ს ტესტირება

საქართველოს IDP–ის ტესტირებისთვის გამოყენებულ იქნა მონაცემები შემომავალი და გამავალი პუი–ის ნაკადების შესახებ, რომლის საშუალებითაც შემოწმდა ქვეყნის განვითარების სტადიების შესაბამისობა IDP–ს თეორიასთან. მონაცემები შემომავალი და გამავალი პუი–ის ნაკადების შესახებ აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ასევე UNCTAD–სა და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ორი ალტერნატიული მოდელი. IDP მრუდის ანალიზისთვის თავდაპირველად დანინგმა გამოიყენა კვადრატული ფუნქცია (მოდელი 1). თუმცა, ბაკლიმ და კასტრომ (Buckley, 1998) წამოაყენეს თავიანთი მოსაზრება, რომ კვადრატული ფუნქცია საკმარისად ვერ აღწერს IDP–ს სტადიებს და შემოგთავაზეს პოლინომიული ფუნქცია (მოდელი 2), რომელიც ქვემოთა მოცემული:

მოდელი (1) $NOIt = \alpha t + \beta t\ GDPcapt + \gamma t\ GDPcap2\ t + \xi t$

მოდელი (2) $NOIt = \alpha t + \beta t\ GDPcap3t + \gamma t\ GDPcap5t + \xi$

ინვესტიციური განვითარების გზა (IDP) აგებულია ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიციის ბაზაზე, სადაც NOI არის ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიცია და გამოითვლება შემომავალი და გამავალი პუი–ის სხვაობით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ხოლო GDPcap – მშპ მოსახლეობის ერთ სულზე.

დიაგრამა 1 გვიჩვენებს შემომავალი, გამავალი და წმინდა პუი–ს ნაკადებს საქართველოში 1994–2016 წლებში. საიდანაც ჩანს, რომ პუი–ის ნაკადების შემოდინება იწყება 1994 წლიდან და ხასიათდება ზრდის ტენდენციით. თუმცა, შესაძლებელია შევამჩნიოთ ორი მოკლე პერიოდი, როდესაც შეიმჩნევა პუი–ნაკადების მკვეთრი შემცირება: ა) 2004–2005 და ბ) 2008–2010 წლები.

მთლიანობაში, 1999–2013 წლების განმავლობაში საქართველოდან გადინებულია 1,558 მილიარდი აშშ დოლარის პუი (სებ). თუმცა, ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს (აშშ) თანახმად 2013 წლის პირველი იანვრისათვის ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლებია და 1,359 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს (თუმცა, არ არის დაკონკრეტებული რომელი წლიდან), რითაც შესაბამის რეიტინგში მსოფლიო მასშტაბით 77 ადგილს იკავებს. სებ–ის 2013 წლის სრული მონაცემების მიხედვით კი, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და $2,374 მლრდ. შეადგენს, რაც საქართველოში შემოდინებული პუი–ს 1/5–ია.


მოდით განვიხილოთ საქართველოდან გადინებული პუი–ს სტრუქტურა 2000–2013 წლებში (1999 წლის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი). საბოლოო სურათი შემდეგია: სააქციო კაპიტალში ინვესტიციებმა – $104.3 მლნ შეადგინა; რეინვესტირებულმა შემოსავალმა – $521,5 მილიონს, ხოლო სხვა კაპიტალში ინვესტიციებმა კი – $190 მილიონს მიაღწია. რაც შეეხება წლების მიხედვით შესაბამის კომპონენტებში ქართულ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა „სხვა კაპიტალში" განხორციელებული ინვესტიციებისა, ინვესტიციები დანარჩენ კომპონენტებში – ქაოტური სტრუქტურით ხასიათდებოდა და წლიდან წლამდე კონკრეტული ინვესტიციური პროექტების მიზნებზე იყო მორგებული.

ზემოთ მოცემული მონაცემებისა საფუძველზე განვიხილოთ საქართველოს საინვესტიციო პოზიცია. დიაგრამა 2 გვიჩვენებს საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიებს, რომელიც ახსნილია ორი ცვლადით: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე და ქვეყნის საინვესტიციო პოზიციით (NOI). როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოს საინვესტიციო პოზიცია (NOI) არის ნეგატიური, რაც განპირობებულია შედარებით დიდი მოცულობის პუი–ს ნაკადების შემოდინებით. დიაგრამიდან ასევე ჩანს, რომ ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია 1994 წლიდან მოყოლებული უარესდება.

საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიები

ტიპიური IDP მოდელის მიხედვით დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ საქართველო იმყოფება მეორე სტადიის დასასრულს ან/და მესამე სტადიის დასაწყისში, როდესაც შემომავალი პუი–ს მოცულობის ზრდა იწყებს გამოთანაბრებას და საზღვარგარეთ განხორციელებული პუი კი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ქვეყნის მეორე ეტაპზე ყოფნა შეიძლება აიხსნას პორტერის განვითარების სტადიებით, რომელიც მოიცავს სამ სტადიას: ფაქტორებზე ორიენტირებული, ეფექტიანობაზე ორიენტირებული და ინოვაციებზე ორიენტირებული სტადია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 2013 წლიდან საქართველო ეფექტიანობაზე ორიენტირებულ სტადიაზე იმყოფება. გარდა ამისა, მეორე სტადიაზე ყოფნა ასევე შეიძლება აიხსნას პუი–ის მოტივაციებით. მაგალითად, 2006 წლამდე საქართველოში ძირითადად ხორციელდებოდა რესურსების მაძიებელი პუი, რომელიც დაკავშირებული იყო ბუნებრივი რესურსების (შავი ლითონები, რკინა, სასუქი, მაგნეზიტი, სპილენძი, ცემენტი) მოძიებასთან, ბაქო–თბილისი–სუფსა და გაზის მილსადენის მშენებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლამდე პუი–ის დომინირებად მოტივაციას წარმოადგენდა რესურსების მოძიებას, მეორე მნიშვნელოვანი მოტივაცია იყო ბაზრის ათვისება, რომელთა მამოძრავებელ ძალას

დიაგრამა 2



წარმოადგენდა პრივატიზაცია ისეთ დარგებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაცია, ელეტროენერგიის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობტერმინალები, მედია, ასევე უძრავ ქონებაში (სასტუმროები), რომელთა უმრავლესობა კაპიტალ ინტენსიური დარგებია.

როგორც დიაგრამიდან ჩანს IDP მოდელის მიხედვით საქართველოში სტადიები დიდხანს გრძელდება მცირე ეკონომიკური ზრდის ტემპის გამო. პირველი სტადია მოიცავს 1994-2003 წლებს. მეორე ეტაპზე გადასვლა მოხდა თანმიმდევრულად, როგორც დანინგი აღწერს და სავარაუდოთ გრძელდება 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე. ეს პერიოდი ხასიათდება პუი-ის დიდი ნაკადების შემოდინებით, ერთ სულზე მშპ-ის ზრდით და საქართველოს საინვესტიციო პოზიციის გაუარესებით. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ საინვესტიციო განვითარების გზაზე გაიარა ორი სტადია შემდეგი მახასიათებლით, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიკური რეფორმების ორ ტალღასთან:

• **პირველი სტადია:** 1992-2003, ხასიათდება პუი-ის მცირე ნაკადების შემოდინებით და მუდმივი NOI პოზიციით, რომელიც ახლოსაა ნულთან. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციონალურ საფუძვლებად ფორმირება, რომელსაც ჰქონდა ადგილი 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც შეფერხდა 90-იანი წლების ბოლოს.

• **მეორე სტადია:** 2004 წლიდან – დღემდე, ხასიათდება შემომავალი პუი-ის მოცულობის ზრდით და საზღვარგარეთ განხორციელებული პუი-ს მცირე ნაკადებით და წმინდა საინვესტიციო პოზიციის მკვეთრი გაურესებით. ამ პერიოდში შეიმჩნევა L უპირატესობის გაუმჯობესება ბაზრების ლიბერალიზაციით, რომელიც დაკავშირებული იყო რეფორმების მეორე ტალღასთან. კერძოდ, 2005 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით შემცირდა საგადასახადო განაკვეთები და იმ გადასახადების რაოდენობა, რომლითაც ბიზნესი და ინდივიდები იბეგრებოდნენ. 2006 წელს მიღებული საბაჟო კოდექსით შემცირდა საბაჟო კატეგორიები და ექსპორტისა და იმპორტის სატარიფო განაკვეთები, რამაც გაამარტივა ვაჭრობა და მოჰყვა ეკონომიკის გახსნილობის ზრდა. ბევრ სფეროში განსაკუთრებით შრომის რეგულირებასა და სავაჭრო რეჟიმების სფეროებში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა იყო წარმართებული ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, რომელიც ქმნიდა მოლოდინს, რომ პუი ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების შემოდინებას, ექსპორტის ზრდასა და დივერსიფიცირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. თუმცა, ეს არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. კერძოდ, კაპიტალდაბანდება ისეთ დარგებში, როგორიცაა უძრავი ქონება და ქსელური ინდუსტრია დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით ნაკლებ ეფექტიანია და საკმარისად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობის გაუმჯობესებას. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საქართველოში შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული და ნაკლებად მდგრადია რაც ხელს არ უწყობს მწარმოებლურობის, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შექმნას.

ქართული ფირმების O-ს უპირატესობა

პუი-ის გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე აიხსნება მთლიანი ფაქტორული ან შრომის მწარმოებლურობით (Kokko, 1994), ადგილობრივ დარგებზე გარე ეფექტის

შექმნით (Coe, 1997), და ადგილობრივი ფირმების მიერ ექსპორტის ზრდით (Charaia V., The Role of Multinational Enterprises› Investments in Emerging Country›s Economic Development, Case of Georgia, 2017). მრავალი მკვლევარის აზრით ადგილობრივი ფირმების მოდერნიზებაზე პუი ინვესტიციების გავლენის ხარისხი დამოკიდებულია ადგილობრივ და უცხოურ ფირმების ურთიერთქმედებაზე და მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. რაც მაღალია უცხოური ფილიალების ადგილობრივი დამატებული ღირებულების წილი მით უფრო მაღალია მოსალოდნელი გავლენა. ფილიალების საქმიანობის გავლენა ძლიერია იმ მიმღებ ქვეყანაში, რომელსაც საკმარისად აქვს განვითარებული L და O–ს უპირატესობა და მოიცავს ტექნოლოგიების და მშთანთქმელ შესაძლებლობას (Kokko Ari, 1994), ადამიანურ კაპიტალს (Borensztein, 1998), ეკონომიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკის გახსნილობას (Bengoa, 2003), ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობას (Rodriguez-Clare).

საქართველოში შრომის მწარმოებლურობისა და მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა 2002–2010 წლებში იყო პოზიტიური და მაღალი, გარდა 2008–2009 წლებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა ამ მაჩვენებლების მკვეთრ დაცემას. მაშინ როდესაც რეკორდული ზრდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იყო ძლიერი, ფაქტორები რომელიც განაპირობებდა ამ ზრდას ნაკლებად შესაძლებელია ყოფილიყო მდგრადი მომდევნო წლების ზრდისათვის (Document of the World Bank., 2013)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო სარგებელი მწარმოებლურობის მკვეთრი გაუმჯობესებით, რომელიც არის დამახასითებელი გარდამავალი ტიპის ქვეყნებისათვის, საბაზრო რეფორმების განხორციელების შემდეგ მწარმოებლურობა ძირითადად არა სავაჭრო სექტორში გაიზარდა (მაშინ როდესაც ექსპორტის კონკურენტუნარიანობა და ხარისხის სტანდარტი სტაგნაციაში იმყოფება). ფირმის დონეზე მწარმოებლურობას ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორები მრეწველობაში, რომელიც მოიცავს ალოკაციურ ეფექტიანობას და მწარმოებლურობას ფირმის სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში, ასევე არ არის საკმარისად გამოყენებული.

საქართველოში 2004 წლიდან, მკვეთრი ზრდა მნიშვნელოვან წილად სტიმულირებული იყო კაპიტალის შემოდინებით და არა სავაჭრო სექტორით. შესაბამისად ქვეყანა დგას მდგრადი განვითარების გამოწვევის წინაშე. 2004 წლიდან განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა უზრუნველყვეს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და ადმინისტრირების გაძლიერება, რომელმაც ხელი შეუწყო საშუალოდ 9,3%–იან ზრდას 2004–2007 წლებში. ხოლო პუი–ს შემოდინება, რომელიც 2007 წელს მშპ–ის 16.5%–ს შეადგენდა განპირობებული ადგილმდებარეობის უპირატესობის გაუმჯობესებით და ხელსაყრელი გლობალური ეკონომიკური მდგომარეობით იყო საქართველოში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი მოცემულ პერიოდში. 2008–2009 წლების ეკონომიკური დაცემის შემდეგ ფისკალური სტიმულები და გლობალურ ბაზრებზე მდგომარეობის გაუმჯობესებამ უზრუნველყო წლიური 6.5%–იანი ზრდა 2010–2012 წლებში. თუმცა მკვეთრი ზრდის მდგრადობა საშუალო ვადიან პერსპექტივაში არის ძირითადი გამოწვევა საქართველოსათვის.

2004–2012 წლებში ზრდა მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო მომსახურების, მშენებლობისა და არა სავაჭრო სექტორებით. მაშინ როდესაც სამრეწველო საქონლის ექსპორტი მცირე ტემპებით იზრდებოდა და მისი წილი მშპ–ში იყო უმნიშვნელო და მთლიანად ექსპორტის წილი ინარჩუნებდა მშპ–ის 40 პროცენტს. მაშინ როდესაც მიმდინარე საგადასახდელო დეფიციტი მცირდებოდა მშპ–ის 22 პროცენტიდან 2008 წელს და 2010–2012 წლებში ინარჩუნებდა მშპ–ის 10–12 პროცენტს. ამგვარად, მდგრადი განვითარება და ქართული ფირმების საკუთრების უპირატესობის გაუმჯობესება მოითხოვს ინვესტიციების მოცულობისა და მწარმოებლურობის ზრდას, რაც ადგილმდებარეობის უპირატესობის გაუმჯობესებით მიიღწევა.

ექსპორტისა და სავაჭრო სექტორის წვლილის სიმცირე, ზრდასა და მწარმოებლობაში 2004 წლიდან – არის სერიოზული საკითხი, რომელიც ამ ტენდენციის მდგრადობას ეხება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში (მოყოლებული 2004 წლიდან), საქართველოში ზრდა უფრო სწრაფი იყო ვიდრე საშუალოდ აზიის განვითარებადი, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ქვეყნებს შორის სადაც ნავთობი არა იწარმოება), ექსპორტის წილი მშპ–ში საქართველოში ძალზე მცირეა.

საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში და მასში რესურსებზე დაფუძნებული პროდუქტები ჭარბობს, ისეთები როგორიცაა: ფეროშენადნობები და სასარგებლო წიაღისეული, მაშინ როდესაც დასაქმების გენერირებადი გადამამუშავებელი პროდუქტების წილი – მცირეა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველო ჯერ კიდევ ვერ აღწევს წარმატებას ვერტიკალურად ინტეგრირებული საერთაშორისო საწარმოო ქსელში ჩართვის გზით. საქართველოს საექსპორტო კალათის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა ასევე არ არის განვითარებული (ამოქმედებული) უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში და ქართული ფირმების ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლის ალბათობა არის მნიშვნელოვნად დაბალი ვიდრე სხვა ევროპისა და აზიის ქვეყნების.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში პროგრესი შესამჩნევია, როგორც საკუთრების უპირატესობის გაუმჯობესების, ასევე ადგილმდებარეობის უპირატესობის გაუმჯობესების კუთხით ის ჯერ კიდევ მიეკუთვნება დაბალ შემოსავლიან ქვეყანათა რიცხვს ევროპისა და აზიის რეგიონში, სადაც მშპ–ის დონე კვლავ დაბალია 1990 წლის დონესთან შედარებით. მაშინ როდესაც საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ადგილი ჰქონდა ზრდას მისი მდგრადობის ძირითად წყაროს წარმოადგენს რამდენიმე მიზეზი: ა) 2004–2012 წლებში ზოგადი ზრდა მომსახურების, მშენებლობის და არა სავაჭრო სექტორებით იყო განპირობებული. ბ) 2004–2012 წლებში ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მთლიანი

ფაქტორული მწარმოებლურობის სწრაფი ზრდით, რომელსაც თავის მხრივ მდგრადი ზრდის ინიცირება მოჰყვებოდა გარდამავალ ქვეყნებში. დროთა განმავლობაში ამგვარი მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა და მაღალი განაკვეთის მდგრადობის უზრუნველყოფა რთულია. გ) 2004 წლიდან ინვესტიციების დიდი ნაწილი დაფინანსებული იყო იმ პუი-ის ნაკადების შემოდინებით, რომელიც შემცირდა კრიზისის პერიოდში. ეროვნული დაგროვების ნორმა ასევე დაბალია, რომელიც წარმოადგენს გამოწვევას მდგრადობის კუთხით.

ქართული ფირმების საკუთრების უპირატესობა, ასევე განისაზღვრება დანახრჯების დონით კვლევასა და განვითარებაში. საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამის მიზეზი კი ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონეა. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისთვის, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსის 2015 წლის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (GCI) 2015-2016 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი – 121-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) – 127-ე ადგილი.

დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

- უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა – მე-97 ადგილი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ – 103-ე ადგილი.

ასევე არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 101-ე ადგილზეა.

L-ის უპირატესობა

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ადგილმდებარეობის უპირატესობასა და მწარმოებლობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. ადგილმდებარეობის უპირატესობის გარკვეულ გაუმჯობესებას აქვს ადგილი 2004 წლიდან, როდესაც დაიწყო ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა (Charaia V., 2017). აღნიშნულ რეფორმებს მოჰყვა ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, რაც აისახა მსოფ-

IDP: საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიები					
	I სტადია	**II სტადია**	**III სტადია**	**IV სტადია**	**V სტადია**
საქართველოს ეკონომიკა	**1994-2003**	**2004-**	-	-	-
NOI პოზიცია	• შემომავალი პუი ან არ არის ან მცირე რაოდენობითაა • **NOI პოზიცია - ნეგატიური**	• პუი-ს ზრდადი ნაკადები • გასული პუი-ს მცირე ნაკადები • **NOI პოზიცია - ძალზედ ნეგატიური**	• შემოსული პუი-ის ზრდადი ნაკადები • გასული პუი-ის ზრდადი ნაკადები • **NOI პოზიცია უმჯობესდება და ნაკლებად**	• პუი-ის ნაკადების ექსპორტის ზრდა: • გასული პუი-ს ნაკადები აჭარბებს შემოსულ პუი-ს ნაკადებს • **NOI პოზიცია - დადებითი**	დაბალანსებული შემოსული და გასული პუი-ს ნაკადები; ქვეყნებს შორის ურთიერთ ჩამთრევი ინვესტიციების არსებობა **NOI პოზიცია - ნულთან მერყეობს**
ეკონომიკის სტრუქტურა	პირველადი სექტორი → ეცემა იზრდება → სამრეწველო სექტორი → მცირდება მომსახურების სექტორი → იზრდება				
OLI	• L-ის უპირატესობა შეზღუდულია და შემოიფარგლება ბუნებრივი რესურსების არსებობით. • ქართულ ფირმებს არ გააჩნიათ O-ს უპირატესობა	• L-ის უპირატესობა შედარებით უმჯობესდება რეფორმების მეორე მეორე ტალღის დაწყებით. • მცირედი უმჯობესდება ქართული ფირმების O-ს უპირატესობა			
დარგის მოდერნიზება და ადგილობრივი პირობები	ფაქტორებზე ორიენტირებული განვითარება	ინვესტიციებზე ორიენტირებული განვითარება	ინოვაციებზე ორიენტირებული განვითარება	• კეთილდღეობაზე ორიენტირებული განვითარება • L-ის უპირატესობა არის ძლიერი • O-ს უპირატესობა არის ძლიერი	
პუი-ის მოტივაცია	• უპირატესად ბუნებრივ რესურსების მაძიებელი პუი	• ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი; • ბაზრის მაძიებელი პუი-ს ზრდადი ნაკადები	• ბაზრის მაძიებელი პუი • ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ის ზრდადი ნაკადები მრეწველობაში	• ბაზრის მაძიებელი პუი • ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ის • სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუი	

ლიო ბანკის ანგარიშებში. ამჟამად საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე–8 ადგილს იავებს. მიუხედავად ამისა L–ის უპირატესობის გაუმჯობესების კუთხით ქვეყანას გააჩნია პრინციპული ხასია–თის პრობლემები ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის როგორც ადგილობრივი ფირმების საკუთრების (O–ს) უპირატესობის ამაღლებას, ასევე ეფექტიანობის მაძიებელი პუი–ის ნაკადების შემოდინებას. დღეისათვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე, გამოწვევად რჩება არახელსაყრელი ინსტიტუციონალური გარემო, კერძოდ გადახდის უუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ, გლობალური კონკურენ–ტუნარიანობის ინდექსში 2015–2016 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

- საკუთრების უფლებების დაცვა – 58–ე ადგილი;
- დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა – 92–ე;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა – 138–ე;
- ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა – 123–ე;
- ბაზარზე დომინირების მასშტაბები – 119–ე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები ხელს უშლის OLI–კონფიგურაციის ცვლილებას ქვეყნის საინვეს–ტიციო პოზიციის გაუმჯობესებას და საინვესტიციო განვი–თარების ახალ სტადიაზე გადასვლას.

BIBLIOGRAPHY:

Barry, F. H. (2003). Outward FDI and the investment development path in a late-industrialising economy:evidence from Ireland. Regional Studies , 37(4), 341-349.

Bengoa, M. a.-R. (2003). Foreign direct investment, economic freedom and growth: new evidence from Latin America. European Journal of Political Economy , 19(3), 529-545.

Borensztein, E. J.-W. (1998). How does foreign direct investment affect economic growth? Journal of International Economics, 45(1), 115-135.

Buckley, P. J. (1998). The investment development path: the case of Portugal. UNCTAD. 7, pp. pp. 1-15. United Nations.

Charaia V. (2014). Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia. International Journal of Economics and Management Engineering, Vol:8, No:2. , 549-552.

Charaia V. (2017). The Role of Multinational Enterprises› Investments in Emerging Country›s Economic Development, Case of Georgia. International Journal of Economics and Management Engineering. Vol:11, No:3. , 43, 721-724.

Coe, D. T. (1997, (January)). NorthSouth South R&D spillovers. The Economic Journal , 134-149.

Document of the World Bank. (2013). Georgia: Sustaining Rapid Economic Growth. Country Economic Memorandum. World Bank.

Dunning J.H. (2002). Theories and Paradigms of International Business Activity. 1, 104-105.

Dunning, J. H. (1981). Explaining the international direct investment position of countries: towards a dynamic or development approach. Journal of International Business Studies , 117, 30-64.

Durán, J. J. (2001). he investment development path: a new empirical approach and some theoretical issues”. Transnational Corporations , 10(2), 1-34.

Durán, J. J. (2001). The investment development development path:a new empirical approach and some theoretical issues”., 10(2), pp. 1-34.

Durán, J. J. (2001). The investment development path: A new empirical. Transnational Corporations , 1-34.

Kokko Ari. (1994). Technology, market characteristics, and spillovers. Journal of Development Economics , 43(2, 279-93.

Kokko, A. (1994). Technology, market characteristics, and spillovers. Journal of Development Economics , 43(2), 279-93.

Narula, R. (1996). Multinational Investment and Economic Structure:Globalisation and Competitiveness.

Rodriguez-Clare, A. Multinationals, linkages, and economic development. American Economic Review , 86(4), 852-873.

Scott-Kennel, J. E. (2005). Foreign direct investment and inter-firm linkages: Exploring the black box of the investment development path. UNCTAD/ITE/IIT/. 14, pp. 105-137. New York and Geneva: United Nations.

OLI PARADIGM AND INVESTMENT POSITION OF GEORGIA

DAVID SIKHARULIDZE
PhD, Associated Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
davit.sikharulidze@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.010

VAKHTANG CHARAIA
PhD, Associated Professor
Grigol Robaqidze University, Georgia
vakhocharaia@gmail.com

KEYWORDS: FOREIGN DIRECT INVESTMENTS, GEORGIAN ECONOMY, OLI PARADIGM, INVESTMENT POSITION

SUMMARY

The article focuses on the role of FDI in Georgia's economic development. Based on Investment Development Path, research shows that Georgia is on the second level of its development (see chart 1), which means that inflow investments are prevailing on outflow investments and the country is still progressing based on non-modern technologies based economy. It can largely explain the role of the Government of Georgia in the evolution of the competitiveness of Georgian enterprises and of Georgia as a production location. It also predicts the direction of Georgian outward FDI to neighbor countries and highlights the relevance of the two-way relationship between inward FDI and the upgrading of the country's location advantages, on the one hand, and with the development of domestic firms' ownership advantages on the other hand.

Attracting FDI to Georgia is an issue of major importance nowadays. Georgia has a lot of advantages to promote its economy; however, the small efforts done for the promotion of local savings to transform it to the investments is hinder the economic development of the country. Foreign Direct Investment works as a locomotive to enlarge the transfer of technology, skills and access to export markets. It can decrease unemployment and increase employment; contribute to a higher GDP through higher levels of productivity.

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი და ადამიანის მოდელი ორთოდოქსალურ ეკონომიკურ თეორიაში

თამილა არნანია-კეპულაძე
პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tamila.arnania@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.011

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ადამიანი, ეკონომიკური ქცევა, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი, ადამიანის მოდელი, ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორია

შესავალი

დღეს სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრად არის განპირობებული ეკონომიკის მიკრო–დონეზე ფუნქციონირების თავისებურებებით და იმ გადაწყვეტილებებით, რომლებსაც იღებენ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტები. ასეთი შეხედულება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ე.წ. „ლუკასის კრიტიკის" („Lucas critique", 1976წ.) შედეგად. რობერტ ლუკასის (Robert Lucas, დაიბ. 15.09.1937) თანახმად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ისეთი „სიღრმისეული პარამეტრების" გათვალისწინება, როგორიცაა ინდივიდუალური ქცევა და სწორედ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით უნდა იქნას განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები [8]. ინდივიდუალური ქცევა წარმოგვიდგება ეკონომიკური მოვლენების არსის გაგების ძირითად ელემენად. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანთა ეკონომიკური ქცევის ბუნების გაგება და განსაზვრა.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება არ იძლევა ეკონომიკური ქცევის უდაო და სრულყოფილ განმარტებას და ეკონომიკურ თეორიაში დღემდე არ არსებობს ცალსახად ჩამოყალიბებული, საყოველთაოდ აღიარებული და უალტერნატივო ადამიანის მოდელი.

მეცნიერები ავლენენ ადამიანის ეკონომიკური ქცევისა და მისი მახასიათებლების მიმართ მიდგომათა არაერთგვაროვნებას და ადამიანთა ქცევის შესწავლის პროცესში ეფუძნებიან განსხვავებულ მეთოდოლოგიურ დებულებებს.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში, მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სკოლების, მიმართულებებისა და ქვემიმართულების არსებობის მიუხედავად, გამოიყოფა ადამიანის დომინირებადი მოდელი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ საორიენტაციო და შესადარებელ მოდელს ყველა სხვა დანარჩენი ეკონომიკური სკოლებისა და მიმართულებებისთვის – ეს არის კლასიკური ეკონომიკური სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებული და ნეოკლასიკური სკოლის ფარგლებში განვითარებული ეკონომიკური ადამიანის – "Homo Economicus"–ის – მოდელი. სწორედ ეს მოდელი ითვლება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების „მეინსტრიმის" ("Mainstream economics") ანუ ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური აზრის დომინირებადი მიმართულების ერთ–ერთ ფუძემდებლურ დოგმად, რომლის საფუძველზე კლასიკურმა თეორიამ ფორმალიზაციის უმაღლეს დონეს მიაღწია.

1. ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური მეინსტრიმი

ზოგადად, „Mainstream economics" – ეს არის ისტორიული კატეგორია, რომელიც ახასიათებს ეკონომიკური თეორიის განვითარების გარკვეულ ეტაპს და გამოხატავსამ ისტორიულ პერიოდში ფართოდ გავრცელებულ და აღიარებულ ეკონომიკურ შეხედულებათა სიტემას, რომლისთვის დამახასიათებელია მეთოდოლოგიურად ხელოვნურად შექმნილი ენის, ეკონომიკური მეცნიერების ე.წ. „შიგა" ენის (სხვაგვარად, „მეცნიერების მეტა–ენის"ანუ „მეორე რიგის" თეორიული ენის) ჩამოყალიბება და რომელიც შესაძლებელს ქმნის ეკონომიკური მოვლენების თეორიულ დონეზე გააზრებას, გაანალიზებასა და გადმოცემას.

თანამედროვე ეტაპზე "Mainstream economics" წარმოდგენილია ნეოკლასიური ეკონომიკური მიდგომით, რომელიც ჩამოყალიბდა მარჟინალისტური რევოლუციის პერიოდში.თანამედროვე მეინსტრიმეკონომიკას საფუძვლად უდევს მთელი რიგი ექსპლიციტური (ლათ. explicite – ღია, აშკარა ანუ ღიად გამოხატული, გარე) და იმპლიციტური (ლათ. Implicitum, ინგლ. Implicit, ფრანგ. implicite ანუ ფარული, ნავარაუდევი, არ დასახელებული) წინაპირობა.

ტრადიციულ მეინსტრიმ ეკონომიკის წარმომადგენლებს, ანუ ეკონომისტ–ნეოკლასიკოსებს, აერთიანებს ეკონომიკური პროცესების კვლევის საერთო მეთოდოლოგია, რიმელიც ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ეკონომიკური ლიბერალიზმი, კონკურენციისა და საბაზრო წონასწორობის აპრიორი აღიარება, რაციონალურობისა და სარგებლიანობის მაქსიმიზირება. თუმცა დღეისათვის ჩამოყალიბდა განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა თანახმად თანამედროვე მეინსტრიმს მიეკუთვნება ნეოკეინზელობა და ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკა. ამ სკოლების წარმომადგენლებს აერთიანებს ადამიანის (ან განზოგადებულად – ეკონომიკური სუბიექტის, ინდივიდუალური ეკონომიკური აგენტების, მათ შორის სახელმწიფოს) ქცევისადმი ოპტიმიზაციის პრინციპების მისადაგება. არსებობს მოსაზრება, რომ ის განსხვავებები, რომლების ეკონომიკური მეცნიერების წამყვან (ნეოკლასიკური, კეინზური და ინსტიტუციონალური) სკოლებს შორის არსებობდა

მათი აღმოცენებისა და მე-20 საუკუნეში მათი თანაარსებობის პერიოდში, 21-ე საუკუნეში მნიშვნელოვან წილად აღმოფხვრილ იქნა და ჩამოყალიბებდა „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკა“ („New mainstream economics”). ამასთან, „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკა“ არ ღალატობს ტრადიციას და მის ფარგლებშიც ნეოკლასიკური მიმართულება კვლავინდებურად წამყვან პოზიციებს იკავებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკის“ ჩამოყალიბების საკითხი არ არის მარტივი და ასეთი შეხედულებაარარისუალტერნატივო.საკმარისიაგავიხსენოთ, პირველ რიგში, „ნეოკლასიკური სინთეზი“, რომლის ძირითადი პრინციპი იყო შემოთავაზებული ჯერ კიდევ 1937 წელს **ჯონ რიჩარდ ჰიკსის** (John Richard Hicks, 1904-1989) მიერ, ხოლო ათი წლის შემდეგ, 1947 წელს, საბოლოო სახე მიიღო **პოლ ენტონ სამუელსონის** (Paul Anthony Samuelson, 1915-2009) „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლებში“, შემდგომში კი, ანუ მე-20 საუკინის 40-ანი წლების დამლევსა და 50-ან წლებში ასახა კეინზური ეკონომიკური თეორიის ჩართვა ნეოკლასიკურ დოქტრინაში. მოგვიანებით კი, ანუ მე-20 საუკინის 50-60 წლებში, კეინზელობის ერთ-ერთმა მიმართულებამ – ორთოდოქსურმა კეინზელობამ – დაიკავა წამყვანი პოზიცია ეკონომიკურ მეცნიერებაში და გამოვიდა „მეინსტრიმ ეკონომიკის“ როლში. მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი პოზიციის დიდი ხნით შენარჩუნება და გასული საუკუნის 70-ან წლებში შეცვლილი იქნა ორთოდოქსალური მონეტარიზმით და ნეოკლასიკური მაკროეკონომიკით. თავისი პოზიციის დაბრუნება კეინზელობამ შეძლო მხოლოდ 2008 წლის კრიზისის შემდეგ, მაგრამ ისევ მეინსტრიმის (თუმცა ამჯერად უკვე „ახალი მეინსტრიმ ეკონომიკის“) ფარგლებში. განსხვავებული „ბედი“ ეწია ინსტიტუციონალურ ეკონომიკას, როცა მე-20 საუკუნის 80-ან წლებში ის შევიდა მეინსტრიმ ეკონომიკაში ნეოკლასიკური თეორიის ინსტრუმენტარის, მ.შ. ნეოკლასიკური თეორიის მეცნიერების მეტა-ენის, ათვისების წყალობით.

ამასთან, თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული თეორიების მრავალსახეობის, მათი კლასიფიკაციის სირთულისა და თანამედროვე ეკონომიკური კვლევების კერძო პრობლემებზე კონცენტრირების გამო, ზოგჯერ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ეკონომიკურმა მეინსტრიმმა დაკარგა თავისი როლი, რომ მან საერთოდ შეწყვიტა თავისი არსებობა. ამგვარი შეხედულებები არ ითვალისწინებენ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ დღემდე შენარჩუნებულია ის მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც ემყარებიან ეკონომიკური აგენტების ოპტიმიზაციურ ქცევას, რომლის კვლევა ხორციელდება სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაციის და დანახარჯების ფუნქციის მინიმიზაციის საფუძველზე. ოპტიმიზაციური ქცევა და წონასწორული მიდგომა, როგორც ეკონომიკური კვლევის ძირითადი მეთოდი, ერთი მხრივ, და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი, როგორც ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგიური ბირთვის ძირითადი კონცეპტუალური და ფუძემდებლური პოსტულატი, მეორე მხრივ, კვლავინდებურად რჩებიან თანამედროვე ეკონომიკის მეინსტრიმის წამყვან პრონციპებად. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა ეკონომისტი ეთანხმება ამ პრინციპებს. ეკონომიკურ მეინსტრიმს და მის ორთოდოქსალურ თეორიას ეწინააღმდეგება ე.წ. ჰეტეროდოქსალური ეკონომიკური თეორია, რომელიც არ ეფუძნება და არ ცნობს „ორთოდოქსალური თეორიის ცხოვრებისაგან შორს მდგარ საწყის წინაპირობებს“ [4, გვ. 295]. ეკონომიკის ჰეტეროდოქსალური მიმართულება უარყოფს ოპტიმიზაციის, წონასწორობისა და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპს და ავითარებს საკუთარ ხედვას ეკონომიკური პროცესების კვლევისა და ადამიანი ქცევის მიმართ.

2. ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორია და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი ეყრდნობა ისეთ ფუძემდებლურ პოსტულატს, როგორიცაა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი.

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი წარმოადგენს მეინსტრიმ ეკონომიკის მეთოდოლოგიური ბირთვის (hard core) ძირითად კონცეპტუალურ და ფუძემდებლურ პოსტულატს. ითვლება, რომ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმზე დამყარებული შეხედულებათა სისტემა, რომელიც ახასიათებს ორთოდოქსალურ ეკონომიკას, თავისი ფესვებით **ალფრედ მარშალის** (Alfred Marshall, 1842-1924) „ეკონომიკის პრინციპებიდან“ ამოდის, ხოლო მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან ამ შეხედულებათა სისტებას უკვე იზიარებდა არა მხოლოდ ნეოკლასიკური სკოლის ეკონომისტთა უმრავლესობა, არამედ ამათუ იმ დონით სხვა სკოლების წარმომადგენლებიც.

მიუხედავად მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის ფართო აღიარებისა, დღემდე არ არსებობს მისი ცალსახა განსაზღვრა. თუმცა, თუ შევაჯამებთ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის დღეისთვის არსებულ განმარტებებს, შეიძლება გამოვყოთ საერთო მნიშვნელი, როგორიცაა ეკონომიკური მოვლენების ახსნა ეკონომიკური სუბიექტების ინდივიდუალური ქცევის საფუძველზე.

ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, ცნობილი მეცნიერი და ეკონომიკური აზრის ისტორიის პროფესორი **მარკ ბლაუგი** (Mark Blaug, 1927-2011) თავის ნაშრომში „ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია ან როგორ ხსნიან ეკონომისტები“ განსაზღვრავდა მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს, როგორც წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ყველა სოციალური მოვლენა შეიძლება იქნას დაყვანილი ინდივიდუალურ ქცევამდე [1; 14,გვ.320].

ანალოგიურ შეხედულებას მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის თაობაზე იზიარებდა აგრეთვე მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი ფილოსოფოსი, ავსტრიასა და ბრიტანეთში მოღვაწე სოციოლოგი **კარლ პოპერი** (Karl Raimund Popper, 1902-1994). თავის ორ ტომად გამოცემულ ნაშრომში „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (“Open Society and its Enemies”) კ.პოპერი წერდა, რომ „ყველა სოციალური მოვლენა და განსაკუთრებით სოციალური ინსტიტუტების

ფუნქციონირება უნდა იქნას გაგებული, როგორც ადამიანთა ინდივიდების გადაწყვეტილების შედეგი" [9].

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის მიდგომიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ქცევა წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური მოვლენების შინაგანი ბუნების გაგების ძირითადი მაჩვენებელი, როგორც ეკონომიკური მოვლენების შინაგანი ბუნების მთავარი ატრიბუტი. ამასთან, ეს ეკონომიკური მოვლენები განიხილება არა მარტო მიკრო, არამედ მაკრო დონეზე და ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემებიც, როგორიცაა უმუშევრობა, ინფლაცია და სხვ. აგრეთვე აიხსნება ინდივიდუალური ქცევის საფუძველზე [10, გვ. 670]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ სხვა მეცნიერებიც (იხ. 5; 8; 11 და სხვ).

ამასთან, ინდივიდის ქცევა ეფუძნება და აიხსნება იმ თავისებურებებით, რომლების „მიეწერება" ეკონომიკურ სუბიექტს. ანუ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი ინდივიდის ქცევას ხსნის ეკონომიკური სუბიექტისათვის გარკვეულ „იმანენტურ" თვისებებით. ეკონომიკის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ინდივიდის (ეკონომიკური სუბიექტის) ქცევაზე მოქმედ მახასიათებლებს და ამ მრავალფეროვან შეხედულებებში ეკონომიკური სუბიექტი (ინდივიდი) წარმოდგენილია, როგორცადამიანის აბსტრაქტული მოდელი, რომელშიც ადამიანი მიისწრაფის საკუთარი კეთილდღეობის მიღწევისა და საკუთარი სარგებლიანობის ზრდისკენ.

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი – ეს არის თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართოდ გამოყენებადი ანალიტიკური ხერხი, რომელიც განიხილავს მიკრო და მაკრო დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს, ანუ რაციონალური, დამოუკიდებელი (ავტონომიური) და თანასწორუფლებიანი „ეკონომიკური ატომების" ეკონომიკურ ქცევას და ამის საფუძველზე შეისწავლის და ხსნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს.

მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული შეხედულებათა (დოქტრინებისა და პოსტულატების) სისტემა ინარჩუნებს მყარ პოზიციებს ეკონომიკური მეცნიერების სივრცეში და დღემდე არ არის ჩამოყალიბებული მეტნაკლებად კარგად დამუშავებული და აღიარებული ალტერნატიული მეთოდოლოგიური მიდგომა, თუმცა ასეთ მცდელობებს ნამდვილად აქვს ადგილი. ორთოდოქსალური ეკონომიკური თეორიის ფარგლებში შექმნილი და ფართოდ გავრცელებული ადამიანის მოდელი დღემდე რჩება საყოველთაოდ აღიარებულად.

3. ადამიანის მოდელი და აკრონიმების მნიშვნელობა

ტრადიციული მიკროეკონომიკური ორთოდოქსალური თეორია განიხილავს ადამიანს (უფრო ზუსტად — ადამიანთა ქცევის აბსტრაქტულ მოდელს, რომელმაც „Homo Economicus"-ის ანუ „ეკონომიკური ადამიანის" სახელწოდება მიიღო), როგორც დამოუკიდებელს, ასოციალურ, ეგოისტურ, რაციონალურ არსებას, რომელსაც გააჩნია სტაბილური და ეგზოგენური უპირატესობები და რომელიც ყოველ კონკრეტულ მომენტში ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას არსებული ვითარებების შესახებ და საკუთარი ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ახორციელებს ამ ინფორმაციის გამოყენებას სარგებლიანობის მაქსიმიზირების მიზნით.

ეკონომიკური ადამიანის აღნიშვნისათვის გამოიყენება **უილიამ მაკლინგისა** (William H. Meckling, 1922-1998) და **კარლ ბრუნერის** (Karl Brunner, 1916-1989) მიერ [3; 6] შემოთავაზებულიაკრონიმიREMM("Resourceful,Evaluative, Maximizing Man" ანუ მოხერხებული, შემფასებელი, მაქსიმიზაციაზე მიმართული (ორიენტირებული) ადამიანი). ადამიანისადმი ამგვარი მიდგომა განიხილავს ადამიანს, როგორც „ჭკვიან მექანიზმს", რომელსაც ყოველთვის შეუძლია „გამოიმუშაოს" საკუთარი სარგებლიანობის მაქსიმიზაციაზე მიმართული იდეები.

მაკლინგისა და ბრუნერისმიერ შემოთავაზებული აკრონიმის REMM ნაირსახეობას წარმოადგენს სხვა აკრონიმი – RREEMM („Resourceful, Restricted, Expecting, Evaluating, Maximizing Man") [12; 13], რომელიც მაკლინგისა და ბრუნერის მიერ მოცემულ ადამიანის მახასიათებლებს ამატებს კიდევ ორ მახასიათებელს – „Restricted" ანუ „შეზღუდულს" და „Expecting" ანუ „მოლოდინში მყოფს".

აკრონიმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მოდელი, რომელიც, ამჯერად, სოციოლოგიაში ჩამოყალიბდა და „სოციოლოგიური ადამიანის" სახელწოდება მიიღო.

ჰოლანდიელი სოციოლოგის **ს.ლინდენბერგის** (Siegwart Michael Lindenberg, დაიბ. 26.12.1941) [7] მიერ შემუშავებულია „სოციოლოგიური ადამიანის" ორი მოდელი [15, გვ.51-72]. ერთი მათგანი გამოისახება აკრონიმით SRSM ("Socialized, Role-Playing, Sanctioned Man") ანუ სოციალიზირებული, როლის შემსრულებელი, სანქციებით შეზღუდული ადამიანი. ეს მოდელი ახასიათებს ადამიანს, როგორც გარკვეულ როლზე ორიენტირებულ, სოციალურად დეტერმინირებულ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია გარკვეული ვალდებულებები საზოგადოების თუ სხვა ადამიანების მიმართ. ამ მოდელში ადამიანის ქცევა მეტნაკლებად განსაზღვრულია იმ როლით, რომლის შესრულებაც მას უწევს. ამგვარი განსაზღვრულობა პროგნოზირებადს ქმნის პიროვნების ქცევას. მაგრამ იმ შემთხვევისთვის, თუ კი ადამიანი ამა თუ იმ მიზნის გამო „გადაუხვევს" მის მიერ შესასრულებელ როლს, ძალაში შედიან სანქციები, რომლებიც აკავებენ პიროვნებას საკუთარი როლის ფარგლებში.

„სოციოლოგიური ადამიანის" მეორე მოდელი გამოისახება აკრონიმით OSAM („Opinionated, Sensitive, Acting Man") ანუ საკუთარი შეხედულებების მქონე, მგრძნობიარე, მოქმედი ადამიანი. თვად ავტორი აკავშირებდა ამ მოდელს ემპირიულ სოციოლოგიასთან ანუ შეხედულებებზე, ცხოვრებისეულ პოზიციებზე დაფუძნებულ ქცევასთან. ამ მოდელის მიხედვით პიროვნება მოქმედებს საკუთარი შეხედულებების მიხედვით. მაგრამ ვინაიდან ეს პიროვნება არის მგრძნობიარე, მის შეხედულებებზე ადვილად ახდენს გავლენას გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენები.

როგორც ვხედავთ, ს. ლინდენბერგის მიერ შექმნილ „სოციოლოგიური ადამიანის" მოდელებს არაფერი საერთო არ გააჩნია ეკონომიკურ ადამიანთან და ამგვარად სოციოლოგიის ფარგლებში შემუშავებული წარმოდგენა ადამიანზე და მის ქცევაზე ავსებს და სრულყობს ეკონომიკური მეცნიერებაში შექმნილ ადამიანის მოდელს.

როგორც გერმანელი მეცნიერი რ. ბლუმი (Rodney Leland «Rod» Blum, დაიბ. 26.04.1955) აღნიშნავს, საზოგადოებრივი მეცნიერების ყოველ მიმართულებას გააჩნია საკუთარი „Homo logicus» [2] და დღეს ადამიანის ქცევა განიხილება, როგორც ინტეგ-რირებული თეორიული მიდგომის საფუძველი, რომელიც აერთიანებს ისეთ მეცნიერულ მიმართულებებს, როგორიცაა ეკონომიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ფილოსოფია, თეოლოგია, კულტუროლოგია და სხვ.

დასკვნა

ადამიანის ქცევის მოდელი წარმოადგენს ფუძემდებლურ და სისტემაშემქმნელ ელემენტს თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ნებისმიერი მიმართულებისათვის. ყველა ეკონომიკური სკოლა ავითარებს ადამიანის ისეთ მოდელს, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ წარმოაჩენს ამ სკოლის, როგორც თეორიული სისტემის, წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ან უნდა ფუნქციონირებდეს ეკონომიკა, თუ როგორ და რის საფუძველზე ვითარდება ან უნდა ვითარდებოდეს საზოგადოება და ამგვარად გამოხატავს ამ ეკონომიკური სკოლების თუ თეორიული სისტემების წარმომადგენელთა მსოფლმხედველობას საზოგადოების მოწყობასა და განვითარების შესაძლებლობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Blaug M.,** 1980, The methodology of economics, or How economists explain.
2. **Blum R.,** Die Zukunft, (1991) des Homo oeconomicus // Das Menschenbild der okonomischen Theorie / Hrsg. Von B. Biervert, M. Held. Frankfurt a. M.; New York.
1. **Brunner Karl, William H. Meckling,** 1977, The Perception of Man and the Conception of Government, Journal of Money, Credit and Banking Vol. 9, No. 1, Part 1 (Feb., 1977), pp. 70-85.
2. **Dequech David,** 2007, Neoclassical, mainstream, orthodox, and heterodox economics, Journal of Post Keynesian Economics, Taylor & Francis Journals, vol. 30(2), pp. 279-302.
3. **Gintis H.,** 1987, Review on Analytical Marxism by John Roemer // The American Political Science Review, 81 (3), Sep., 1987, P. 983-985.
4. **Jensen M.C., Meckling, W.H.,** 1976, Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure. Journal of Financial Economics, 3, 305-360.
5. **Leibenstein H.,** 1976, Beyond the Economic Men: A New Foundation for Microeconomics. ISBN 9780674068926, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.
6. **Lucas, Robert,** 1976, Econometric Policy Evaluation: A Critique, in Brunner, K. & Meltzer, A., The Phillips Curve and Labor Markets, vol. 1, Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy, New York: American Elsevier, ISBN 0444110070, Pp. 19–46.
7. **PopperK. R.,** 1945, Open Society and its Enemies, Vol. 1.
8. **Toboso F.,** Institutional individualism and institutional change: the search for a middle way mode of explanation. // Cambridge Journal of Economics, 25 (6), November, 2001.
9. **Udehn L.,** The Changing Face of Methodological Individualism. // Annual Review of Sociology, 2002, 28. P. 479–507.
10. **Автономов В. С.,** 1998, Модель человека в экономической науке. СПб.: Экономическая школа.
11. **Автономов В. С.,** 1998, Модель человека в экономической теории и других социальных науках. В кн.: Истоки. Вып. 3. М.: ГУ-ВШЭ. С. 24-71.
12. **Блауг М.,** Методология экономической науки, или Как экономисты объясняют. Пер. с англ. / Науч. ред. и вступ. ст. В.С. Автономова. -М.: НП «Журнал Вопросы экономики», 2004. - 416 с., გვ.320.
13. **Бруннер К.,** 1993,Представление о человеке и концепция социума: два подхода к пониманию общества. THESIS. Т. 1. №. 3. С. 51-72.

METHODOLOGICALINDIVIDUALISM AND HUMAN MODEL IN ORTHODOX ECONOMIC THEORY

TAMILA ARNANIA-KEPULADZE
Professor
Akaki Tsereteli State University, Georgia
tamila.arnania@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.011

KEYWORDS: ECONOMIC MEN, ECONOMIC BEHAVIOR, METHODOLOGICAL INDIVIDUALISM, HUMAN MODEL, ORTHODOX ECONOMIC THEORY

SUMMARY

Today it is widely recognized that the economic development is largely determined by the decision taken by economic agents.

Modern economic science does not provide an undeniable and perfect definition of economic agents' economic behavior and a universally recognized and having no alternative model of human behavior is not yet formulated in the economic theory.

Scientists proceed from the different methodological approaches and use various characteristics for the development perceptions regarding human behavior.

Despite a large number of scientific schools, directions, and divisions of modern economic theory, there is a dominant model of human behavior which represents a specific orientation and comparable model for other economic schools – this is the model of Homo Economicus that arose within the classical economic theory and was developed by the neoclassical economic school. This model is considered to be one of the founding dogmas of the modern Mainstream Economics in which the classical economic theory has reached the highest level of formalization.

The given article considers the peculiarities and interconnections of orthodox economic theory and Mainstream Economics and mentions that along of evolution of their interrelations the optimization behavior, the principles of minimizing expenses and maximize of a profit still remain to be a general methodological approach.

The modern economic mainstream is based on the fundamental postulate such as methodological individualism that is most widely used an analytical method in modern economic science. According to methodological individualism, the human behavior is the main indicator of the nature of economic phenomena.

The traditional microeconomic orthodox theory considers human beings as independent, associative, selfish, and rational species, which have stable and exogenous preferences and in every particular moment have full information about the current situation and use the information in order to satisfy own egoistic interests with a purpose to maximize a benefit.

To define the model of economic men the acronym REMM (or «Resourceful, Evaluative, Maximizing Man») proposed by Karl Brunner and William H. Meckling is used. Based on the development of the acronym REMM the acronym RREEMM (or „Resourceful, Restricted, Expecting, Evaluating, Maximizing Man") was developed. Other models of human behavior were developed by a sociologist Siegwart Michael Lindenberg. He distinguishes two types of human behavior and presents them by acronyms SRSM (or "Socialized, Role-Playing, Sanctioned Man") and OSAM (or "Opinionated, Sensitive, Acting Man").

The human behavior model is a fundamental and systematic element for any direction of the modern economic theory. Every economic school develops its own model of human behavior that best illustrates this school as a theoretical system.

THE IMPACT OF STRATEGIC PLANNING ON ORGANIZATIONAL PERFORMANCE THROUGH STRATEGY IMPLEMENTATION

TORNIKE KHOSHTARIA
European University, Georgia
tkhoshtaria@eu.edu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.012

KEYWORDS: BUSINESS STRATEGY, STRATEGIC MANAGEMENT, STRATEGY IMPLEMENTATION, ORGANIZATIONAL PERFORMANCE

Actuality of the research. Strategic management is a key factor of the success of any organization. At what degree managers pay attention to strategy formulation and its implementation is reflected on a company performance. worldwide experience shows, that successful companies have clearly formulated the strategic choice so they reach set goals step by step. In this way, they get desired results at local or international levels.

Theoretical basis of the work. Literature analysis showed that the main field of interest of strategic management is to answer the following question–what causes performance heterogeneity between the competitor organizations? (Rummelt, 1994). According to the existing point of view, heterogeneity in the performance indicators can be explained by strategic planning process, strategy formulation and the degree of planning strategy implementation (Minzberg, 1990; Parnell, 1997). Therefore, the impact of the above mentioned three factors on organizational performance is discussed in the following research. The organizational results are measured with two mechanisms - "Objective fulfillment" and "Relative competitive performance". The objective fulfillment shows how an organization manages to reach its outlined short-term or long-term goals, while "Relative competitive performance" show the degree of improvement or worsening the company's performance according to sales, profit, market share, etc.

The scientific novelty of the work. It is estimated, that the manufacturing companies' in Georgia, which are focused on a rational and comprehensive strategic planning have better results than those putting less emphasis on strategic planning. Also, it is empirically proved that the companies adopting rational and comprehensive strategic planning in Georgia do not focus on the degree of planning the strategy implementation.

Practical value of the work. The research results are important not only for those studying strategic management issues but for the managers of running enterprises in Georgia who try to succeed on a competitive market through the strategic planning process. Given study will help managers to identify impeding factors in making a strategic choice and overcome difficulties arising in this process.

1. The impact of Strategic planning on organizational performance

Strategic planning process. Strategy formulation rational and comprehensive choice is used in this research. This method is used by many researchers to explain the phenomenon of different performance of competitor organizations. It should be noted, that some works showed positive effect of strategic planning on companies' results. Though, some researchers did not find any connection between these two phenomena. Besides, the most researchers did not indicate the field or the sector of their studies.

Review of empirical literature. After reviewing the strategy formulation models, the choice was made in favor of strategy formulation rational choice model. According to this method, the strategy should be made with the assistance of formal strategic planning and analytical techniques. The formal strategic planning is a clearly formulated process consisting of the following elements: goal identification, strategy formulation and its evaluation (Armstrong, 1982, Steiner, 1979; Boyd, 1991).

Measurements for the strategic planning process. Various measurement methods were used by strategy scholars. It is seen that those methods defer significantly from each other. After the studying several works Boyd and Raining-Elliot (1998) revealed incoherence and discordance in the process of measuring strategic planning. They identified the following indicators: formality, analysis, efficiency, comprehensiveness, size, completeness, meaning, rationality, goal formulation, observation and analysis, processes, factors, systems, clarity, innovation, specifications, abilities and strategy. Most of these works characterized the strategic planning according to the meaning of indicators and formality (Pierce, Friedman and Robinson, 1987) while, other works indicated that knowledge and abilities play more important role than other aspects (Vencatraman and Ramanujam, 1987). Boyd and Roining- Elliot (1998) considered the strategic planning to be a normative process and identified its main indicators: mission statement, tendency analysis, competition analysis, long-term annual goals, action plans and liquidity.

2. The degree of planning of strategy implementation

Strategy Implementation and Performance - Although there is significant theoretical and or empirical literature available on strategic processes, its implementation process has not yet been studied widely enough. According to Noble and Mokwa strategy implementation is the most important link between a strategy formulation and a firm's performance. Nutt has conducted research studying on both the U.S. and Canadian organizations. He came to the conclusion that not even half of these organizations have fulfilled their goals because of the mistakes in the implementation process.

Hickson identified eight influential factors on the strategy implementation process and classified them into two groups. The first group factors are based on experience and include: acceptability, resourcing, familiarity and specificity. The second group factors are based on readiness and include: structural facilitation, priority and receptivity. According to the authors, companies have only two options in successfully implementing the strategy. One is a planned option and the other is a prioritized option. Adopting either of the aforementioned approaches in the process of strategy implementation will make a company's results better but Hickson based on their research findings, has concluded that those companies choosing to employ an integrated approach have better results in their performances.

3. Organizational performance

Performance Measures - The majority of studies use a variety of measures, such as non-financial (success) or financial. Financial measure comprises such indicators as: profit turnover, return on investment, return on capital employed and inventory turnover. Non-financial measures include innovation and market standing.

The measures in the success of a firm's performance generally include the bottom-line, and financial indicators such as sales, profits, cash flow, return on equity, and growth. These factors are important to determine how a firm compares with its industry competitors when assessing a firm's performance. With the multitude of competitive environments faced by firms in differing industries, knowing only absolute financial numbers such as sales, profits, and or cash flow is not very illuminating unless viewed in the context of how well the firm is doing compared to their competition. Therefore, it is important to use an industry comparison approach when making firm performance assessments for organizations sampled from a wide variety of industries.

This research is going to adopt the two types of performance measures (objective achievement and competitive performance, including financial performance measures like: return on assets, return on equity, return on sales end etc.) used by many researchers in different combinations.

4. Research Methodology

The aim of The Study – The following study is concentrated on researching the strategic planning and strategy implementation processes employed by Georgian based manufacturing companies and their impact on performance. For this two hypotheses have been formulated. One of them tested whether or not there is a link between strategic planning and company performance and the other looked at the relationship between strategic planning and the degree of planning strategy implementation.

- **Hypotheses H1. Rational, Comprehensive strategic planning contributes towards better organizational performance.**
- **Organizations with strong emphasis on strategic planning also pays significant attention to strategy implementation.**

Research Strategy - The following research undertook a quantitative strategy through a deduction approach. Hypotheses were formulated from the existing knowledge which has been tested using the primary data collected from administering the questionnaire. A random sample of the manufacturing organizations that were selected for this study and the findings that were generalized. Due to the above stated reasons, this quantitative research strategy is the most appropriate for this study. The hypothesized relationships between the variables are tested using appropriate statistical techniques in order to assess and model the relationships.

FOREIGN DIRECT INVESTMENT INFLOW IN 1997-2016 YEARS IN GEORGIA, UKRAINE AND MOLDOVA (COMPARABLE ANALYSIS)

LEVAN SILAGADZE
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
levani.silagadze@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.021

KEYWORDS: FDI, GEORGIA, UKRAINE, MOLDOVA

SUMMARY

Resource deficit is a serious problem, but wealthy resources do not mean the riches of the country. One of the main reasons for the collapse of the former Soviet Union was ineffective use of rich natural resources. The Soviet economy, especially in the last years of its existence, was mainly dependent on income from the export of resources. Dropping prices on export resources have significantly damaged the country and have played a big role in the collapse of the former USSR. In the early 1990s, after the dissolution of the Soviet Union, new independent states, differently, but still found the way to build a market economy. Some of them have benefited from the richness of resources, while others more or less have taken advantage of innovations. Recently, one of the post-Soviet states (Georgia, Ukraine, Moldova) became associate members of the EU. The European integration vector has created new requirements. It becomes more actual to stimulate attracting foreign investments. In these processes the countries which use these foreign investments in accordance with logically elaborated and substantiated priority are getting more benefit. All three above-mentioned countries are suffering a serious problem of territorial integrity which obviously creates a lot of problems. The report is dedicated to the comparative analysis of only foreign direct investment (FDI) in Georgia, Ukraine and Moldova. Initially, the newly formed independent post soviet countries have suffered from a deficit of their own finances, and foreign investors were observing the current events and not hurrying. Countries should have their own model of development, to create the laws, structures, conditions for people to get dignified income to deepen the integrative processes and etc. Such tasks could not be completed in a short time, which was well understood by foreign investors. As a result in the early 1990s the scales of direct foreign investments in the analyzed countries were minimal, and then the processes were speeding up. The FDI played a key role in economic development of these countries.

უმუშევრობის დონის ცვლილების ტენდენციები საქართველოში და მისი რეგულირების მიმართულებები

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.022

მირონ ტუღუში
ეკონომიკის დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მოწვეული პროფესორი, საქართველო
tugushim@gmail.com

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, უმუშევრობის დონე, შრომის ბაზარი, დასაქმება, დასაქმების სტრატეგიები

უმუშევრობა ურთულესი და უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური პრობლემაა, რომელსაც თან ახლავს უკიდურესად ნეგატიური შედეგები. პრობლემის სირთულეზე ისიც მიუთითებს, რომ მისი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა შეუძლებელია, მას ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მუდმივი და მრავალმხრივი ძალისხმევა სჭირდება. სწორედ ამიტომ, უმუშევრობის მართვა-რეგულირება ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი ამოცანაა. უმუშევრობის დასაძლევად ქვეყნები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ეფექტიანად გამოიყენონ რესურსული პოტენციალი (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, ინფორმაციული), განახორციელონ ადეკვატური საინვესტიციო, საგადასახადო, საგანმანათლებლო პოლიტიკა და ა.შ., რათა შესაძლებელი გახდეს უმუშევრობის რეგულირება, თუმცა, ყველა ქვეყანა, სხვადასხვა მიზეზის გამო ამას ვერ ახერხებს და სოციალური აფეთქების ზღვარზე იმყოფება.

საქართველო, ოფიციალურად დაფიქსირებული უმუშევრობის დონით ასეთი საშიშროების წინაშე არ დგას, მაგრამ მისგან არც ძალიან შორსაა, რაც დაადასტურა „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI-ის) მიერ მიმდინარე წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომლის მიხედვით საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის 40 პროცენტი თვლის, რომ „მთავარი პრობლემა, რომლის წინაშეც ამჟამად საქართველო დგას – არის უმუშევრობა, მეორე ადგილზეა ეკონომიკა, 23%-ით" (2). ჩვენი ეკონომიკა ჯერ კიდევ არამდგრადია და ვერ იზრდება იმ ტემპით, რომელიც კადრებზე მოთხოვნის ზრდას უზრუნველყოფს, არადა უმუშევრობის პრობლემის არსებითად დაძლევა ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე, გამოდის, რომ ეს ორი პრობლემა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და უმუშევრობის პრობლემა ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარების გარეშე ვერ გადაწყდება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში, საქართველოში, დასაქმებისა და უმუშევრობის (ისევე როგორც სხვა სფეროების) ოფიციალური სტატისტიკა, სხვადასხვა მიზეზის (მეთოდოლოგიური მიდგომებისა თუ სხვა) გამო, ექსპერტების, მათ შორის ჩვენი აზრითაც კრიტიკას იმსახურებდა და ამ მხრივ, მდგომარეობა, არსებითად დღესაც არ შეცვლილა. მიგვაჩნია, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკა ზუსტად და სრულად ვერ ასახავს ქვეყანაში რეალურად არსებულ მდგომარეობას. ამის შესახებ, უფრო დაწვრილებით ქვემოთ აღვნიშნავთ, ახლა კი მოკლედ შევეხებით იმ ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომელიც სამუშაო ძალის სტატისტიკის წარმოებაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2017 წელს განახორციელა (3, გვ. 2-3).

პირველი, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების, სიღარიბის და სამუშაო ძალის სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოება ეფუძნებოდა მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერას, რომლის ბაზაზეც არსებული შერჩევითი გამოკვლევიდან („შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა") ხორციელდებოდა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ჩათვლით. შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი, სრულმასშტაბიანი სამუშაო ძალის გამოკვლევის სახით;

მეორე, 2014 წლის ნოემბერში ქვეყანაში ჩატარებულმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ ქვეყნის მოსახლეობის დინამიკაში, ასევე გეოგრაფიულ განაწილებაში თვისებრივად ახალი ტენდენციები გამოავლინა, რიც გამოც აუცილებელი გახდა სამუშაო ძალის გამოკვლევაში 2002 წლის აღწერის გენერალური ერთობლიობის 2014 წლის აღწერის შედეგებით ჩანაცვლება;

მესამე, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების შესაბამისად სამუშაო ძალის მაჩვენებლების გადაანგარიშებამ უმუშევრობის უფრო მაღალი დონე დააფიქსირა;

ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა საქართველოში მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკაზე გარკვეული გავლენა მოახდინა, რომელზედაც წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

„საქსტატის" მიერ ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ცხრილიდან ჩანს, რომ 1998-2017 წლებში, ანუ 19 წელიწადში საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა უმნიშვნელოდ (მხოლოდ 10,3 ათასი კაცით) გაიზარდა. დადებითი ტენდენციად უნდა შეფასდეს დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დაქირავებულთა რიცხვის მატება და მისი წილის ამაღლება. თუ 1998 წელს დასაქმებულთა შორის დაქირავებულთა წილი 41.9 პროცენტს შეადგენდა, 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი 48,3 პროცენტამდე ამაღლდა, რაც მისასალმებელია.

	1998 წ.	2000 წ.	2005 წ.	2010 წ.	2015წ.	2017წ.
15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა	3016,8	3141,6	3160.3	3114.8	3019,1	3012,3
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1972,8	2049,2	1982,7	1970,9	2018,0	1983,1
დასაქმებულია სულ	1728,5	1837,2	1683,0	1627,8	1733,8	1706,6
აქედან დაქირავებული	724,4	683,9	632,2	668,8	798,3	824,2
თვითდასაქმებული	987,1	1041,2	1050,0	956,6	928,0	881,6
უმუშევარი	244,2	212,0	299,7	343,1	284,2	276,4
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1044,0	1092.3	1177,6	1143,9	1001,1	1029,2
უმუშევრობის დონე (%)	12,4	10,3	15.1	17,4	14,1	13,9

საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები 1998-2017 წლებში (ათასი კაცი,%)

წყარო:. geostat.ge, დასაქმება და უმუშევრობა. 2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წელი – სამუშაო ძალის გამოკვლევა. **შენიშვნა:** 1998-2000წლების მონაცემები არ გადაანგარიშებულა, 2002-2016 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვის შემცირების მიუხედავად კვლავ ძალზე მაღალია სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა და სოციალური სფერო არასაკმარისად ვითარდება და გამოუყენებელი შრომითი რეზერვი საკმაოდ დიდია.

ზემოაღნიშნულ წლებში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 12,4 პროცენტიდან (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიმართ) 13,9 პროცენტამდე გაიზარდა (ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული უმუშევრობის მაჩვენებელი 2016 წელს 11,8 პროცენტს შეადგენდა), რაც, რათქმა უნდა, ნეგატიურ ტენდენციაზე მიანიშნებს. მართალია, ახალი მეთოდოლოოგიით გაანგარიშებული უმუშევრობის მაჩვენებელი დაახლოებით ორი პროცენტული პუნქტით მაღალია ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, რეალურად ვერც ის ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში საშუალოდ 32.0-36.0%-ის ფარგლებშია. პროფესორ ი. არჩვაძის გათვლებით კი საქართველოში უმუშევრობის დონე 39-40 პროცენტს შეადგენს. ის აღნიშნავს: „საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის რეალური შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობა (პოტენციალი, რესურსი, დონე) შეადგენს მხოლოდ 60.3%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე 39.7%-ს"... „უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 0.3 მლნ. კი არა, თითქმის 0.8 მლნ. კაცი იქნება. ეს კი საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 39.1%-ია."(7, გვ. 111-115). ტრადიციულად, უმუშევრობის დონე ბევრად უფრო მაღალი იყო თბილისში, 2009 წელს, ექსპერტული შეფასებით ის შეადგენდა 46,9 პროცენტს (8) და ასევე ძალიან მაღალია დღესაც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით -24,7 პროცენტი (5). ჩვენ ვიზიარებთ ექსპერტთა მოსაზრებებს, იმის თაობაზე, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა აფიქსირებს, რაც, ძირითადად, განპირობებულია მეთოდოლოგიური ლაფსუსებით. კერძოდ, **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა** (4). ჩვენი აზრით, კვირაში ერთი საათით მომუშავეთა, ასევე, სოფლად მიწის ფართობის მქონეთა დასაქმებულად ჩათვლით ხელოვნურად იზრდება დასაქმების დონე და შესაბამისად მცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი, რაც საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის მქონე ქვეყნისათვის მიუღებელია. საქართველოში ყველასათვის ნათელი და გასაგებია, რომ კვირაში ერთ საათიანი, ანუ თვეში 4 და წელიწადში 48 საათიანი დასაქმებით ადამიანი ბევრს ვერაფერს გამოიმუშავებს და ამ თანხით ის მინიმალურადაც ვერ დაიკმაყოფილებს თუნდაც საკვებზე მოთხოვნილებას. ამიტომ, საქართველოში დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ პირები, რომლებიც საარსებო მინიმუმის ტოლ თანხას მაინც გამოიმუშავებენ, მათ კი, რომლებიც ნაკლებს გამოიმუშავებენ, უნდა მიენიჭოთ ნაწილობრივ დასაქმებულთა სტატუსი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2017 წელს, უმუშევრობის დონის მიხედვით საქართველოს ბევრად უკეთესი (დაბალი) მაჩვენებლები ჰქონდა ვიდრე მაკედონიას, საბერძნეთს, ესპანეთს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ასევე ძალზე საეჭვოა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში უმუშევრობის დონის

რეგიონული მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავებულია.2017 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე ძალიან მაღალი იყო თბილისში–24,7% (გასულ წლებში ის კიდევ უფრო მაღალი იყო), შემდეგ მოდის შიდა ქართლი–12,9, აჭარის ა.რ.–10,9 პროცენტი, კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს სამცხე–ჯავახეთს–5,9, ყველაზე დაბალი კი გურიას–2,7 პროცენტი (5). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს პარადოქსულ სიტუაციასთან – გურიაში უმუშევრობის დონის მხრივ მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელი (ყველაზე დაბალი) დაფიქსირდა(!!!). თუ გურულები ამ მაჩვენებელს გააპროტესტებენ, მათ განუმარტავენ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით ასეთი სურათი გამოიკვეთაო. ერთი სიტყვით, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაანგარიშების მეთოდიკა სრულყოფასა და ქვეყნის სპეციფიკაზე მორგებას საჭიროებს, ეს კი ქვეყანაში „დასაქმების შესახებ" კანონის შემუშავებისა და ამოქმედების გარეშე შეუძლებელი იქნება. აღსანიშნავია, რომ ასეთი კანონი (სხვადასხვა დასახელებით) მოქმედებაშია დასაქმებისა და უმუშევრობის მხრივ ბევრად უკეთესი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებში. საქართველოში კი, დაუსაბუთებელი მიზეზების გამო, 2006 წელს, „შრომის კოდექსის" მიღებისას კანონი „დასაქმების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადდა.

საინტერესოა უმუშევრობის მაჩვენებლების დახასიათება სქესის მიხედვით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში შეადგენდა 15,0, ქალებში კი 12,7პროცენტს. ანუ, კაცების უმუშევრობის დონე 2.3 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს კაცების უმუშევრობის მაჩვენებელი შეადგენდა 12,6, ქალებისა კი 12,2 პროცენტს, ანუ, 2017 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გარე შრომითი მიგრაციის შედეგად საქართველოდან გასულია დაახლოებით 1-1,2 მილიონი საქართველოს მოქალაქე (ზოგიერთი ექსპერტი უფრო დიდ რიცხვსაც კი ასახელებს) ქვეყანაში უმუშევრობის დონე (მათ შორის კაცებისა და ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი) არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც.

მაღალ უმუშევრობას მწვავედ განიცდის ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულია ის ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. 2002-2017 წლებში რამდენადმე შემცირების მიუხედავად, მაინც მაღალია 20-24 და 25-29 ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ 2002-2017 წწ 20-24 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 31,9 პროცენტიდან 29,6 პროცენტამდე, 25-29 წლის ახალგაზრდებისა კი 26,1-დან 20,8 პროცენტამდე შემცირდა, მდგომარეობა მაინც ძალიან ცუდია, რაც ახალგაზრდობის უცხოეთში შრომითი მიგრაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ეს კი, თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდაზე, განსაკუთრებით კი მოსახლეობის გამრავლებაზე.

ქვეყანაში არსებული დაბალი პენსიითა და სოციალური პრობლემებით შეჭირვებული საპენსიო ასაკის მოსახლეობის დასაქმების სურვილის მიუხედავად, მათი შრომაში ჩაბმის მაჩვენებელი დაბალია, რაც არც არის გასაკვირი. საქართველოში დასაქმების შესაძლებლობები იმდენად შეზღუდულია, რომ ის არათუ პენსიონერებისთვის, არამედ ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მოსახლეობისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოში უმუშევრობის ეფექტიანი რეგულირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

პირველი, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, მუნიციპალიტეტების, საქართველოს „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს", მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების ძალისხმევის გაერთიანება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ძირითადი ეროვნული სტრატეგიების, როგორიცაა: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020", პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, „საქართველოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის" სრულად განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სტრატეგიების მიზნებში დასაქმებისა და უმუშევრობის (მათ შორის ახალგაზრდების დასაქმების) ღონისძიებები გამოკვეთილია;

მეორე, საქართველოში 2006 წლამდე მოქმედი „დასაქმების შესახებ" კანონის ბაზაზე დამუშავდეს ამავე კანონის პროექტის ახალი რედაქცია და წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ „შრომის კოდექსი" ვერ ცვლის (ფარავს) „დასაქმების შესახებ" კანონის ნორმებს და მსოფლიოს უმრავლესი ქვეყანის მსგავსად ეს კანონი საქართველოშიც დროულად უნდა ამოქმედდეს. ამ კანონით უნდა განისაზღვროს საქართველოში თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს უმუშევრად ან დასაქმებულად, როგორ განხორციელდეს უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა, როგორ განისაზღვროს მათი სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაძლებლობები, დასაქმების მიზნით პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, როგორ მოხდეს საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, როგორი ორგანიზაციული სტუქტურით და ფუნქციებით იყოს წარმოდგენილი დასაქმების სამსახური, მისი რეგიონული ფილიალები ა.შ. ფაქტია, რომ საქართველოში ,,დასაქმების შესახებ" კანონის მოქმედების (1991-2006 წლამდე) პერიოდში სახელმწიფომ უმუშევართა დიდი ნაწილი დაასაქმა, დასაქმებულთა გარკვეული ნაწილი კი დაიცვა უმუშევართა რიგებში გადასვლისაგან;

მესამე, უმუშევრობის დასაძლევად და საერთოდ საქართველოში შრომის ბაზრის დასარეგულირებლად დიდი მნიშვნელობა ექნება2016 წლის 4 აპრილს მიღებული საქართველოს მთავრობის №167 დადგენილების – „საქართველოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" – სრულად რეალიზებას. ამ საქმიანობაში აქტიურად უნდა ჩაერთოს პროფკავ-

შირებიც, რომლის როლი დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირებაში, დღემდე, ერთობ მოკრძალებულია. ჩვენ ასეთ ღონისძიებებად გვესახება რეგიონების მიხედვით და მათი სპეციფიკის გათვალისწინებით დასაქმების კომპლექსური პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ამავე დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულში ამ მიმართულებით დაშვებული შეცდომები (შეიძლება დანაშაულიც), რომლებიც უკავშირდება დასაქმების ე.წ. „ცრუ პროგრამებს" (მხედველობაში გვაქვს 2006 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შემუშავებული „სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა პროფესიული მომზადების" ე.წ. მიზნობრივი პროგრამა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტთა დასაქმების პროგრამა, 2007 წლის ბოლოს მთავრობის მიერ განხორციელებული სტუდენტთა დასაქმების პროგრამა და ა.შ.), რომელიც მათ სამართლიანად უწოდა აკადემიკოსმა ლადო პაპავამ. (2,გვ.209). საქმე ის არის, რომ ამ ვითომდა პროგრამებში გამოკვეთილი არ იყო შეფასების კრიტერიუმები, განხორციელების ვადები, დაფინანსების წყაროები, შემსრულებლები, მისაღები შედეგები და ა.შ.. არადა დაიხარჯა (უფრო სწორად გაიფლანგა) მილიონობით ლარი, შედეგი კი პრაქტიკულად ვერ მივიღეთ;

მეოთხე, ქვეყანაში უნდა შეიქმნას კეთილსასურველი ბიზნესგარემო და საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წაახალისებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის განვითარებას. მხედველობაში გვაქვს უცხოური ინვესტიციების დაცვის მყარი გარანტიების უზრუნველყოფა, ეფექტიანი, საგადასახადო განაკვეთების შემცირებაზე ორიეტირებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზება. ექსპორტის წახალისებასთან ერთად იმპორტის ადგილობრივი წარმოების პროდუქციითა და მომსახურებით ჩანაცვლების პროგრამების რეალიზება და ა.შ. ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის დაძლევის უმნიშვნელოვანესი გარანტი ბიზნესია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს მის ასაღორძინებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის (საგადასახადო შეღავათები, დახმარება იაფი კრედიტით უზრუნველყოფაში და ა.შ.) ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას, ტურიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული აგროსექტორის, სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის და ა.შ. განვითარებას. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ტურიზმი ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, სახელმწიფო ბიუჯეტის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა;

მეხუთე, უმუშევრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების და ზოგადად კადრების მომზადების პროცესის სრულყოფა. ამ მიზნით უნდა გაიზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების სისტემის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხების მოცულობა. ამავე დროს, ხელისუფლებამ უნდა დააინტერესოს კომპანიები, ინვესტიცია ჩადონ განთლების სისტემის განვითარებაში, რათა უზრუნველყონ მაღალმოთხოვნადი, პროფესიული უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი ადამიანური რესურსების მომზადება;

მეექვსე, „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში" შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციები ,,დასაქმების შესახებ" ახალი კანონის (რომელიც მიღებულ უნდა იქნეს) მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაზუსტდეს. ის დასაქმებისა და უმუშევრობის მხოლოდ მეთოდურ-მეთოდოლოგიური საკითხებისა და დასაქმების ე.წ. ,,ხელშეწყობისა" და ,,მხარდაჭერის" პოლიტიკის დამუშავებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. დასაქმების პოლიტიკის დამუშავებასთან ერთად სამინისტრომ ამ პოლიტიკის რეალიზაციის პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს, რაც მთავრობის მიერ დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების მიზნით განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციასაც გულისხმობს. ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზება სამინისტროს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ფუნქციური ცვლილებების გატარებას მოითხოვს, ამასთან, დასაქმების კომპონენტის განმტკიცების მიზნით გამორიცხული არაა დღის წესრიგში მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების აუცილებლობაც დადგეს.

დასკვნა: უმუშევრობის დაძლევა ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის გადაჭრა, ხშირ შემთხვევაში. შეზღუდული რესურსების გამო მნიშვნელოვნად გართულებულია. დასაქმებისა და უმუშევრობის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის, კონცეფციისა და მიზნობრივი პროგრამების (რეგიონულ ჭრილში) დამუშავებისა და რეალიზაციის საფუძველზე ამ მეტად მწვავე პრობლემის დაძლევა შესაძლებელია. მთავარია ქვეყნის პარლამენტმა, მთავრობამ, მუნიციპალიტეტებმა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და მისმა სამსახურებმა გააერთიანონ ძალისხმევა შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, მათ შორის დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების მიზნით შემუშავებული სტრატეგიების, ასევე სხვა, ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების განსახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №167, „საქართველოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2016 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი;
2. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI-ის) მიერ 2018 წლის 10-22 აპრილს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური პუბლიკაცია – ,,დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“, (2017);
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის სტატისტიკა;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონულ ჭრილში;
6. მურმან ცარციძე, საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია, უმუშევრობის და სიღარიბის ნაწილი (https://www.tsu.ge/data/file_db/economist.../murman.pdf);
7. არჩვაძე ი. (2013).შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ.
8. პაპავა ვ. , (2009). ოთხი წელი „ვარდისფერ პარლამენტში“, თბ.
9. ლ. ვაშაკიძე, (2009). უმუშევრობის მდგომარეობა თბილისში, (საქართველოს უნივერსიტეტის ფონდი).

TRENDS OF CHANGES IN UNEMPLOYEMENT LEVEL IN GEORGIA AND DIRECTIONS OF ITS REGULATION

MIRON TUGHUSHI
Doctor of Economics,
Invited Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
tugushim@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.022

KEY WORDS: UNEMPLOYMENT, UNEMPLOYMENT RATE, LABOR MARKET, EMPLOYMENT, STRATEGIES OF EMPLOYMENT

SUMMARY

Unemployement is the most complex and acute social-economical, demographic, psychological and political problem, which has exclusively negative results. Therefore, unemployement management-regulation is the most significant task of civilized world. Experts' calculation make it clear, that the problem of unemployement in Georgia is the most acute problem, which has been proved by recent reports of IRI researches performed in Georgia, according to which 40 percent of interviewed population considers, that «The main problem in Georgia is unemployement, and economics is on the second place by 23 percent» . According to the experts" calculation average rate of unemployement in Georgia is within the limit of 32,0-36,0%. Some experts (I. Archvadze) fix even much higher index (39-40%), to which we agree. As for according to official statistics unemployement rate in 2017 made up in amount of 13,9 percent.

In our opinion the significant difference between the rates calculated by official statistics and experts mainly is conditioned by methodological nonsenses (to consider the owners of land as employed, who work one hour per week, or 4hours per month and 48 hours per year and etc.). It reduces the unemployement rate artificially. For example, in 2017 by official statistics in Guria was fixed the lowest unemployement rate -2,7 percent, which is ridiculous. It is clear and obvious for everyone in Georgia, that by working only one hour per day, a human being cannot earn money even for bread.

By the data of International labour organization, in 2017 according to the unemployement rate Georgia had much better (lower) indexes of unemployement rate than Macedony, Greece, Spain, which is rather doubtful.

To ensure an effective settlement in Georgia, it is necessary:

The first: to unify the efforts of Georgian Parliament, Government, Municipalities, The Ministry of Labour, Healthcare and Social Protection of Geogia and all subordinated services around the basic national strategies which are proved by the Government of Georgia , such as: strategy of Social-economic development of Georgia - «Georgia 2020», strategy of the reform of professional education, complete implementation of «2016-2018 activity plan of the strategy of active policy of Georgian labour market and its implementation». It is rather significant that in the aims of above mentioned strategies the employement and unemployement events are sharply outlined;

The second: To develop a new version of a Law project «About employement» and to present it to the Parliament of Georgia to be proved. It is factual, that in Georgia, within the period of acting of the Law «About employement» (in 1991-2006) the government has employed great part of the unemployed people, and protected the definite part of employed people from moving to the unemployed number.

The third: according to the regions and considering their specifics processing and implementation of complex programs of employement, in which evaluation cryteria, terms of implementation, financial sources, executors, expected results and etc. would be outlined.

The fourth: to create the desirable busness-environment and the legislation base in the country, which will encourage to attract foreign investments, to elaborate and realise effective events for the government to support (tax benefits, to help in getting cheap credits and etc.) the micro, small and middle business activities.

The fifth: To perfect the process of unemployed training, qualification raising and retraining and in general, preparing the professional staff to encrease finansing from the state budget for this purpose;

Sixth: To specifying the basic tasks and competences of labour and employement policy Department of the Ministry of Labour, Healthcare and Social Protection according to the goals and demands of the new legislation «About employement» (which should be accepted). Together with developing the employement policy the Ministry should undertake the responsibility of the policy realization as well, which means coordination of the implemented activities for the purpose of employemment and unemployement regulation by the government.

Hence it follows, It is not excluded that the necessity of changes of organizational structure of the above mentioned Ministry would be put on the agenda.

ფინანსური ინდექსების მნიშვნელობა ბიზნესსუბიექტების ფინანსურ ანალიტიკაში

ბესიკ ბოლქვაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
besik-bolkvadze@mail.ru

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.023

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს სექტორი; ბიზნესსუბიექტი; ფინანსური ანალიტიკა; ფინანსური ინდექსი; ფინანსური ბენჩმარკინგი

1. შესავალი

საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, დამატებული ღირებულების ფორმირებაში „მზიდი კონსტრუქციის" როლს ბიზნეს სექტორი და მისი ძირითადი სუბიექტები წარმოადგენენ. ბიზნესსუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებაში კი გადამწყვეტ როლს გამართული ანალიტიკური ფინანსური სისტემები ასრულებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებენ ანალიტიკურ ფინანსურ ინსტრუმენტებს ერთი მხრივ, კორპორაციული ტიპის ბიზნესები (შიგა, ანუ „ინსაიდერული" ანალიზი), ხოლო მეორე მხრივ ინვესტორები და კრედიტორები (გარე, ანუ „აუტსაიდერული" ანალიზი). ნაშრომში ხაზგასმულია სწორედ ფინანსური ანალიტიკის, როგორც ბიზნესის ოპერირების საშემფასებლო სისტემის, ფართოდ გამოყენების აუცილებლობა მისი სპეციფიკებისა და ნიუანსების გათვალისწინებით.

2. ბიზნესის ანალიტიკური ფინანსური ბლოკები

საკითხის დასმა, თითქოს ყველა ბიზნესსუბიექტს სჭირდებოდეს ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიტიკური ფინანსური სისტემა, თავშივე იქნებოდა მცდარი, რადგან ფინანსური ანალიზის სიღრმე ნებისმიერ კომპანიაში დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, კომპანიის ზომაზე, საქმიანობის სპეციფიკაზე, საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობაზე, სექტორულ კუთვნილებაზე და ა.შ. თუმცა პრობლემას ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ბიზნესსუბიექტების მხრიდან ფინანსური ანალიტიკის პოტენციალის არასათანადო გამოყენება. როგორც ცნობილია, ფინანსური ანგარიშგების გამოყენება, ფინანსური ანალიზის მიზნებისათვის, გულისხმობს ძირითადად ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის (ცალკეულ შემთხვევებში კი ფულადი ნაკადების ანგარიშის) სხვადასხვა მაჩვენებლის შერჩევას და ფინანსური ინდექსებისადმი მისადაგებას. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ესაჭიროება შესაბამისი ანალიტიკური ინსტრუმენტების ნაკრები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფინანსური ანალიტიკოსის მიერ კომპანიის ფინანსური „სიჯანსაღის" გამოვლენა და შეფასება. ინსტრუმენტთა ასეთი ნაკრები კი მიზანშეწონილია კომპლექსურად მოიცავდეს: ლიკვიდობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საქმიანი აქტიურობის, ფულადი ნაკადების, საბაზრო ღირებულების და სპეციფიკურ სექტორულ ფინანსურ ინდექსებს (Brigham, Houston, 2004,p.92; Eakins, 2005, p.374; Gitman, Hennessey, 2005, pp.118-119). კერძოდ, ლიკვიდობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ კომპანიის უნარს, დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები, რითაც ზომავენ ბიზნესის ლიკვიდობის დონეს და ხარისხს. ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები ასახავენ კომპანიის საქმიანობაში საკუთარი და მოზიდული კაპიტალის გამოყენების დონეს, ასევე აქტივების დაფინანსების სტრუქტურას. რენტაბელობის კოეფიციენტები გამოხატავენ კომპანიის ამა თუ იმ რესურსის გამოყენებით მიღებული უკუგების დონეს, ისინი გამოიყენება მომგებიანობის დონის, ანუ საქმიანობის ან მისი რომელიმე მდგენელის ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად. საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ კომპანიის უნარს, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტიანად ხორციელდება საოპერაციო პროცესი, მის უნივერსალურ საზომად კომპანიის საფინანსო (ფულის კონვერსიის) ციკლის გაანგარიშება ითვლება. ფულადი ნაკადების კოეფიციენტები კომპანიის ფინანსური სტატუსის სრულყოფილად განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტებია, რომლებიც, ფულადი ნაკადების სტრუქტურის ხარისხობრივ ანალიზთან ერთად, აზუსტებენ ფულადი ნაკადების რაოდენობრივი მდგენელების ურთიერთმიმართებას და, ასევე, მათ კორელაციას ბალანსისა და მოგება-ზარალის ცალკეულ ძირითად მაჩვენებლებთან. საბაზრო ღირებულების კოეფიციენტები გამოხატავენ კომპანიის საბაზრო ღირებულების სხვადასხვა ასპექტს, ამიტომ მათ სხვაგვარად საბაზრო აქტიურობის ინდექსებსაც უწოდებენ. სპეციფიკური სექტორული კოეფიციენტები ფინანსური ანალიზისათვის საჭირო სპეციალური ფინანსური ინდექსებია, რომლებიც შეიძლება შემუშავებული და გამოყენებული იქნეს კომპანიის მენეჯმენტის მიერ ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორსა და ქვესექტორში.

3. ფინანსური ინდექსების გამოყენების თავისებურებანი

ფინანსური ინდექსების გამოყენებისას მიზანშეწონილია, ფინანსური ანალიტიკოსის მიერ გათვალისწინებული იქნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი, კერძოდ: *1. ფინანსური ინდექსების შერჩევა* – თანამედროვე პირობებში ფინანსური ანალიტიკური პრაქტიკა გვთავაზობს ფინანსური ინდექსების

მრავალ სახეობას და მათ ძალიან ბევრ მოდიფიცირებულ ვარიანტს (Neale, McElroy, 2004, p.407). ყველა ფინანსური კოეფიციენტის გაანგარიშება, დეტალური ფინანსური ანალიზის დროსაც კი არ ხორციელდება, არამედ უნდა მოხდეს ფინანსური ინდექსების სწორად შერჩევა, ძირითადი კოეფიციენტების აუცილებელი გამოყენება, ხოლო სხვა ინდექსები გამოყენებული უნდა იქნეს საქმიანობის სპეციფიკისა და მიმდინარე გადასაწყვეტი ფინანსური ამოცანების შესაბამისად; *2. ფინანსური ინდექსების გამოთვლის პერიოდი* – დამოკიდებულია ფინანსური ანალიზის ჩატარების პერიოდზე და ცალკეულ მაჩვენებელთა გაანგარიშების თავისებურებებზე. შესაბამისად, გაანგარიშების პერიოდად ძირითადად აღებული უნდა იქნეს ფინანსური წელი, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იქნეს კვარტალი, ხოლო მოკლევადიანი ფინანსური პრობლემების დიაგნოსტირებისათვის — თვე ან უფრო მოკლე პერიოდი (ჭეავერ, 2007, პ.17), თუკი შესაბამისი ინდექსისათვის ფინანსური მაჩვენებლების გამოყენება იძლევა ამის საშუალებას; *3. ფინანსური ინდექსების ნორმატიულობა* — ფინანსური ინდექსების ზოგიერთ სახეობას აქვს გარკვეული ზღვრული ნორმატივი, რაც აადვილებს ინდექსის გამოთვლის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლის ნორმატივთან შედარებას, ხოლო ფინანსური კოეფიციენტების უმრავლესობას ასეთი ნორმატივები არ გააჩნია. ამიტომ ასეთ დროს უნდა ამოქმედდეს სხვა რელატიური ფინანსური ინსტრუმენტები, მაგალითად, შედარება კომპანიის ტარგეტირებულ, საშუალო სექტორულ, წინა პერიოდების, დაკავშირებული საწარმოების და სხვა მაჩვენებლებთან. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისთავად არსებული ნორმატივები არ წარმოადგენს პანაცეას, ამიტომ მიზანშეწონილია, აქცენტი გაკეთდეს საქმიანობის სპეციფიკაზე; *4. ფინანსური ინდექსების ინტერპრეტირება* — თავისთავად, ფინანსური ინდექსების გამოთვლის შედეგად მიღებული მონაცემები წარმოადგენს „მშრალ“ არითმეტიკულ ციფრებს, თუკი არ მოხდება სწორად შედეგობრივი მაჩვენებლების ადეკვატური ინტერპრეტირება, მიზეზ–შედეგობრივი კავშირების გამოვლენა, ფინანსური მოვლენის თუ ოპერაციის ციფრებს უკან არსებული „ანატომიის“ დანახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რთული იქნება კომპანიის ფინანსური პრობლემების დიაგნოსტირება და სწორი სამომავლო ტრენდების განსაზღვრა; *5. ფინანსური ინდექსების კომბინაციური გამოყენება* – ცალკე აღებული ფინანსური ინდექსების რომელიმე ჯგუფის გამოყენება მიზანშეწონილია, თუკი მეტ–ნაკლებად ვიცით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სუსტი მხარეები ზედაპირული დაკვირვებით და გვინდა შესაბამისი ფინანსური დიაგნოსტიკა. ფინანსური ინდექსების კომბინაციური და სისტემური გამოყენება კი საშუალებას გვაძლევს, მთლიანობაში დავინახოთ კომპანიის „ფინანსური სურათი“, კორელაციური კავშირები, ფაქტორული ზეგავლენების ხარისხები, ფინანსური მდგომარეობის ცალკეულ ქვესისტემებს შორის ურთიერთკავშირი, კერძოდ, ხომ არ არის წინააღმდეგობაში კომპანიის მოკლევადიანი და გრძელვადიანი კორპორაციული და ფინანსური მიზნები, როგორია კომპანიის ლიკვიდობის პოზიცია თუ საინვესტიციო შესაძლებლობები, რა ტიპის ფინანსური დილემებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი ფინანსურ გადაწყვეტილებათა მიღებისას და ა.შ.; *6. ფინანსური ინდექსების გამოყენების სექტორული თავისებურებანი* – სტანდარტული ფინანსური ინდექსების გამოყენება დამოკიდებულია ბიზნესის სპეციფიკაზე. მაგალითად, მომსახურების სფეროს კომპანიები შეიძლება აქცენტს აკეთებდნენ უპირატესად გაყიდვების ეფექტიანობაზე, საფინანსო ციკლის მონიტორინგზე, მოთხოვნების ამოღების დროულობაზე და ა.შ., ხოლო წარმოების სფეროს კომპანიები კონცენტრირდებოდნენ ძირითადად მარაგების ბრუნვადობაზე, საწარმოო ციკლზე და სხვა მახასიათებლებზე (Eakins, 2005, p.374), ამიტომ მნიშვნელოვანია, ბიზნეს–სუბიექტმა სწორად შეარჩიოს სამიზნე ფინანსური ინდექსები თავისი საქმიანობის სპეციფიკისა და ზომის გათვალისწინებით და შექმნას ფინანსური ინდექსების გამოყენების მწყობრი სისტემა, თუნდაც სპეციალური გამოთვლითი პროგრამის სახით, რაც საშუალებას მისცემს მას, რათა პერიოდულად გააკონტროლოს ფინანსური მაჩვენებლების ვარიაბელურობის ხარისხი და შესაბამისი გადახრების მნიშვნელობები.

4. ფინანსური ბენჩმარკინგის მნიშვნელობა ფინანსურ ანალიტიკაში

კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში ფინანსური ინდექსების ეფექტიანი გამოყენება, ტრენდულ და სტრუქტურულ ფინანსურ ანალიზთან ერთად, თავის ასახვას პოულობს შედარებითი, ანუ სივრცობრივი ანალიზის განხორციელებაში, რაც ითვლება ერთ–ერთ ყველაზემოქნილმექანიზმადბიზნესისფინანსურანალიტიკაში. აღნიშნული მიდგომის გამოყენების დროს ადგილი აქვს ანალოგიური მაჩვენებლების ურთიერთშედარებას. შეიძლება გამოვყოთ ანალიზის რამდენიმე მიმართულება, კერძოდ, კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების შედარება: ა) კომპანიის შიდა ტარგეტირებულ მაჩვენებელთან (საკონტროლო ნორმატივთან); ბ) საშუალო სექტორულ მაჩვენებელთან; გ) კონკურენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დაკავშირებული საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებთან; დ) სტრუქტურულ ქვედანაყოფების – ფილიალების, შვილობილი კომპანიების და სხვა სუბიექტების აგრეგირებული მაჩვენებლების ურთიერთშედარება. შედეგად, აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრების გამოთვლებით, გაიგება კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების შედარებითი დონეები. ამასთან, დასავლეთის განვითარებულ საბაზრო პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. საშუალო მედიანური სიდიდე, რომელთანაც ხდება ამა თუ იმ დარგში/სექტორში მოქმედი კომპანიის შესაბამისი ფინანსური ინდექსის შედარება და მისგან გადახრის (ზრდის ან კლების) მიზეზების გამოკვლევა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კი, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება ფინანსური ბენჩმარკინგი (Gitman, Hennessey, 2005, p.87), რაც წარმოადგენს პროცესს, რომლის საშუალებითაც კომპანია თავისი ეკონომიკური საქმიანობის მსვლელობისას სისტემატიურად ახორციელებს თავისი

ფინანსური მაჩვენებლების შედარებას მოცემული სექტორის ლიდერ ან საკუთარი ზომის/მასშტაბის კომპანიებთან და ახდენს თვითშეფასებას, რათა მიიღოს საკუთარი ბიზნესის ფინანსური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაცია.

ფინანსური ბენჩმარკინგის გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი, კერძოდ: 1. საშუალო სექტორული მაჩვენებელი არ წარმოადგენს ყოველთვის უნივერსალურ შესადარებელ სიდიდეს, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ყველა კომპანია, რადგან კარგად ოპერირებადი და ლიდერი კომპანიები ყოველთვის იმყოფებიან ფინანსური ბენჩმარკის „ზემოთ“, ხოლო ცუდად ოპერირებადი კომპანიები ფინანსური ბენჩმარკის „ქვემოთ“, ამიტომ ასეთი ბენჩმარკინგული სიდიდეები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ზოგადი საორიენტაციო მაჩვენებლები (Brigham, Houston, 2004, p.98); 2. შედარებითი ანალიზი დამოკიდებულია ეკონომიკის იმ სექტორის შესაბამისი ფინანსური მონაცემების მოპოვებაზე, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული კომპანია. საკმაოდ ხშირად კი კომპანიები საქმიანობენ სხვადასხვა სექტორში, რაც ართულებს ანალიზის ჩატარებას და მოითხოვს კონსოლიდირებული ფინანსური მონაცემების „ფილტრაციას“ და ადეკვატურ შედარებით შეფასებებს. აქვე შევნიშნოთ, რომ საქართველოს ეკონომიკურ რეალობაში მსგავსი საშუალო სექტორული მიკროფინანსური მაჩვენებლები პრაქტიკულად არ გამოიანგარიშება. მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგებების სისტემატიზაცია და კანონმდებლობის დონეზე გამჭვირვალობის დონის ამაღლება, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ერთ–ერთ ნაწილს წარმოადგენს, პერსპექტივაში მსგავსი ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას შეუწყობს ხელს.

5. ფინანსური ანალიტიკის სპეციფიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტები, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პრაქტიკაში, ვერ ჰპოულობს სათანადო გამოყენებას, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევებს, როცა მათი გამოყენება შედარებით ფართო ხასიათისაა, კერძოდ, ფინანსური ანალიზის მექანიზმები უპირატესად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა: ა) ეკონომიკური სუბიექტი წარმოადგენს კორპორაციულ ბიზნესს (მსხვილ კომპანიას); ბ) კომპანიას აქვს გამართული და მოწესრიგებული მენეჯმენტის სისტემა; გ) კომპანია წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს ან მასთან დაკავშირებულ პირს (მაგალითად, ფრანშიზით); დ) კომპანია იმყოფება ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო პარტნიორულ კავშირში; ე) კომპანია ეწევა სპეციფიკურ (მაგალითად, რეგულირებად) საქმიანობას, რაც მოითხოვს სათანადო ფინანსურ ანალიტიკას.

ქვეყანაში კომპანიების მიერ ფინანსური ანალიზის მასიურ გამოუყენებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ არსებობს ზოგადად ფინანსური მენეჯმენტის ცოდნის დეფიციტი და, კომპანიათა უმრავლესობაში, ფინანსური მართვა გაიგივებული და დაყვანილია მხოლოდ ფინანსური აღრიცხვის გამართულ წარმოებასა და საგადასახადო ვალდებულებების სრულყოფილად გასტუმრების, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში მარტივი ფინანსური გათვლების გამოყენების დონეზე, ფინანსური მენეჯმენტი კი წარმოადგენს ყველაზე მაღალი დონის და აღრიცხვა–ანგარიშგებათა სისტემების მომცველ ფინანსური მართვის მეტასისტემას. აღნიშნულ გარემოებას კი შეიძლება განაპირობებდეს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები: 1. ხშირ შემთხვევაში, კომპანიათა დამფუძნებელი პარტნიორების ტრივიალური დამოკიდებულება ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისადმი; 2. პროფესიონალ ფინანსურ მენეჯერთა და ფინანსურ ანალიტიკოსთა სიმცირე; 3. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა; 4. „ანგარიშგების კულტურის“ დაბალი დონე; 5. უმეტეს შემთხვევაში, განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსების ნაკლებობა და კომპანიათა დაბალი ფინანსური პოტენციალი, რაც არ მოითხოვს ლიკვიდობასთან, ინვესტირებასთან თუ ფინანსური ალტერნატივების შეფასებებთან დაკავშირებული შედარებით რთული გადაწყვეტილებების მიღებას 6. კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, სჯერდებიან ფინანსური რეპორტინგისათვის აუცილებელი მონაცემების მოგროვება–დამუშავებას, რაც ფინანსური მართვის მხოლოდ საბაზისო ელემენტია.

6. დასკვნა

ამრიგად, ქვეყნის ბიზნეს სექტორში ძირითადი ანალიტიკური ფინანსური ინსტრუმენტების — ფინანსური ინდექსების – გამოყენების პოტენციალი საჭიროებს მაქსიმალურ გამოყენებას, რაც შეიძლება წარიმართოს სამი ძირითადი მიმართულებით: საკუთრივ კომპანიათა მენეჯმენტის რგოლის მხრიდან ფინანსური ანალიტიკის მრავალმხრივი და კომპლექსური გამოყენება; ინვესტორებისა და კრედიტორების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ფინანსური ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის დამუშავების პროცესში კონტრაგენტ კომპანიებთან კოორდინაციის დონის ამაღლება; სახელმწიფოს მხრიდან კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებათა მონაცემების აგრეგირების საფუძველზე, ფინანსური ბენჩმარკინგის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brigham E.F., Houston J.F. (2004).Fundamentals of Financial Management.Eleventh Edition. Florida,Thomson South-Western..
2. Eakins S.G. (2005). Finance (Investments, Institutions, Management). Boston, Addison Wesly.
3. Gitman L.J., Hennessey S. M. (2005). Principles of Corporate Finance. Toronto, Addison Wesly.
4. Neale B., McElroy T. (2004). Business Finance (A Value-Based Approach). Edinburgh, Prentice Hall.
5. Weaver S.C. (2007). The Essentials of Financial Analysis. The McGraw-Hill.
6. https://www.saras.gov.ge/ka/Home/Manuals

THE IMPORTANCE OF FINANCIAL RATIOS IN FINANCIAL ANALYSIS OF BUSINESS ENTITIES

BESIK BOLKVADZE
PhD in Economic,
Associate Professor Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
besik-bolkvadze@mail.ru

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.023

KEYWORDS: BUSINESS SECTOR, BUSINESS ENTITY, FINANCIAL ANALYSIS, FINANCIAL RATIOS, FINANCIAL BENCHMARKING

SUMMARY

The paper refers to the specificities of usage of analytical financial tools in real sector of economy in Georgia, also inevitability of taking into consideration of analytical nuances by financial practitioners.

In the article the importance of financial ratios utilization is highlighted. The following peculiarities are also considered and analysed:1. Selection of financial ratios; 2. Period of calculation of ratios; 3. Normativity of financial ratios; 4. Combined usage of ratios; 6. Sector specific financial ratios. It should be noted that analytical financial tools such as financial ratios are only used in Georgian business entities in following cases: economic entity represents corporate business; company has a good arranged management system; it is a branch of foreign firm; company is in tight coordination with financial institute, etc.

The paper refers to the most important issues of the country's corporate finance as follows: classification of enterprises for reporting goals, managerial reporting aspects, functions of regulator state organ, financial statements quality, companies' accountability from auditing point of view, prerequisites the usage of international financial reporting standards (IFRS), inevitability of formation of financial benchmark system. It should be noted that the average sector benchmarks are not calculated in Georgian transitional economy that makes impossible for companies to compare their financial performance measures to the average sector/subsector financials. The consolidation and concentration process of financial and managerial reporting stimulates the utilization of analytical financial tools which increases the quality and access of relevant and reliable financial information flows.

INNOVATIONS AND GLOBAL ECONOMY

EKA SEPASHVILI
Doctor of Economics, Associate Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia.
Eka.sepashvili@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.024

KEYWORDS: GLOBAL ECONOMY, KNOWLEDGE-BASED ECONOMY, INNOVATIONS.

Globalization of the world economy is not a new phenomenon. The old Silk Road, long journeys over the Oceans to both directions West and East are just the examples of simple forms of Globalization. Nowadays we are witnessing quite different and complicated picture of the globalized world economy, where political, social, cultural, environmental and military aspects are as important as economic ones (Keohane R., Nye J., 2000). Modern globalization is the complex interdependence of the countries which are not immediate geographic neighbours. Modern global economy went through two main stages: one area stated after the II World War, in early 1950s, when leading developing countries established different international organizations (both political and economic) to responses new realities and create the most favourable environment for global economic development. Later, in 1980s and more intensively in 1990s the process of globalization acquired new character which was caused by new technologies. Knowledge-based economy becomes the key for global world economic development. Technology, knowledge and innovations are the main pillars for raising the resource efficiency (Sepashvili, 2014).

The new goal for any national government is to insure science-based economic development to achieve higher standard of leaving for citizens. At the same time they should adequately face the challenges of globalization targeting at positive benefits that global economy offers to players meanwhile avoiding negative impact that globalized world imposes on national developments (Farazmand A., 2000).

The Ricardian concept of comparative advantage, which states that “nations, like individuals, can benefit from their differences by reaching an arrangement in which each does the things it does relatively well” (Krugman P. et al, 2012:24), is still valid if we apply it to technologies. According to its main principle, market forces will direct resources to the most productive fields. In other words, on contemporary stage of the world economic development, it is the most efficient for country to direct resources –capital and labour – to science-intensive fields, where they will be utilized in most efficient and productive way due to a high skill labour, new knowledge, developed technologies and continuous innovations. Thus, National government have to pay particular attention to issues such as educated and high skilled labour, advanced infrastructure (energy systems, telecommunications, transports etc.), well functioned market economy, prudent monetary and fiscal policy and political stability, which is vulnerable variable in modern world suffering by various armed, military or pending conflicts (Sepashvili 2018 b).

But Ricardian concept does not say anything about that everything will be happen as it is described in the theory. The concept refers the possibilities and not the reality. Therefore, the strategic point of using the concept is to determine how to make all these smart things to happen and how to translate the potential opportunities into reality. International distribution of production and pattern of the world trade are internationally determined by market forces in the world marketplace. In such reality, countries have to gain competitive advantages, which rely on knowledge and innovations. Four main determinants of the national countries shape the unique national environment that support/hamper countries’ ability to success. These determinants together and separately form the environment where national firms and companies operate and create knowledge-based competitive advantages – very hard to be competed. These determinants are 1. Factor conditions; 2. Demand condition; 3. Related and supportive industries; and 4. Firm’s Strategy and structure; and competition (Porter, 1998). All these systems differ according to countries. In this regard, different countries’ firms have different access to resources and this creates disparities in competition on the world markets.

Despite the fact that during globalization national borders have less meaning for global firms while they seek for the most advantageous place for economic profit, national countries create unique environment for them and ensure their sound positions on science-based world markets. Thus, participation in contemporary economy means to create appropriate sources for education, adequate infrastructure, political stabilization, market economy and so on.

In such situation it is very important for each country to define their position in the world economic space in a way not to harm national interest, avoid negative consequences of globalization and completely benefit by openness of the nation economy. This goal for political and economic decision- makers means to facilitate the growth of welfare in the country, which in its turn means to raise recourses – labour and capital - efficiency.

The situation is becoming more complicated due to the fact that technology and knowledge are the most important factors for economic expansion and increasing the income

in contemporary world. On the world markets the firms of different countries and the national-less transnational corporations are competing with each other. Modern means of communications, IT technologies and transportation search for low-priced factors of production is carrying out over the globe.The development of new technologies (gen-engineering, telecommunication, microelectronics, new materials, bio-technology and etc.) is defining the nature of the XXI century. This new model of economy changes social and economic objectives of nations. Transformations are occurring in the strategies of international business and marketing (Sepashvili 2018 a).

A quick glance on global development proves that unprecedented economic growth since late 90s of the past century till 2007, before global economic crisis, was accompanied by massive development of digital technologies. Qualitative changes in IT equipment, which made able to widely spread electronic devises among wide range of populations, consumer-friendly menus, cheap and broader access to the internet, easier access to different data bases and etc. accelerated diffusion of science into modern goods and services and extremely boost companies' readiness for investment in

Table 1. **Internet users per 100 population in 2000-2008**

World	10.77	23.69
Developed countries	37.99	62.09
Developed countries	5.03	17.41
Less-developed countries	0.26	2.06
Americas	27.68	45.50
North America	59.06	74.14
Latin America and the Caribbean	8.63	28.34
Europe	24.95	52.59
European Union	35.29	64.58
Commonwealth of Independent States in Europe	3.83	29.77
Central, Eastern and Other Europe	18.28	40.40
Africa	1.20	8.14
South Africa	6.71	8.43
Other Sub-Saharan countries(excl. South Africa)	0.52	5.68
Arab States in Africa	2.11	16.61
Asia	5.79	16.41
Japan	46.59	71.42
China	4.60	22.28
Israel	17.76	49.64
India	1.54	4.38
Commonwealth independent State in Asia	1.72	12.30
წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესი არსებითად ცვლის საერთაშორისო ბიზნესისა და ვაჭრობის ფილოსოფიას. წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართული როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვყნები, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან და ტექნოლოგიური დონიდან გამომდინარე. თუმცა ამ ქვეყნების მონაწილეობის ხარისხი, პოზიცია და შესაბამისად მიღებული სარგებელი, განსხვავებულია. წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესის ანალიზისაშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ის ფაქტორები,

სურათი 2. „მომღიმარი მრუდი“



რომელიც დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვებ-ში ქვეყნის მონაწილეობის ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს. ქვეყნები ცდილობენ ფოკუსირება მოახდინონ დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის საწყის, მაღალტექნოლოგიურ და საბოლოო მომხმარებელთან ახლოს მდებარე რგოლებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Database, W. I.-O. (2014). http://www.wiod.org/new_site/home.htm. (ნანახია: 20.03.2018).
2. International Bank for Reconstruction and Developmen. (2017). Global Value Chain Development Report. Washington: The World Bank.
3. Langlois, R. N. (2002). Firms, Markets and Economic Change: A Dynamic Theory of Business Institutions.
4. Meskhia, I., & Shaburishvili, S. (2015). Basics of Researche of the Technological Environment of Business. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH, Seria: Administracja i Zarządzanie , 117-124.
5. OECD. (2013). Interconnected economies: benefiting from global value chains: Synthesis Report. URL:http://www.oecd.org/sti/ind/interconnected-economies-GVCs-synthesis.pdf. (ნანახია: 03.03.2018).
6. Penrose, E. T. (2009). he Theory of the Growth of the Firm. Oxford University Press.
7. UNKDAT. (2013). Global Value Chains: Investment and Trade for Development. New York and Geneva: World Investment Report.
8. World Economic Forum. (2012). The Shifting Geography of Global Value Chains: Implications for Developing Countries and Trade Policy.
9. შაბურიშვილი, შ. (2018). დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის ფენომენი თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში. ეკონომიკა და ბიზნესი , 70-85.

THE PECULIARITIES OF MANUFACTURING PROCESS GLOBAL FRAGMENTATION IN THE MODERN BUSINESS

SHOTA SHABURISHVILI
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
shota.shaburishvili@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.026

KEYWORDS: FRAGMENTATION OF MANUFACTURING, VERTICAL INTEGRATION, OUTSOURCING, SMILING CURVE

SUMMARY

The paper considers the main theoretical approaches to understanding global fragmentation of manufacturing processand analyzes their role in the modern International business. It is emphasized that in view of the growing political and economic importance of manufacturing process global fragmentation, today this phenomenon is in the focus of many countries and international institutions.There are analyzed mechanisms of coordination, structure, the importance of individual points and the effectiveness of possible positions of the company inglobal fragmentation of manufacturing process.

ეკონომიკური სისტემა და გარემო

ნაირა გალახვარიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
nairagalakhvaridze@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.027

ელდარ გუგავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
eldargugava@hotmail.com

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური მოდელი, ნედლეული, ნარჩენები, საბოლოო პროდუქტი

საზოგადოების სიცოცხლე დამოკიდებულია ბუნებისა და მისი რესურსების ხარისხზე. ამიტომ, აუცილებელია თანამედროვე ინდუსტრიული წარმოება ოპტიმალურად შეუთავსდეს წარმოების ეკოლოგიზაციას, რაც გულისხმობს ბუნების დაცვას, მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გაუმჯობესებულ კვლავწარმოებას. ამ მიზნით, ბუნების კვლავწარმოების პროცესი მოითხოვს არ დაირღვეს ეკოლოგიური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, არ დაეკარგოს მას თვითაღდგენის უნარი, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოების ნორმალური არსებობის, განვითარებისა და ფუნქციონირების აუცილებელი ბუნებრივი პირობაა.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება წარმოადგენს ბუნების ძალების ათვისებას საზოგადოების მოთხოვნილებების ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

ამავდროულად, შემოსავლებისა და სიკეთის წრებრუნვის ტრადიციული ეკონომიკური მოდელი ნახაზი 1, ვარაუდობს შინამეურნეობების, ფირმებისა და ბაზრის შემდეგი დაშვების ურთიერთზემოქმედებას:

ა. ყველა შემოსავალი იხარჯება (არ ინახება);


ბ. არ არსებობს საერთაშორისო ვაჭრობა;

გ. მოცემული მოდელი წარმოადგენს ჩაკეტილ თვითუზრუნველმყოფელ სისტემას.

თუ პირველი ორი დაშვება მისაღებია ეკონომიკურ ანალიზში, მესამე მისაღებია არასაკმარისი ზომით.

ეკონომიკა შეიძლება ორ ქვესისტემად დაიყოს – წარმოება და მოხმარება. თითოეული მათგანი პირდაპირ, ანდა ირიბად იყენებს გარემო რესურსებს და ქმნის „ნარჩენ პროდუქტებს" – ნარჩენებს, რომლებიც წარმოადგენენ ყველა ტიპის მატერიალურ სუბსტანციას, (სუბსტანცია–ლათ–არსებითი, ყველა ნივთისა და მოვლენის პირველსაფუძველი),

შემოსავლებისა და სიკეთის წრებრუნვა (სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით). ნახ. 1.[1]



1. ხარჯები; 2. რესურსები; 3. რესურსები (შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი); 4. რენტა, პროცენტი, მოგება, ხელფასი; 5. ამონაგები გაყიდვიდან; 6. საქონელი და მომსახურება; 7. საქონელი და მომსახურება; 8. სამომხმარებლო ხარჯები.

[1] А. В. Анисимов Экологический менеджмент Ростов- на- Дону „Феникс" 2009. стю13

რომელიც შეიძლება გამოფრქვეული იყოს ატმოსფეროში, ჩაშვებული იყოს წყლის ობიექტებში ანდა განლაგებული იყოს ნიადაგზე ან ნიადაგში.

მნიშვნელოვან შემადგენელ „ნარჩენ პროდუქტებს" წარმოადგენს აგრეთვე ენერგეტიკული ნარჩენები სითბოს, ხმაურის, მაგნიტური ველის, რადიაქტიურობის, ვიბრაციის და ა.შ, სახით.

მნიშვნელოვანი რაოდენობის მატერიალური ნარჩენები შეიძლება დაბრუნებული იყოს წარმოებაში, ხოლო დანარჩენი ნაწილი ხდება გადანაყარი. ენერგეტიკული ნარჩენებიც ნაწილობრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას. რამდენადაც ეკონომიკა ღია სისტემას წარმოადგენს, მისი ურთიერთზემოქმედება გარემოზე უკეთესია ასახულ იქნას ფიზიკის კანონებზე დაფუძნებული მასალებისა და ენერგიის ბალანსით. (ნახ. 2)

მასალების შენახვის კანონის თანახმად ხანგძლივ პერიოდში, რამდენადაც მოკლევადიან პერიოდში რეცირკულაციამ შეიძლება შეამციროს გადანაყარი, ხოლო მეორე მხრივ სისტემა შეიძლება იყოს ზრდადი, მოსახლეობის ზრდის, ძირითადი ფონდებისა და ა.შ. ხარჯზე. უნდაიქნას დაცულიტოლობა: $C= B_1 +B_2$

ამგვარად, ბუნებრივ გარემოში გადანაყრის, ნარჩენების შემცირება ვარაუდობს სისტემაში შემოსული ნედლეულის რაოდენობის შემცირებას. ამ მიმართულების მოქმედების არსებული ვარიანტები გარკვეულად, მკაფიოდ იქნება განხილული, თუ წარმოიქმნება C– ს(ნედლეულის) შემცვლელი.

$B_1+ B_2= C=T+Q_1–П_1+П_2$

აქედან ჩანს ნედლეულის შემოსვლის შემოკლების სამი გზა და თანმიმდევრულადნარჩენების შემცირება:

საქონლის შემცირება T– საქონლისა და მომსახურების წარმოების შეზღუდვა ზემოქმედებს C, B_1 და B_2–ის სიდიდეზე, ამასთანავე როგორც უკვე აღნიშნული იყო სისტემა შეიძლება იყოს ზრდადი, ხოლო ნარჩენები კუმულაციური (კუმულაცია–ლათ–შეჯგუფება, ერთი მიმართულებით კონცენტრაცია, გამრავლება) ეფექტით ხასიათდებოდნენ.

ასეთ პირობებში საქონლის გამოსავლიანობის ქმედითობის აქტიურობის შემცირება არ არის მაღალი, ამასთანავე საქონლის შეზღუდვისას წარმოიქმნება მოხმარების ნორმირების აუცილებლობა რაც ნაკლებ მისაღებია.

წარმოების ნარჩენების Q_1 შემცირება. – თავისი არსით ეს გზა მიმართულია, ნედლეულის უფრო სრულად გამოყენებაზე და წარმოების ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე. საქონლის გამოსავლიანობის ზრდის ხარჯზე, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას ახალი რესურს დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვით, მცირე ნარჩენიანი წარმოების განვითარებითა და ა.შ.


გარდა ამისა შესაძლებელია საქონლური გამოსავლიანობის (გამოსვლის, რაოდენობის) სტრუქტურის შეცვლა (მომსახურების სფეროს წილის ზრდა და ა.შ.) თუმცა ეს გამოსავლიანობა რეგიონულ ხასიათს ატარებს.

განმეორებითი გამოყენების ნარჩენების $П_1$ და $П_2$–ს ზრდა – პირველადი ნედლეულის მეორადი ნედლეულით ჩანაცვლება, ე.ი. რეცირკულაცია საშუალებას იძლევა შევამციროთ CB_1 და B_2 საქონლური გამოსავლიანობის შენარჩუნებით.

ამასთან სრული რეცირკულაცია შეუძლებელია, რამდენადაც ეკონომიკურ სისტემაში შემოსული მასალები არ იშლება, არ იშლება წარმოებისა და მოხმარების საშუალებით, მაგრამ მიმოიფრქვევა და ქიმიურად გრდაიქმნება ე.ი. იზრდება ენტროპია (ენტროპია–ბერძ–გარდაქმნა. მართვის თეორიაში ეს არის სისტემის განუსაზღვრელობის ზომა, განსაზღვრულ პირობებში). ენტროპიაში, მკაცრი ფიზიკური არსის არ ჩაჭიდებით შეიძლება გავიგოთ სისტემის ზოგიერთი თვისება, ზრდად შეუქცევად პროცესში.

როცა ენტროპია იზრდება, სისტემაში ენერგია არასაკმარისი ხდება „სასარგებლო სამუშაოს" შესრულებისათვის. ამგვარად, ენტროპიის ძალით (თერმოდინამიკის მეორე

მასალებისა და ენერგიის ბალანსი. ნახ.2



კანონი) შეუძლებელია ნარჩენების 100% რეცირკულაცია.

მაგრამ ეკონომიკა თავის თავში მოიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის სხვადასხვა რეცირკულირებულ ნაკადებს. საწარმოო სისტემაში შემოდის ბუნებრივი ნედლეული მასა-ლების მასა, რომლებიც ზოგჯერ მოპოვებისას გადიან პირველად დამუშავებას – ნახშირი, ნავთობი, მადანი. მასალების მთლიანი მასა გაივლის დამუშავების ერთ ან რამოდენიმე სტადიას და შემდეგ საბოლოო პროდუქტის სახით შემოდის მოხმარებაში.

ნედლეულის დამუშავების ყველა სტადიაზე სისტემიდან გამოიდევნება, გამოიფრქვევა ნარჩენები – ცარიელი ქანები, წიდა (შლაკები), ნაცარი, ჩამდინარე, აეროზოლები, გაზები, ორთქლი, მტვერი და ა.შ.

რეცირკულაციური ნაკადების ინტენსივობა (წარმოებაში დაბრუნებული მასალების რაოდენობა) ყალიბდება შემდეგი ფაქტორების ზემოქმედებით: (მასალების მოცულობით) მასით, ერთგვაროვნებით (მასალების ხარისხით), დაბინძურებით (გარე მასალების არსებობის ხარისხით) ადგილმდებარეობა (აღმოჩენილი პუნქტების რაოდენობა). ნარჩენების ნაკადები წარმოდგენილია ნახაზზე 3.

პირველი ნაკადი ხასიათდება იმით, რომ მასალები რომლებიც ექვემდებარება რეცირკულაციას, არასოდეს არ ტოვებს გადამუშავების ქარხანას და ამ ნაკადის ინტენსივობა მაღალია.


ცირკულაციის მეორე ნაკადიც ხასიათდება მაღალი ინტენსივობით, მაგრამ მოითხოვს ფირმების შუამავლობას, რომლებიც ვაჭრობენ მეორადი მასალებით. მესამე ნაკადი ძირითადად შედგება შესაფუთი მასალებისაგან და თავისთავად წარმოადგენს მეორადი ნედლეულით მოვაჭრე ფირმების ძირითად ბრუნს.

მეოთხე ნაკადი – პოტენციური შინამეურნეობის რეცირკულაციური ნარჩენებია. ამ ნაკადის ინტენსივობა ისტორიულად მცირეა თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანებში.

მეხუთე ნაკადი – ესაა პრაქტიკა, რომელიც თანამედროვე ეკონომიკაში თითქმის გაქრა და ამჟამად შემოიფარგლება მცირე რაოდენობის სხვა მასალებისა და შუშისტარის მიმართვით. ნათელია, რომ მეოთხე და მეხუთე ნაკადისათვის დამახასიათებელია უმნიშვნელო მოცულობის მასალები, არა მაღალი ერთგვაროვნება, მნიშვნელოვანი დაბინძურება და დაცალკავებულობა, დაქსაქსულობა. მოცემული მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მათ ინტენსივობას.

ეკონომიკაში შეზღუდვების (ლიმიტების) კონცეფცია სათავეს იღებს მალთუსისა და რიკარდოს ნაშრომებში. მალ-

ნარჩენების ნაკადების გაგება დარეცირკულაცია (ნახაზი 3)



თუსს მიაჩნია, რომ განვითარებულ ეკონომიკაში მოსახლეობის ზრდა გადააჭარბებს მის შესაძლებლობებს და მუდმივი სიღარიბის მდგომარეობა (მოსახლეობის უმრავლესობისათვის) იქნება განვითარების გარდუვალი შედეგი.

რიკარდო უფრო ოპტიმისტური იყო და ამტკიცებდა, რომ ლიმიტი წარმოადგენს ზრდადი ეკონომიკის პრობლემას. ისინი ზრდადია ფასების შედეგად,რამდენადაც საუკეთესო ხარისხის რესურსები მილევადია და ჩანაცვლება ხდება ცუდით, რაც ზრდის ხარჯებს, მათ შორის ეკოლოგიურს.

სოციალური ლიმიტების თემა განვითარებული იყო 1970 წლებში მორალური და ეთიკური მოტივების შემოღების ხარჯზე, მსოფლიო ეკონომიკის სწრაფი ზრდის, მომავალი თაობების პერსპექტივით და ა.შ .

დასასრულს საჭიროა აღინიშნოს რომ ბაზარი უუნაროა ნარჩენების მინიმიზაციაზე სოციალურად მისაღებ დონემდე. ექსტრენალიების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური მნიშვნელობა ხასიათდება ტენდენციით გაიზარდოს ეკონომიკისა და მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ხოლო გარემოს უნარი ნარჩენების ასიმილირებაზე მცირდება, თან მიმდევრულად იზრდება ამ ბუნებრივი რესურსის ღირებულება.

თუ ეკონომიკური საქმიანობა საზღვრებში მდებარეობს, გარემოს შესაძლებლობა აქვს, შთანთქას, დაბინძურებისა და ნარჩენების ასიმილირება მოახდინოს ეკოლოგიური სისტემისათვის ზიანის გარეშე, მაშინ ეკოლოგიურ–ეკონომიკური ზარალი არ წარმოიქმნება. ინტენსიური ეკონომიკური საქმიანობის შემთხვევაში ასიმილაციური საზღვრულობის გადაჭარბებისას ირღვევა ეკოსისტემების წონასწორობა და წარმოიქმნება ნეგატიური ეკოლოგიურ–ეკონომიკური შედეგები.

ამგვარად, ასიმილაციური პოტენციალი, ასიმილაციური ტევადობა ბუნებრივი გარემოს ზღვრული ტევადობაა, ეკოსისტემისათვის ზიანის გარეშე შთანთქმის პროცესში, ნარჩენებისა და გამონაბოლქვის ასიმილაციისა.

თუ ასიმილაციური პოტენციალი არ არის საკმარისი, საბაზრო მექანიზმი ვერ შეძლებს იყოს თავისუფალი დაბინძურების ექსტრენალიებიდან, თუ შემდეგი პირობები არ იქნება გათვალისწინებული.

– ეკონომიკაში ჩართული მასალები და ენერგია რეცირკულირდება სრული მოცულობით, ხოლო ყველა საბოლოო პროდუქტები მთლიანად ნადგურდება მოხმარებით;

– საკუთრებითი უფლება ვრცელდება ყველა ეკოლოგიურ საქონელზე, რაც იძლევა საშუალებას, ისინი გაიცვალოს კონკურენტულ ბაზარზე.

პირველი პირობა არღვევს თერმოდინამიკის კანონებს, ხოლო მეორე შეუძლებელია, ანდა შეუსრულებადია ბევრი ეკოლოგიური საქონლის საზოგადოებრივი ხასიათის ძალით.

ამგვარად, ექსტერნალიების (ექსტერნალები – მოქმედებათა შედეგები, რომლებიც არა არის გათვალისწინებული მათი განმახორციელებლის მიერ და ამიტომ არ მოქმედებს მის გადაწყვეტილებებზე) გამოსწორება, ბუნებათსარგებლობის პროცესების რეგულირება მოითხოვს საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს ჩარევას ადმინისტრაციული, ანდა ეკონომიკური ბერკეტების ზემოქმედებით. ეს აიხსნება როგორც საბაზრო არაეფექტიანობით, ეკოლოგიური–ეკონომიკური სისტემების თვითრეგულირების შეუძლებლობით სტიქიურ საბაზრო მექანიზმების ხარჯზე, ასევე რიგი ქვეყნების თავისებურებებით, რაც განპირობებულია მათი განვითარების გარკვეული ეტაპებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პარმენ ლემონჯავა პ. (2011). ბუნების გამოყენების ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

2. ჯიბუტი ა. (2008). საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 2008

3. А. В. АнисимовВю (1994).. Экологический менеджмент Ростов- на- Дону „Феникс“ 2009.

4. Barry C. Field, Environmental economics, Mc. GRAW-HILL, INC.

5. Environmentally sustainable economic development: building on Brundtland (1991). Paris, UNESCO.

ECONOMIC SYSTEM AND ENVIRONMENT

NAIRA GALAKVARIDZE
Professor of Georgian Technical University, Georgia
nairagalakhvaridze@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.027

ELDAR GUGAVA
Professor of Georgian Technical University, Georgia
eldargugava@hotmail.com

KEYWORDS: NATURAL RESOURCES, ECONOMIC MODEL, RAW MATERIALS. WASTE, FINAL PRODUCT.

SUMMARY

The usage of natural resources is to consume the natural resources to satisfy the needs of the society.

At the same time, the traditional economic model of the revenue and welfare of the goodness suggests the interaction of household, firms and market access.

A. All revenues are spent (not stored);

B. There is no international trade;

C. This model is a locked self-contained system.

The economy can be divided into two subsystems - production and consumption. Each of them directly or indirectly uses environmental resources and creates "waste products" that contain all types of material substance (substance-Latin-origin, which is the basis for the first basis of all things and events) which can be exhibited in the atmosphere, discharged into water bodies or be deployed on the soil or in the ground.

An important component of "waste products" is also energy wastes in the form of heat, noise, magnetic field, radiation, vibration, etc.

A substantial amount of material waste can be returned to production, and the rest is partial. Energy wastes can also be used as partially.

If the economic activity is within the borders, the environment has the ability to absorb, pollute and waste to assimilate the environmental system without damaging it then the ecological-economic damage will not arise. In the case of economic activity the balance of ecosystems is broken and the ecological economic consequences of negative ecological-economic results are created.

Thus, externals (externals, which are not taken into account by their implementers and therefore do not affect its decisions) regulation of natural usage of processes seeks to interfere with the state's interference in the market economy by means of administrative or economic leverage. This can be explained by the market inefficiency, due to the impossibility of self-regulation of ecologic-economic systems at the expense of natural market mechanisms, as well as the peculiarities of a number of countries that are due to certain stages of their development.

სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია

გიორგი კეპულაძე
დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
kepuladze.giorgi@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.028

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, ატრიბუციის თეორია, გამოფიტვადი (ამოწურვადი) თვითკონტროლის თეორია, დისტანცირების თეორია

აბსტრაქტი: სიღარიბე – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემათაგანი, რომლის წინაშე დგას თანამედროვე საზოგადოება. მისი კვლევით დაკავებულნი არიან სხვადასხვა სოციალური მეცნიერების წარმოადგენლები, რომლებიც ავითარებენ საკუთარ წარმოდგენას აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

მოცემულ ნაშრომში განხილულია სიღარიბის პრობლემის კვლევა ფსიქოლოგიურ თეორიაში, რადგან სწორედ ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა ადამიანის ქცევა, მათი გადაწყვეტილებები და სხვ., წარმოადგენს ადამიანთა სიღარიბეში დარჩენის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს. ამ გადმოსახედიდან სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებში განხილულია სიღარიბის სხვადასხვა თეორიები, კერძოდ:

1) **ატრიბუციის თეორია,** რომელიც იყოფა **შიდა** და **გარე ატრიბუციათ. შიდა (დისპოზიციური) ატრიბუცია** ხსნის ადამიანთა ქცევას ინდივიდის პერსონალური მახასიათებლებითა და შესაძლებლობებით და **გარე ატრიბუცია (სიტუაციურ ატრბუცია),** რომელიც ეფუძნება ადამიანის ქცევის სიტუაციურ ახსნას;

2) **გამოფიტვადი (ამოწურვადი) თვითკონტროლის თეორია,** რაც წარმოადგენს ადამიანის მისწრაფებებსა და შესაძლებლობებს შორის არსებული კონფლიქტებს;

3) **დისტანცირების თეორია,** რომელიც განიხილავს სიღარიბეს, როგორს გამოცალკავებული კლასის ფსიქოლოგიურ პრობლემას.

შესავალი

სიღარიბე იყო და დღემდე რჩება პრობლემად, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებისათვის. სიღარიბის პრობლემის კვლევა არ უნდა იყოს დაყვანილი მხოლოდ მისი არსებობის ფაქტის უბრალო კონსტატაციასა და აღწერამდე, არამედ უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს და ითვალისწინებდეს ყველა იმ მიღწევას, რომელსაც ადგილი აქვს როგორც ეკონომიკურ, ასევე სხვა მეცნიერულ მიმართულებებში, როგორიცაა პოლიტიკური მეცნიერებანი, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა, რაც სიღარიბის კვლევას ინტერდისციპლინარულ ხასიათს აძლევს.

მოცემულ ნაშრომი განხორციებულია იმ თეორიული მიდგომების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია სიღარიბის პრობლემის კვლევასთან ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში.

1. სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიის ზოგადი დახასიათება

სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიის განვითარებაში შეიძლება გამოყოფილი იქნას სულ მცირე სამი პერიოდი: მე-20 საუკუნის 80-ან წლებამდე ფსიქოლოგები ეფუძნებოდნენ სიღარიბის ინდივიდუალურ ახსნას; 1980-2000 წლებში სიღარიბის ინდივიდუალურ გაგებას დაემატა სიღარიბის სიტუაციური (ანუ სოციალურ გარემოზე დაფუძნებული) გაგება, ხოლო 2000 წლიდან ფსიქოლოგებმა გააფართოვეს სიღარიბის კვლევის მეთოდოლოგია და მივიდნენ სიღარიბის მულტიდისციპლინურ გაგებამდე, როდესაც სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებად იქნა აღარებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის გამომწვევ მიზეზებზე ფსიქოლოგთა შეხედულებებმა გასული პერიოდის მანძილზე მნიშვნელოვანი ევოლუციური ცვლილებები განიცადეს, სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიები უმეტესწილად არიან ფოკუსირებულნი ინდივიდებზე და მათ შორის არსებულ განსხვავებებზე. სიღარიბის ზოგიერთი ფსიქოლოგიური თეორია, მაგალითად ე.წ. ინტელექტზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური თეორიები (Intelligence-based psychological theories), სიღარიბეს განიხილავენ, როგორც კოგნიტიური დეფიციტის ანუ მეხსიერების, ყურადღების, შემეცნებითი უნარის უკმარისობის, დაბალი ინტელექტის შედეგს [8; 15] სხვა თეორიები გამოდიან იმ ვარაუდიდან, რომ ფსიქოლოგიური დაავადებები, ფსიქოლოგიური დარღვევები და მორალური გადახრები [9; 16] შეიძლება იყოს სიღარიბის გამომწვევი მიზეზები. მაგალითად, გამომდინარე ზ.ფროიდის სწავლებიდან [6; 7], ადამიანის ეგო წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ნაწილს, რომელიც აღიქვამს გარე სამყაროს, როგორც შიდა და გარე კონფლიქტების ზეწოლას, სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიები ხსნიან ღარიბ ადამიანთა დამოკიდებულებას სახელმწიფოზე, როგორც სოციალური დახმარების მიმღებთა ფსიქიკურ გადახრას, რომელიც ტოვებს ღარიბებს სიღარიბეში [10].

სიღარიბის ფსიქოლოგიურ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ქცევაზე დაფუძნებულ სიღარიბის ახსნას.

2. ატრიბუციის თეორია

სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიების მიხედვით სხვადასხვა ფაქტორებს შეუძლია მოახდინონ ზეგავლენა სიღა-

რიბეში მცხოვრებ ადამიანების ქცევაზე. აღნიშნული შეხედულებები ეფუძნება **ატრიბუციის თეორიას** (Attribution Theory), რომელიც აღიარებს ატრიბუციის ორ ტიპს: შიდა ანუ *დისპოზიციურ ატრიბუციას,* რომელიც ხსნის ადამიანთა ქცევას ინდივიდის პერსონალური მახასიათებლებითა და შესაძლებლობებით და *გარე ატრიბუციას* ანუ *სიტუაციურ ატრბუციას,* რომელიც ეფუძნება ადამიანის ქცევის სიტუაციურ ახსნას.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მკვლევარ-ფსიქოლოგები განიხილავდნენ სიღარიბეს **დისპოზიციური ატრიბუციის** თვალსაზრისით და აკავშირებდნენ სიღარიბის წარმომშობ მიზეზებს უმეტესად ცალკეულ ადამიანებთან და მათ პირად თავისებურებებთან [12].

სიღარიბის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ახსნა გამომდინარეობს მოტივაციის თეორიიდან. სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიები მნიშვნელოვან წილად აღმოცენდნენ და განვითარდნენ მოტივაციის განსხვავებული იდეებიდან, რომელთა შორის განსაკუთებული ადგილი უჭირავს ჯონ ატკინსონის (John Atkinson, 1946-2017), დავიდ მაკკლელანდის (David McClelland, 1917-1998) და სხვათა შეხედულებებსა და იდეებს.

ჯონ ატკინსონი [2; 3] ვარაუდობდა, რომ ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებები განაპირობებენ ადამიანთა სწრაფვას წარმატების მიღწევისკენ, რომელსაც მან „წარმატების მიღწევის მოტივი" ("motive for success") უწოდა და წარუმატებლობის არიდებისკენ სწრაფვას ანუ „წარუმატებლობისაგან თავის დაღწევის მოტივი" ("motive to avoid failure").

დ. მაკკლელანდი აღიარებდა მოტივაციური მოთხოვნის სამ სახეს, როგორიცაა მოთხოვნა ძალაუფლებაში (ძალაუფლებისკენ სწრაფვა), მოთხოვნა ცნობადობაში (სწრაფვა პოპულარობისკენ) და წარმატების მოთხოვნა (სწრაფვა წარმატებისკენ). დევიდ მაკკლელანდის შეხედულებით, წარმატებისკენ სწრაფვა წარმოადგენს მოტივატორს წარმატებული ადამიანებისთვის, მაშინ როცა ადამიანებს, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ მოტივატორით და ამჟღავნებენ ნაკლებ მოთხოვნას წარმატების მიღწევის აუცილებლობაში. მათთვით უფრო დიდ მოტივატორს წარუმატებლობის შიში წარმოადგენს.

ამგვარი მიდგომა სიღარიბეში მყოფ ადამიანთა ცხოვრებისა და მათი ქცევის გასაგებად განეკუთვნება შიგა ან დისპოზიციურ ატრიბუციას, რომელიც აიგივებს ადამიანთა ქცევას მათ პირად მახასიათებლებთან. ამ თვალსაზრისით ღარიბ ადამიანთა ცხოვრება – ეს არის მათი პირადი მახასიათებლების თავისებურებათა და ჩვევების შედეგი: ღარიბ ადამიანებს არ გააჩნიათ სწრაფვა წარმატებისკენ და არ აქვთ მოთხოვნა, რათა ქონდეთ გარკვეული მიღწევები, რის გამო ისინი ვერ აღწევენ თავს სიღარიბეს.

ღარიბ ადამიანთა ქცევის თავისებურებების შემდგომი ახსნა უკავშირდება **სიტუაცურ ატრიბუციას**, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანები ღებულობენ გადაწყვეტილებებს განსხვავებულ ვითარებაში და ღარიბი ადამიანები ცხოვრობენ არახელსაყრელ პირობებში, რაც გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სიტუაცურ ატრიბუციის თეორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამოწურვადი თვითკონტროლის თეორია.

3. ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორია

სიტუაციური ატრიბუციის თეორიის თავისებურ გაგრძელებას და გაღრმავებას წარმოადგენს, ე.წ. **ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორია** ("depletable' self-control theory), რომელიც, აგრეთვე, აღიარებს გარემოს ზეგავლენას ადამიანთა ქცევაზე და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა განავითარეს ამოწურვადი (გამოფიტვადი) თვითკონტროლის თეორია მე-20 საუკუნის 90-ან წლებში. ეს თეორია გამომდინარეობს იმ ვარაუდიდან, რომ ადამიანები განიცდიან განსხვავებულ სურვილთა და წინააღმდეგობრივ მისწრაფებათა ზეგავლენას. ეს სურვილები და მისწრაფებები ხშირად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებენ, ერთი მეორეს პირისპირ გამოდიან და ადამიანები იძულებულნი არიან აკონტროლონ საკუთარი სურვილები და გააკეთონ არჩევანი საკუთარ მისწრაფებებს შორის. ფსიქოლოგები განიხილავენ ამგვარ არჩევანს, როგორც შინაგან კონფლიქტს [14], რომელიც უნდა იქნას გადაჭრილი კომპრომისული ან ურთიერთდამთმობი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე. სწორი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ნებისყოფის გამოყენებას. მაგრამ, როგორც ეს ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე იყო აღმოჩენილი მეცნიერ-ფსიქოლოგების ჯგუფის (Roy Baumeister, Ellen Bratslavsky, Mark Muraven, and Dianne Tice) [4; 13] მიერ, თვითკონტროლის განხორციელებისას და ნებისყოფის გამოყენებისას ადამიანს რჩება ნაკლები ძალა, რათა მიმართონ თვითკონტროლი სხვა პრობლემების გადასაწყვეტად და შეეწინააღმდეგონ ცდუნებებს.

ეს ფსიქოლოგიური აღმოჩენა იყო გამოყენებული სიღარიბის ფენომენის და ღარიბ ადამიანთა ქცევის გაგებისათვის. ფინანსური სირთულეების არსებობისას, ღარიბი ადამიანები ხარჯავენ დიდ ძალისხმევას ფინანსური პრობლემების გადასაწყვეტად, რაც აიძულებს მათ აკონტროლონ თავიანთი მრავალი სურვილი და მიიღონ კომპრომისული გადაწყვეტილებები. სიღარიბეში მცხოვრები პირები იძულებულნი არიან გამოიჩინონ ნებისყოფა ისეთი ყოველდღიური და ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი საკითხების გადაჭრისათვის, რომლებზეც უფრო შეძლებული ადამიანები საერთოდ არ ფიქრობენ[1].

ღარიბი ადამიანების ძალისხმევა ჩვეულებრივი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას იღებს ფსიქოლოგიური ან გონებრივი ხარჯების სახეს ყოველდღიური ფინანსური მოთხოვნებს შორის არჩევანის გაკეთებისათვის. ამგვარი ძალისხმევა არის დამღლელი, გამოფიტვადი ადამიანისათვის, იწვევს თვითკონტროლის შესუსტებასა (ამოწურვას) და შეცდო-

[1] მაგალითად, ღარიბი ადამიანი ფიქრობს უყიდოს თუ არა შვილს ნაყინი (ან სათამაშო, ან სხვა რამ) და რაზე უნდა თქვას უარი, რომ ეს გააკეთოს, მაშინ როცა მდიდარი ადამიანისათვის ასეთი არჩევანი არ დგას საერთოდ.

მების დაშვებას: ადამიანები ხდებიან ნაკლებად უნარიანები აღუდგნენ ცდუნებებს და ამის გამო იღებენ ყოველ მომდევნო გადაწყვეტილებას (განსაკუთრებით, როცა ეს გადაწყვეტილება ეხება მომავალს) იმპულსიურად და დაუდევრად, ხშირად რეალური აუცილებლობის საწინააღმდეგოდ.

თვითკონტროლის თეორია აღიარებულია, როგორც ფსიქოლოგების უდიდესი წვლილი ადამიანთა კეთილდღეობისა [5,გვ.1] და სიღარიბის კვლავწარმოების, უკვდავყოფის გაგებაში.

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მტკიცებით, მე–20 საუკუნის დამდეგს სიღარიბისა და კეთილდღეობის აღქმა ატარებდა სტერეოტიპიურ ხასიათს, როცა სიღარიბის არსებობა მიეწერება ღარიბ ადამიანთა პირად თვისებებს და არა სოციალურ–ეკონომიკურ სტრუქტურებსა და სისტემებს“ [3,გვ. 2].

4. დისტანცირების თეორია

თუ მე–20 საუკუნის დამლევს სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორიების ჩარევა სიღარიბესთან ბრძოლის პრობლემებში მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა ქცევასა და მის პირად მახასიათებლებთან და არა რაიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პროცესებთან, 21–ე საუკუნის დამდეგს მდგომარეობა შეიცვალა და სიღარიბე გახდა უფრო ყოვლისმომცველი პრობლემა, რომელიც ეფუძნება განსხვავებულ ახსნას. ამ პერიოდში ყალიბდება ე.წ. **დისტანცირების თეორია**, რომელიც განიხილავს სიღარიბეს, როგორს გამოცალკავებული კლასის ფსიქოლოგიურ პრობლემას. კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორია (psychological theory of classism) სიღარიბის დაუსრულებელ ციკლს ხსნის სამი ნეგატიური მიზეზით, როგორიცაა სტერეოტიპები, ცრურწმენა და დისტანცირება [11]. კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, მაღალი კლასის წარმომადგენლები ემოციურად და ფიზიკურად მიჯნავენ საკუთარ თავს ანუ დისტანცირებას ახდენენ დაბალი კლასის წარმომადგენლებისაგან ანუ ღარიბი ადამიანებისაგან, აგებენ ბარიერებს, რომლებიც აძლიერებენ კლასობრივ უთანასწორობას, ზღუდავენ რესურსებისადმი წვდომას და ხელს უწყობს სიღარიბის გაღრმავებას. კლასიზმის ფსიქოლოგიური თეორია ეფუძნება იდეას, რომ შეძლებულები/მდიდრები შეგნებულად ყოფენ ადამიანებს განსხვავებულ კატეგორიებად, როგორიცაა დაბალი, საშუალო და მაღალი კლასები და მიზანდასახულად ზღუდავენ დაბალი კლასების წარმომადგენლების წვდომას რესურსებისადმი [11]. ამგვარად, მდიდრები გააზრებულად ტოვებენ ღარიბ ადამიანებს სიღარიბეში და უზრუნველყოფენ საკუთარ კონტროლს და ძალაუფლებას ეკონომიკაზე.

დასკვნა

ამრიგად, სიღარიბე არ არის მხოლოდ შემოსავლისა და სხვა მატერიალური რესურსების, განათლებისა და სამოქალაქო უნარების უკმარისობა, არამედ ეს არის ამავდროულად გადაწყვეტილების მიღების გონებრივი (მენტალური) მოდელი და სოციალური ჩართულობის თუ იზოლირების საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Atkinson, J. W.,**(1957), Motivational determinants of risk-taking behavior. Psychological Review, 64, 359-372.
2. **Atkinson, J. W.,**(1964), An introduction to motivation. Princeton, NJ: Van Nostrand.
3. **American Psychological Association** (APA), 2000, Resolution on poverty and socioeconomic status.
4. **Baumeister Roy E., Ellen Bratslavsky, Mark Muraven, Dianne M. Tice,** (1998), Ego Depletion: Is the Active Self a Limited Resource? Journal of Personality and Social Psychology, 1998, Vol. 74, No. 5, Pp.1252-1265.
5. **Baumeister Roy F., John Tierney,**(2012), Willpower: Rediscovering the Greatest Human Strength, ISBN: 0143122231, 1594203075, 304 pages.
6. **Freud S.,** 1961 (1923), The ego and the id. In J. Strachey (Ed. and Trans.), The standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud (Vol. 19, pp. 12-66). London: Hogarth Press.
7. **Freud S.,** 1961 (1933), New introductory lectures on psycho-analysis. In J. Strachey (Ed. and Trans.), The standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud (Vol. 22, pp. 7-182). London: Hogarth Press.
8. **Ginsburg H.,**(1978), The myth of the deprived child. In H. Bee (Ed) Social Issues in Developmental Psychology. New York: Harper & Row.
9. **Goldstein A.,**(1973), Structured learning therapy: Toward a psychotherapy for the poor. New York: Academic Press.
10. **Curran L.,**(2002), The psychology of poverty: Professional social work and Aid to Dependent Children in postwar America: 1946-1963. Social Service Review, 365-386.
11. **Lott B.,**(2002), Cognitive and behavioral distancing from the poor. American Psychologist, 57, Pp.100-110.
12. **Moreira, V.,**(2003), Poverty and psychopathology. In S. Carr & T. Sloan (Eds.), Poverty and psychology: From global perspective to local practice (pp. 69-86). New York: Kluwer Academic/Plenum Publishers.
13. **Muraven Mark, Roy F. Baumeister,** (2000), Self-Regulation and Depletion of Limited Resources: Does Self-Control Resemble a Muscle?, Psychological Bulletin, Vol. 126, No. 2,Pp. 247-259.
14. **Ord Toby,** (2014), Global poverty and the demands of morality, In J Perry (ed.) God, The Good, and Utilitarianism: Perspectives on Peter Singer, (Cambridge: CUP), Pp.177–191.
15. **Pearl A.,**(1970), The poverty of psychology: An indictment. In V. Allen (Ed.), Psychological factors in poverty. Chicago: Markham Publishing Company.
16. **Rainwater L.,** (1970), Neutralizing the disinherited: Some psychological aspects of understanding the poor. In V. Allen (Ed), Psychological Factors in Poverty. Chicago: Markham Publishing Company.

PSYCHOLOGICAL THEORY OF POVERTY

GIORGI KEPULADZE
PhD student,
Akaki Tsereteli State University, Georgia
kepuladze.giorgi@gmail.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.028

KEYWORDS: POVERTY, ATTRIBUTION THEORY, “DEPLETABLE” SELF-CONTROL THEORY, DISTANCING THEORY

SUMMARY

Poverty is one of the major problems that is faced by the modern society. The representatives of different fields of social science investigate poverty and develop their own perceptions regarding to the problem.

Given paper investigates poverty in psychological theory because psychological factors like human behavior, decision-making and etc. could be considered as one of the most important aspects to staying poor.

The development of psychological theories of poverty runs at least three periods: before 1980th psychologists were based on the individual specific of poverty explanations; in period from 1980 until 2000 the role of the individuals in poverty explanations were added by situational (social environmental) understanding of poverty existence, while after 2000 the psychologists extended the methodological boundaries of investigations and came to the multi-disciplinary understanding of poverty when acknowledged the impact of economic, political and social factors as roots of poverty.

Despite the evolution of psychologists’ perspectives on the causes and roots of poverty, psychological theories of poverty are focused more on the individuals and their differences. Some of those theories, in particular Intelligence-based psychological theories, consider poverty as result of cognitive deficiencies. Other theories assume psychological sickness, psychological disturbance and moral deficiencies as a cause of poverty. For example, based on the Freud’s explanations of the ego as a part of the psyche that perceives the reality of the external world through assumption of conflict between inner and outer pressures, the psychological theories explain the poor’s dependence on the state in terms of character disorders of the welfare recipients and account this psychiatric deviation as the factor that keeps the poor in poverty

The article studied various theories of poverty such as:

1) **Attribution Theory** that is divided into **internal** and **external** attributions. Internal (dispositional) attribution explains human behavior by personal characteristic and possibilities of an individual, while an external (situational) attribution is based on the situational explanation of the human’s behavior;

2) **“Depletable” self-control theory** represents the conflicts between the aspirations and abilities of the human being;

3) **Distancing theory** which determines poverty as a psychological problem of separated classes.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) და მისი ეკონომიკური შედეგები

რამაზ ფუტკარაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ramaz.putkaradze@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.029

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინტეგრაცია, ნაფტა, თავისუფალი ვაჭრობა, კონომიკური ეფექტები

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) დაარსდა 1994 წელსდა აერთიანებს აშშ-ს, კანადასა და მექსიკას. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ გააუქმდა უმეტესი სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ამ ქვეყანას შორის. ასოციაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაღრმავებას და ინვესტიციების ზრდას.

ნაფთა არის მაგალითი თუ რა დადებითი სიკეთის მოტანა შეუძლია თავისუფალ ვაჭრობას წევრი ქვეყნებისათვის. მიუხედავად ნაფტას არსებობის 24 წლისა მან უდიდესი შედეგები მოუტანა წევრ ქვეყნებს, გაიზარდს წევრი ქვეყნების მშპ, მშპ მოსახლების ერთ სულზე, გაიზარდა დასაქმება. ნაფტა არის მაგალითი, რომ თავისუფალ ვაჭრობას აქვს და ექნება მომავალი. სხვადასხვა კვლევებით 1993 წლიდან დასაქმებულთა რაოდენობა 40 მლნ ადამიანით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს რომ, აშშ-ის სასაქონის ექსპორტის მოცულობა კანადაში 1993 წელს 100 მლრდ აშშ დოლარიდან 2016 წელს 267 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ხოლო მექსიკაში — 142 მლრდ. დან 498 მლრდ აშშ დოლარამდე; აშშ-ის იმპორტის მოცულობა კანადიდან შეადგენდა 1993 წელს 111 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო 2016 წელს 278 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო მექსიკიდან იმპორტი — 151 მლრდ-დან 572 მლრდ აშშ დოლარამდე. მექსიკაში ყოველი მე-4 სამუშაო ადგილი ექსპორტზეა დამოკიდებული.

NAFTA-ს დიდი მხარდაჭერა აქვს აშშ-ში (ასევე კანადასა და მექსიკაში). 2017 წლის თებერვალში ჩატარებული Gallup-ის გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 70%-ზე მეტმა განაცხადა, რომ NAFTA კარგი იყო აშშ-სთვის.

ცხრილ N1-ში მოცემულია ინტეგრაციაში მონაწილე სამივე წევრი ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები. ნათელია, რომსამივე ქვეყნისთვის ჩანს დადებითი შედეგები ასე მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობა თუ 1994 წელს შადგენდა 263 მლნ კაცს, 2017 წელს გაიზარდა 327 მლნ-მდე,, მექსიკაში — 92 მლნ დან და 129 მლნ-მდე, ხოლო კანადაში 29 მლნ დან 37-მლნ კაცამდე. ნომინალური მშპ-ის მოცულობა აშშ-ში 1994 წელს 7,3 ტრლნ აშშ დოლარიდან 2017 წელს 19,4 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, მექსიკაში იგივე მაჩვენებელი — 508 მლრდ აშშ დოლარიდან 1148 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო კანადაში — 548 მლრდ აშშ დოლარიდან 1627 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

აშშ-კანადის საგარეო სავაჭრო თანამშრომლობა. კანადა აშშ-ის მე-2 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, 2016 წელს მხარეებს შორის საქონლით სავაჭრო ბრუნვამ 544,9 მლრდ აშშ დოლარის შეადგინა. მათ შორის აშშ ექსპორტი კანადაში 266,8 ხოლო საქონლის იმპორტი კანადიდან 278,1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აშშ-ს ვაჭრობის დეფიციტმა კანადასთან 2016 წელს 11,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მხარეებს შორის მომსახურებით სავაჭრო

ცხრილი 01 [1, გვ.5.]

მექსიკის, კანადისა და აშშ–ის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები 1994 და 2017 წლები

	Mexico		Canada		United States	
	1994	2017	1994	2017	1994	2017
Population (millions)	92	129	29	37	263	327
Nominal GDP (US$ billions)	508	1,148	548	1,627	7,309	19,371
Nominal GDP, PPP Basis (US$ billions)	790	2,372	654	1,671	7,309	19,371
Per Capita GDP (US$)	5,499	8,890	19,914	44,415	27,777	59,332
Per Capita GDP in $PPP	8,555	18,370	22,531	45,630	27,777	59,330
Exports of goods and services (% of GDP)	14%	37%	33%	31%	10%	12%
Imports of goods and services (% of GDP)	18%	39%	32%	34%	11%	15%

ბრუნვამ 2016 წელს 85,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან აშშ მომსახურების ექსპორტმა კანადაში 56,4 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 29 მლრდ აშშ დოლარი იყო. აშშ-ს დადებითმა სავაჭრო ბალანსმა კანადასთანნ 27,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ბოლო წლებია კანადა ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესი საექსპორტო ბაზარია. 2017 წელს აშშ-ის საექსპორტო საქონელი კანადაში 282,5 მლრდ აშშ დოლარი იყო და აშშ-ს ექსპორტი კანადაში 1993 წელთან შედარებით 181%-ით გაიზარდა. აშშ-ს ექსპორტი კანადაში 2017 წელს აშშ-ის საერთო ექსპორტის 18.3%-ს შეადგენს. მხოლოდ აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა კანადაში 2017 წელს 24 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. კანადაში აშშ-ს მომსახურების ექსპორტის ექსპორტის მოცულობამ 2017 წელს 58.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1993 წელთან შედარებით 245%-ით გაზრდილია.

კანადა იყო 2017 წელს აშშ-ის მე-3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იმპორტის კუთხით, ჩინეთისა და მექსიკის შემდეგ. 2017 წელს აშშ-ის საქონლის იმპორტმა კანადიდან 300 მლრდ აშშ შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 8.0% (22.2 მლრდ აშშ დოლარი), ხოლო 1993 წელთან შედარებით 170%-ით გაზრდილია. აშშ-ის იმპორტში კანადის ხვედრითმა წონამ 12.8% შეადგენა.

კანადიდან აშშ-ში მომხასურების იმპორტმა 2017 წელს 32,8 მლრდ აშშ დოლარი იყო, რაც 2016 წელთან შედარებით მეტია 9.5%-ით (2.8 მლრდ აშშ დოლარი) ხოლო 1993 წლის მონაცემებთა დაახლოებით 260%-ით.

აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ კანადაში 2016 წელს 366,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო აშშ-ში კანადურმა პუი-ების მოცულობამ 371,5 მლრდ აშშ დოლარი.

აშშ-მექსიკის საგარეო სავაჭრო თანამშრომლობა. აშშ-ის ოფიციალური მონაცემებით, საქონლით ვაჭრობაში თუ მას 2017 წელს კანადისთან 17,5 მლრდ აშშ დოლარის დეფიციტი დაფიქსირდა, მექსიკასთან 71,1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მექსიკა აშშ-ის მე-2 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, მხარეებს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 557 მლრდ აშშ დოლარი შადგინა, აქედან აშშ-ის საქონლის ექსპორტი 243, ხოლო კმექსიკიდან საქონლის იმპორტმა 314 მლრდ აშშ დოლარი შადგინა. მხარეებს შორის მომსახურებით ვაჭრობის მოცულობამ 2017 წელს 59,5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წელი — 53,4), აქედან აშშ მომსახურების ექსპორტი 33,3 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო მექსიკიდან მომსახურების იმპორტი 26,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა

მექსიკა აშშ-ის მეორე საექსპორტო ქვეყანაა. 2017 წელს აშშ-ის საქონლის ექსპორტმა მექსიკაში 243 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შდარებით 5,8%-ით მეტია (13,3 მილიარდი), ხოლო 1993 წელთან შდარებით 484%-ით გაზრდილია. მექსიკაზე მოდის აშშ-ს მთლიანი ექსპორტის 15,7%. აშშ-ის მომსახურების ექსპორტმა მექსიკაში 2017

ცხრილი 02 [3, გვ. 39.]

აშშ–ის საქონლით საგარეო ვაჭრობა NAFTA-ს ქვეყნებთან (მლრდ აშშ დოლარი)

	კანადა			მექსიკა			NAFTA		
წელი	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო სალდო
1993	100.4	111.2	-10.8	41.6	39.9	1.7		151.1	-9.1
1994	114.4	128.4	-14.0	50.8	49.5	1.3	165.3	177.9	-12.6
1995	127.2	144.4	-17.1	46.3	62.1	-15.8	173.5	206.5	-33.0
1996	134.2	155.9	-21.7	56.8	74.3	-17.5	191.0	230.2	-39.2
1997	151.8	167.2	-15.5	71.4	85.9	-14.5	223.2	253.2	-30.0
1998	156.6	173.3	-16.7	78.8	94.6	-15.9	235.4	267.9	-32.5
1999	166.6	198.7	-32.1	86.9	109.7	-22.8	253.5	308.4	-54.9
2000	178.9	230.8	-51.9	111.3	135.9	-24.6	290.3	366.8	-76.5
2001	163.4	216.3	-52.8	101.3	131.3	-30.0	264.7	347.6	-82.9
2002	160.9	209.1	-48.2	97.5	134.6	-37.1	258.4	343.7	-85.3
2003	169.9	221.6	-51.7	97.4	138.1	-40.6	267.3	359.7	-92.3
2004	189.9	256.4	-66.5	110.7	155.9	-45.2	300.6	412.3	-111.7
2005	211.9	290.4	-78.5	120.2	170.1	-49.9	332.1	460.5	-128.3
2006	230.7	302.4	-71.8	133.7	198.3	-64.5	364.4	500.7	-136.3
2007	248.9	317.1	-68.2	135.9	210.7	-74.8	384.8	527.8	-143.0
2008	261.1	339.5	-78.3	151.2	215.9	-64.7	412.4	555.4	-143.1
2009	204.7	226.2	-21.6	128.9	176.7	-47.8	333.6	402.9	-69.4
2010	249.3	277.6	-28.4	163.7	230.0	-66.3	412.9	507.6	-94.7
2011	281.3	315.3	-34.0	198.3	262.9	-64.6	479.6	578.2	-98.6
2012	292.7	324.3	-31.6	215.9	277.6	-61.7	508.5	601.9	-93.3
2013	300.8	332.5	-31.7	226.0	280.6	-54.6	526.7	613.1	-86.4
2014	312.8	349.3	-36.5	240.3	295.7	-55.4	553.1	645.0	-91.9
2015	280.6	296.2	-15.5	235.7	296.4	-60.7	516.4	592.6	-76.2
2016	266.8	278.1	-11.2	231.0	294.2	-63.2	497.8	572.2	-74.4

წელს 33,3 მლრდაშს დოლარი შეადგინა, რაც, 2016 წელთან შედარებით 3,8%–ით მეტია (1,2 მლრდ აშს დოლარი), ხოლო 1993 წელთან შედარებით მეტია 220%–ით.

ასევე მექსიკა აშშ–ის საქონლის იმპორტის კუთხით მეორე ქვეყანაა. 2017 წელს აშშ–ში საქონლის იმპორტმა მექსიკიდან 314.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შდარებით 6.8%–ით მეტია (20.0 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 1993 წელთან შედარებით 687%–ით მეტია. მექსიკაზე მოდია აშშ–ის საქონლის იმპორტის 13.4%.

მექსიკიდან აშშ–ში მომსახურების იმპორტმა 2017 წელს 26.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შედარებით 6.9%–ით მეტია ($ 1.7 მილიარდი), ხოლო 1993 წელთან შედარებით დაახლოებით 254%–ით. მხარეებს შორის ასევე მასშტაბური და მზარდია საინვესტიციო თანამშრომლობა. აშშ–ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მექსიკაში 2015 წელს 92,3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1993 წელთან შედარებით გაზრდილია 610%–ით. მექსიკურმა პუი–ების მოცულობამ აშშ–ში 2015 წელს 16,6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1993 წელთან შედარებით გაზრდილია 1330%–ით.

NAFTA–ს სადავო საკითხები. ცნობილია, რომ NAFTA აშშ–ს, მექსიკასა და კანადას შორის თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებს, რომელსაც ტრამპი მუდმივად აკრიტიკებდა განსაკუთრებით არჩევნების წინ. აშშ–ს პრეზიდენტის განცხადებით, NAFTA ამერიკულ ბიზნესსა და სამუშაო ძალას ზიანს აყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ–ში პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ აშშ მოსალოდნელთან შედარებით, ნაკლებად პროტექციონისტურ პოლიტიკას ატარებს. მაგრამ, ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვის დროს აშშ პრეზიდენტმა ტრამპმა აღნიშნა, რომ წინა პლანზე მხო–

ცხრილი 03 [4, გვ. 37.]

აშშ პუი—ები კანადასა და მექსიკაში
1993-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წელი	კანადური პუი—ები აშშ—ში	აშშ პუი—ები კანადაში	მექსიკური პუი—ები აშშ—ში	აშშ—ის პუი მექსიკაში
1994	41,219	74,221	2,069	16,968
1995	45,618	83,498	1,850	16,873
1996	54,836	89,592	1,641	19,351
1997	65,175	96,626	3,100	24,050
1998	72,696	98,200	2,055	26,657
1999	90,559	119,590	1,999	37,151
2000	114,309	132,472	7,462	39,352
2001	92,420	152,601	6,645	52,544
2002	92,529	166,473	7,829	56,303
2003	95,707	187,953	9,022	56,851
2004	125,276	214,931	7,592	63,384
2005	165,667	231,836	3,595	73,687
2006	165,281	205,134	5,310	82,965
2007	201,924	250,642	8,478	91,046
2008	168,746	246,483	8,420	87,443
2009	188,943	274,807	11,111	84,047
2010	192,463	295,206	10,970	85,751
2011	205,225	330,041	12,500	85,599
2012	214,314	366,709	12,751	104,388
2013	222,989	370,259	15,869	86,433
2014	257,142	358,452	16,567	89,650
2015	268,972	352,928	16,597	92,812

ლოდ აშშ-ს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები უნდა იყოს დაყენებული და პროტექცნიონიზმს ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია.

მექსიკის მთავრობის წარმომადგენლები მოხარულები არიან, რომ პრეზიდენტ ტრამპთან NAFTA-სთან (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) დაკავშირებით ხელახალი მოლაპარაკებების გამართვა შესაძლებელია. თუმცა მათ ამერიკელ კოლეგას მესიჯსაც უგზავნიან: არ დააწესოთ საბაჟო ტარიფი, რომ სავაჭრო ტარიფები ორივე მხარეს უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს.

სამუშაო ადგილების გარკვეული რაოდენობა ამერიკელი მოსახლეობისთვის ნამდვილად დაკარგულია, თუმცა ამის ასე მარტივად თქმა არ შეიძლება: აშშ-ის სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ნაფტას შემდეგ, სამივე ქვეყანაში (მ. შ. აშშ-ში) 40 მლნ მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა და დღეს NAFTA-ზე პირდაპირ არის დამოკიდებული.

თავის მხრივ NAFTA-თი სარგებელს ამერიკული ტნკ-ები, განსაკუთრებით კი ავტომწარმოებლები იღებენ, რომლებიც მექსიკაში იაფ მუშახელს მარტივად პოულობენ. მექსიკაში საქონლის წარმოება უფრო იაფი ჯდება. შესაბამისად, ამერიკელი მოსახლეობა მექსიკიდან იმპორტირებულ საკვებს, ტანსაცმელსა, ავტომობილებს და სხვა საქონელს უფრო ხელმისაწვდომ ფასებში ყიდულობს, თავის მხრივ ნაფტას ხელშეკრულების გადახედვა მათ საქონელსა და მომსახურებას გაუძვირებს.

აშშ, კანადასა და მექსიკის ვაჭრობის მინისტრებმა განაცხადეს, რომ სამივე ქვეყნის მთავრობა მზადაა დაჩქარებული იქნას სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესი და მოხდეს შეთანხმება განახლება საკუთარი მოქალაქეების სასარგებლოდ. მოლაპარაკებები დაიწყო 2017 წლის 16 აგვისტოს, მაგრამ ბოლომდე გაურკვეველია NAFTA-ის განახლებისა და მოდერნიზაციის პერსპექტივა. თავის მხრივ პრეზიდენტი ტრამპი განაგრძობს NAFTA-ის კრიტიკას და იმის ხაზგასმას რომ აშს აქვს მაღალი სავაჭრო დეფიციტი მექსიკასთან. 2018 წლის თებერვალში მან განაცხადა რომ თუ შეერთებული შტატები ვერ შეთანხმდება მხარეებთან ის შეწყვეტს NAFTA-ს ხელშეკრულეებას.

აშშ-ს პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა შესაძლოა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) აღარ გაახანგრძლივოს. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მან NAFTA-ს „ისტორიაში ყველაზე ცუდი ხელშეკრულება" უწოდა და თეთრ სახლში შესვლის შემდეგ კანადისა და მექსიკის უმაღლეს წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა. თუმცა მას შემდეგ მოლაპარაკების რამდენიმე უშედეგო რაუნდი გაიმართა.

ტრამპის განცხადებით, NAFTA აშშ-სთვის მომგებიანი ხელშეკრულებაარ არის. მისი აზრით, განსაკუთრებულ სარგებელს მექსიკა იღებს, რომელიც აშშ-ს სამუშაო ადგილებს ართმევს.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (NAFTA) ხელი 23 წლის წინ მოეწერა და მან აშშ, კანადა და მექსიკა გააერთიანა. აშშ-სსავაჭრო პალატის ინფორმაციით, ათეულობით მილიონი სამუშაო ადგილი მექსიკასთან და კანადასთან ვაჭრობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული. სამუშაო ადგილების ზრდას კი ხელი სწორედ NAFTA-ზე ხელმოწერამ შეუწყო.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც სამი მხარე შეთანხმებას ვერ ახერხებს, შემდეგია – საავტომობილო მრეწველობა და ვაჭრობა. მექსიკასთან სავაჭრო დეფიციტის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ავტომობილებია. ასე მაგალითად, 2016 წელს აშშ-ის ექსპორტში მანქანებისა და მისი ნაწილების წილმა მექსიკაში შეადგინა 27,2 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა მექსიკიდან 96 მლრდ აშშ დოლარი, 1993 წელთან შედარებით აშშ-ის მანქანებისა და მისი ნაწილების ექსპორტი მექსიკაში გაზრდილია 262%-ით ხოლო პირიქით 765%-ით.

საქართველოს აქვს სავაჭრო-ეკონომიკური (და არა მარტო) ურთიერთობები ნაფტას წევრ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი მის სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-თან [11], [14].

ეკონომიკური კვლევების უმრავლესობა მიუთითებს იმაზე, რომ NAFTA მომგებიანია ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკისა და წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის, მაგრამ ზიანი მიაყენა რიგ დარგებს [5] [6] [8]. ასევე მიიჩნევენ, რომ NAFTA-დან გამოსვლა და ვაჭრობის ბარიერების აღდგენა უარყოფითად იმოქმედებს აშშ-ის ეკონომიკასა და ხარჯზე [9] [10]. თუმცა, მექსიკა ბევრად უფრო მეტად დაზარალდა, შემცირდება სამუშაო ადგილები და მოხდება ეკონომიკური ზრდის შემცირება როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამრიგად ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები ასე გამოიყურება: გაიზარდა აშშ-ის ექსპორტის მოცულობა აშშ-ში; გაიზარდა აშშ-ში კანადური საქონლის იმპორტმა; გაიზარდა აშშ-ის მომსახურების ექსპორტმა კანადაში; გაიზარდა კანადური მომსახურების იმპორტმა აშშ-ში; გაიზარდა აშშ-ის პუი-ების მოცულობამ კანადაში; გაიზარდა კანადური პუი-ების მოცულობამ აშშ-ში; გაიზარდა აშშ-ის ექსპორტის მოცულობა მექსიკაში; გაიზარდა აშშ-ში მექსიკური საქონლის იმპორტმა; გაიზარდა აშშ-ის მომსახურების ექსპორტმა მექსიკაში; გაიზარდა მექსიკური მომსახურების იმპორტმა აშშ-ში; გაიზარდა აშშ-ის პუი-ების მოცულობამ მექსიკაში; გაიზარდა მექსიკური პუი-ების მოცულობამ აშშ-ში; გაიზარდა კანადისა და მექსიკის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები; გაიზარდა აშშ-ის კომპანიების ფილიალებია რაოდენობა კანადაში და პირიქით და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World development indicators, (2017). World bank.
2. World Trade Organization, (2016). ,,World Trade Statistical Review”.
3. M. Angeles Villarreal. Ian F. Fergusson. (2018). NAFTA Renegotiation and Modernization. Congressional Research Service.
4. M. Angeles Villarreal. Ian F. Fergusson. (2018).The North American Free Trade Agreement (NAFTA). Congressional Research Service.
5. «NAFTA›s Economic Impact». (2017). Council on Foreign Relations. Retrieved.
6. Jump up Rodrik, Dani. (2017). Populism and the Economics of Globalization.
7. Jump up to: Which American producers would suffer from ending NAFTA?». (2017). The Economist. Retrieved.
8. M. Angeles (2010). Villarreal NAFTA and the Mexican Economy, Federation of American Scientists Congressional Research Service.
9. James McBride, Mohammed Aly Sergie NAFTA’s Economic Impact. https://www.cfr.org/backgrounder/naftas-economic-impact
10. Rothbard, Murray. (2016). The NAFTA Myth Mises Institute. Mises Institute.
11. ფუტკარაძე რ. (2017). საქართველო–ევროკავშირის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერს–პექტივები, თბილისი, «უნივერსალი».
12. Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie, Poland.
13. http://www.naftanow.org
14. http://geostat.ge

THE NORTH AMERICAN FREE TRADE ASSOCIATION (NAFTA) AND ITS ECONOMIC EFFECTS

RAMAZ PUTKARADZE
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ramaz.putkaradze@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.029

KEYWORDS: ECONOMIC INTEGRATION, NAFTA, FREE TRADE, ECONOMIC EFFECTS

SUMMARY

The North American Free Trade Association (NAFTA) was founded in 1994 and includes the US, Canada and Mexico. Most of the tariff and non-tariff barriers were abolished after the agreement went into force. The Association has significantly contributed to deepening trade between member states and the growth of investments.

The achievement of the financial statements audit requires a segment of audit that can be carried out in the international practice through the subjective and cyclical approaches.

In the audit process it is also important to assess the audit's risk correctly, which is carried out by the following three components: the risk of risk, the risk of control and the risk of invisibility.

The official certificate presented by the management of the audit object is as follows: "In total, the financial statements are presented in accordance with the basis of the fair presentation of the fair financial statements", in fact the existence of certain the evidence in the financial statements.

The auditor uses the assertions to evaluate risk assessment by considering the potential inaccuracies that may be allowed to work and develop audit procedures that will assess the risk assessment. The components of financial reporting have different risks, which are essential for auditing. Consequently, when considering a component, the auditor should be able to determine which claim is predominant. For example: the evidence of the existence on assets is more important than completeness. The completeness of earnings in turn is more important than determining whether this operation was implemented or not. This may be individual for each audit taking into consideration the relevant specific risk.

ტურიზმის დარგი და რეგიონის ეკონომიკაზე მისი გავლენის შეფასების მოდელები

მირანდა გავაშელი
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახ. ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო
mikogavasheli@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.043

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, რეგიონის ეკონომიკა, ეკონომიკური ზეგავლენის მოდელი

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბოლო წლებში ის მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი დარგია. ეკონომიკის ეს დარგი ძალიან სწრაფად ვითარდება და მისი მნიშვნელოვანი სექტორია.

ტურიზმის დარგის განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა ქვეყნებში. „პატარა ქვეყნებს არა მარტო მრავალი პრობლემები აქვთ, არამედ მცირე ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები სხვადასხვა ხასიათისაა და განსხვავებულად რეგულირდება. რაც შესაბამისად აისახება სავაჭრო ურთიერთობებზე, მათი დარგების განვითარების მიმართულებებზე და ტემპებზე. მცირე ქვეყნებს არ გააჩნიათ ის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტულ უპირატესობას დიდი ქვეყნებთან ვაჭრობისას. მასშტაბის ეკონომიით მიღებული უპირატესობა ან გაცვლითი კურსით მანიპულაცია არ იძლევა მნიშვნელოვან შედეგებს. დიდი ქვეყნების სავაჭრო და სავალუტო ზონებში მიერთება და გაერთიანება კი პოზიტიურ შედეგებთან ერთად საფრთხეებსაც შეიცავს“.

მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა, რომლის განვითარებასაც განაპირობებს ქვეყნის შიდა სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე და უსაფრთხო გარემო. ტურიზმი ხელს უწყობს მშვიდობიან განვითარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდას. ეს დარგი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი და სწრაფად განვითარებადი დარგია.

ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკაში. საყურადღებოა ისიც, რომ ტურიზმის სექტორი საქართველოში სწრაფი ტემპით იზრდება მიუხედავად მსოფლიო კრიზისისა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია. საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა თითქმის 300%-ით გაიზარდა და 2016 წელს რეკორდულ მაჩვენებელს 6.350.825-ს მიაღწია, ნაცვლად2009 წლის 1.5 მლნ-ის. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, 2009 წელს თუ 476 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2016 წლამდე – 2.16 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ქვეყნის ეკონომიკაზე ცალკეული დარგების გავლენა, ზემოქმედების შეფასება ძალიან ხშირად მკვლევართა შესწავლის ობიექტი ხდება. მათ შორის დიდია დაინტერესება ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის შეფასებისადმი.

ტურიზმის ეკონომიკაზე ზემოქმედებას ხშირად აანალიზებენ ეკონომიკური ზეგავლენის მოდელების მეშვეობით. ეს მოდელებია: მწარმოებლური სიმძლავრის გამოყენების მოდელი (Capacity Utilization Model-CUM), რეგიონული ეკონომიკის მოდელი Inc (REMI), და დაგეგმვის ზემოქმედების, ანალიზის მოდელი (IMPLAN).

CUM (Capacity Utilization Model) – სიმძლავრის გამოყენების მოდელი შემუშავდა 1990 წელს ჰენრი ფიშქაინდის მიერ ფლორიდის შტატში, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა ეკონომიკაზე ზემოქმედების ანალიზის ჩატარება. ჰ.ფიშქაინდმა და მისმა პარტნიორებმა მრავალი ტურისტული კვლევა ჩაატარეს ამ მეთოდის გამოყენებით აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. ეს მოდელი –CUM რაოდენობრივად განსაზღვრავს ეკონომიკის დარგების ზეგავლენას ადგილობრივ ეკონომიკაზე. მოდელი სასტუმროს ინდუსტრიას განიხილავს ძირითად ელემენტად. იმისათვის რომ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობები გაიზომოს, ძირითად ელემენტთან ერთად მნიშვნელოვანია ინფორმაცია თუ რამდენი ოთახია ხელმისაწვდომი ან დაკავებული, ან როგორ იცვლება მათი მონაცემები დროის გარკვეულ მონაკვეთში. მოდელის მეშვეობით ჩნდება შესაძლებლობა დარგის განვითარების დაგეგმვისათვის გამოიყენონ შემდეგი ინფორმაცია – თუ რა დროით რჩებიან ვიზიტორები სასტუმროს ნომრებში, გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ტურისტების, თუ ტრამდენი ადამიანი ჩერდება სასტუმროს ნაცვლად – მეგობრებთან, ნათესავებთან სახლებში, განისაზღვროს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სასტუმროში გაჩერების მაგივრად ირჩევენ ბანაკებს კარვებით ან აპარტამენტებს, ასევე ვიზიტორებს, რომლებიც გარკვეულ ღონისძიებებზე დასასწრებად და არ რჩებიან იმ ადგილზე.

REMI – (Regional Economic Models,Inc.) – არის ყველაზე გავრცელებული მოდელი და ეკონომეტრიკული მოდელი (Input-Output ანუ I/O Model). ის დაფუძნებულია ნეოკლასიკურ თეორიაზე და დაარსდა 1980 წელს. ეს მოდელი აღწერს რეგიონის ეკონომიკაში სექტორებს შორის,ასევე კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის, ფულის ნაკადების გადადინებას, რისი შესყიდვაც სჭირდება ერთ სექტორს იმისათვის რომ აწარმოოს განსაზღვრული რაოდენობის ღირებულების ნაწარმი – ამით ხდება ფულის ნაკადის პროგნოზირება.

REMI იზიარებს ორ მოსაზრებას – შინამეურნეობები მაქსიმალურად ზრდიან მათ სარგებლიანობას და შესაბამისად მწარმოებლები ზრდიან თავიანთ მოგებას.

ამ მოდელის უპირატესობა ისაა რომ ის არის დინამიკური დანახარჯები – გამოშვების ეკონომეტრიკული მოდელი და შეიძლება მისი გამოყენება ორივე პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტის პროგნოზირებისთვის მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში. სხვა მოდელები გამოიყენება სტატიკური ან ერთიწლის პერიოდის განმავლობაში.

IMPLAN – (Impact Analysis for Planning) – ეკონომიკური ზეგავლენის დაგეგმვის მოდელი. ამ მოდელის მეშვეობით გაიანგარიშება და მიიღება ინფორმაცია ერთი ინდუსტრიული სექტორიდან (მწარმოებლიდან) მეორე ინდუსტრიაში პროდუქციის გადინების შესახებ. ამ მოდელის თეორიული საფუძველი არის დანახარჯები, და პროდუქციის გამოშვება. ეს მოდელი შეიქმნა 1993 წელს ორი მკვლევარის მიერ მინესოტას უნივერსიტეტში.

პირველი კვლევა დარგის გავლენისა რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე სტენსმა ჩაატარა 1999 წელს. კვლევის მიზანი იყო ეკონომიკური ზეგავლენის ოდენობის განსაზღვრა. მან ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მიდგომაზე: ა) სუბიექტური შეფასებები, რომლებიც ექსპერტთა მოსაზრებას ეფუძნება; ბ) მეორადი მონაცემები, თანმიმდევრული ფორმით, რომელიც იყენებს სიტუაციების შესაბამისად შეფასებებს და აღრიცხვის მონაცემებს, გ) მეორადი მონაცემები არათანმიმდევრულიფორმით, რომელიც მდგომარებას ერგება გაუმჯობესებული გადაწყვეტილებებით და დ) პირველადი მონაცემები ან ფორმალური მოდელები, რომელიც მოიცავს ვიზიტორთა კვლევებს და რეგიონულ ეკონომიკურ მოდელებს.

ერთ-ერთმა მკვლევარმა აღწერა წყაროები, რომლითაც შეიძლება მონაცემების შეგროვება და პროცესების შეფასება, რომლის მეშვეობით მოხდება ამ მონაცემების ადაპტაცია და გამოყენება დანახარჯები – შემოსავლების მოდელირებისთვის. მის კვლევებში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი და რეგიონული სამომხმარებლო ხარჯების კვლევა იშვიათი, ძვირი და შრომატევადია. თუმცა ამ კვლევამ შეძლო„ძვირადღირებული და შრომატევადი" მონაცემების გამოყენება. ინფორმაციის შეგროვება ინტერვიუების მეშვეობით და შერჩევის ნიმუშის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება რომ უფრო ზუსტი შედარება გაკეთდეს ეკონომიკური მოდელების-CUM , REMI და IMPLAN-ის.

ს.რაიანმა თავის შრომებში განიხილა ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის დარგის ეკონომიკური ზეგავლენის მოდელები. მან აღნიშნა, რომ დანახარჯები-წარმოების ანალიზის დროს აუცილებელია შეფასებები და კიდევ უფრო დაზუსტებული ძირითადი კოეფიციენტების (მულტიპლიკატორების) გამოყენება. ამ მოდელების გამოყენება ეფექტიანია, ვინაიდან ტურიზმის დარგის განვითარების მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრა წინასწარ შესაძლებელია. მაგრამ არის ბარიერებიც, კერძოდ, მომსახურების გაწევა ტურიზმის სექტორში განსაკუთრებით შეაფერხა დეფინიციების – განსაზღვრებების სიმცირემ. არ იყო SIC (Standard Industrial Classification (SIC) და NAICS (North American Industry Classification System) კოდები ტურიზმის სექტორისთვის. ამჟამად არსებობს ტურიზმთან დაკავშირებული ორი NAICS კოდი, რომელიც ორ სექტორთანაა დაკავშირებული: 1-კონვენცია და ვიზიტორთა ბიურო და 2-გენერალური ეკონომიკური პროგრამების ადმინისტრაცია.

აქვე შეგვიძლია წარმოგიდგინოთ ეკონომიკური ანალიზის ცენტრის (CCEA) ჩატარებული კვლევა, რომელიც 2001 წელს ჩატარდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კონექტიკუტის მოგზაურობის და ტურიზმის ინდუსტრიაზე ეკონომიკური ზეგავლენის განსაზღვრა – ეკონომიკური ზეგავლენის მოდელის REMI-ს გამოყენებით. მათ გამოიყენეს კვლევის შერწყმული მეთოდები საიმედო, სანდო შეფასების გამოსათვლელად. მათ შეისწავლეს 8 ოლქი და 11 ტურისტული რაიონი. შედეგებში გამოვლინდა, რომ კონექტიკუტის მოგზაურობის და ტურიზმის ინდუსტრია ასაქმებდა მომუშავეთა უფრო დიდ რაოდენობას, ვიდრე ფინანსური, სადაზღვევო და უძრავი ქონების სამსახურები.

რიკმენმა და შვერმა 1993 და 1995 წლებში ერთმანეთს შეადარეს ეკონომიკური მოდელები REMI და IMPLAN, მათი მეშვეობით გამოთვლილი შედეგების მონაცემები. ეს იყო პირველი. მანამდე ასეთი კვლევა არ ჩატარებულა. 2005 წელს პერლიჩმა ჩაატარა მსგავსი კვლევა, რომელიც აღწერდა განსხვავებას REMI-ს და გამოშვება-დანახარჯებს შორის.

გრინფილდი და კემფბელი 1992 წელს და დელერი, ასევე 1992 წელს საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სტრუქტურული განსხვავებებზე დაყრდნობით REMI -ს და IMPLAN-ის მოდელებს შორის განსხვავებები არ ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას მულტიპლიკატორების შეფასებებზე. 1995 წლის კვლევებში რიკმანმა და შვერერმა გამოიკვლიეს, თუ როგორ უნდა მოხდეს მულტიპლიკატორების შედარება სხვადასხვა მოდელებთან. მათ აღმოაჩინეს, რომ არსებობს ტენდენცია IMPLAN-ის რეგიონული შესყიდვების კოეფიციენტების (PRCs) გადაჭარბებით შეფასებაზე ზოგიერთ მომსახურების სექტორებში. ისიც იყო განხილული, რომ ადვილი იქნებოდა ამისი გამოსწორება მომხმარებლის შესაძლებლობებიის საფუძველძე რომ IMPLAN-ის მოდელი უნდა შეიცვალოს და მოარგონ PRCs.-ს. თუმცა ამ შეზღუდვამ შეიძლება გამოიწვიოს უნებლიე შეუფასებლობა რადგან ის არის მეცნიერთა დამოუკიდებელი ჯგუფის შემუშავებული და არა სამეცნიერო.

კვლევის აღნიშნული მოდელების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა ქვეყნებისთვის. მაგალითისთვის განვიხილოთ ტურიზმის დარგისკვლევის რამოდენიმე რეგიონი, მაგალითად რეგიონი ფლორიდა. ტურიზმის დარგი ფლორიდაში მეტად აქტიურად ვითარდება. ამდენად სპეციალისტებისათვის ეს რეგიონი და რეგიონის ტურიზმის დარგი მუდმივად დაკვირვების და ანალიზის ობიექტია.

ტურიზმი ფლორიდაში პირველ ადგილზეა, რაშიც ხელს უწყობს მისი ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი კლიმატი, უზარმაზარი სანაპირო, ემატური პარკები, აეროპორტები სა საკრუიზო ინდუსტრიის პორტები, კულტურული ღონისძიებები და საპენსიო საზოგადოებები. 2004 წელს ფლორიდის ტურისტების რიცხვმა 76.8 მილიონს მიაღწია.

სამსახურები ფლორიდაში პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია ტურიზმთან და ყოველ წელს იზრდება ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა. 2005 წელს ფლორიდის ვიზიტორთა კვლევის ორგანიზაციამ (Florida Visitor Study) განაცხადა, რომ სახელმწიფოში შევიდა 3.7 მილიარდი აშშ. დოლარი ტურიზმის/დასვენების გაყიდვების გადასახადებიდან. 948,700 სამუშაო ადგილი იყო დაკავებული 2005 წელს ტურიზმის დარგში. მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 20% -ს შეადგენდა ტურისტული საგადასახადო შემოსავალი.

კვლევის პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მაგალითია – სამხრეთ კაროლინის მაგალითი. სამხრეთ კაროლინა ერთ-ერთი პირველი შტატია აშშ-ში, სადაც ჯერ კიდევ 2001 წელს დაინერგა ტურიზმის სატელიტური ანგარიში. სარგებლობენ ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების გამოთვლის მოწინავე მეთოდოლოგიით და ამ კუთხით დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ტერიტორიით (80.8კმ²) და მოსახლეობით (4.6 მლნ) სამხრეთ კაროლონის შტატი, თითქმის საქართველოს ტოლია. მოგზაურობა და ტურიზმი აღიარებულია შტატის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების შეფასების ტიპური, სწრაფი და მარტივი მიდგომა ეყრდნობა ტურისტული აქტივობების, ხარჯებისა და მულტიპლიკატორების განსაზღვრას. ამგვარი შეფასება შეიძლება რამდენიმე საათში შესრულდეს, არაა ძვირადღირებული და დამოკიდებულია ანალიტიკოსის გამოცდილებასა და შეხედულებებზე.

მეორე, უფრო საფუძვლიანია არგუმენტია ის, რომ ხდება სიღრმისეული და მნიშვლენოვანი შესწავლა დარგის განვითარების, აუცილებელი პირველადი მონაცემების შეგროვება ვიზიტიორთა რაოდენობის, ვიზიტორთა ხარჯების შესახებ. შემდეგ ამ დანახარჯების შედარება ოფიციალური ეკონომიკური მოდელის შეფასებებთან. რეგიონული ეკონომიკური მოდელებიდან ყველაზე გავრცელებულია დანახარჯები – გამოშვების მოდელი (Input-Output ანუ I/O Model). იგი წარმოადგენს მათემატიკურ მოდელს, რომელიც აღწერს რეგიონის ეკონომიკაში სექტორებს შორის ფულის ნაკადების გადადინებას. ფულის ნაკადის პროგნოზირება ხდება იმის მიხედვით, თუ რისი შესყიდვა სჭირდება თითოეულ სექტორს სხვა ინდუსტრიებისაგან, იმისათვის, რომ აწარმოოს ერთი დოლარის ღირებულების ნაწარმი. დანახარჯები-გამოშვების მოდელი ასევე განსაზღვრავს გაყიდვების მოცულობას, რომელიც მიმართულია სარგოსა და ხელფასებზე, მესაკუთრეთა შემოსავლებსა და გადასახადებზე. ამ მოდელის მიხედვით მულტიპლიკატორების გაანგარიშება ხდება რეგიონში ხარჯების რეცირკულაციის შეფასების საფუძველზე. ექსპორტი და იმპორტი განისაზღვრება მოსახლეობისა და ფირმების მიერ ადგილობრივი წყაროებიდან საქონლისა და მომსახურების შესყიდვისადმი მიდრეკილების შეფასების საფუძველზე. რეგიონის მულტიპლიკატორი მაჩვენებლები უფრო მაღალია თუ რეგიონი უზრუნველყოფილია საკუთარი საქონლით და მომსახურებებით.

სამხრეთ კაროლინის შტატში სარგებლობენ MI_REC/IMPLAN სისტემით (Micro-Implan Receation Economic Impact Estimation System). ეს სისტემა შემუშავებულია მიჩიგანის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარების სტინსის და პროპსტის (Stynes and Propst,1992) მიერ. სისტემა წარმოადგენს რეკრეაციისა და ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების შეფასების მიკრო-კომპიუტერულ სისტემას. ამ მოდელით გამოთვლილია ტურიზმის შენატანი ქვეყნის ეკონომიკურშემოსავლებში. სამხრეთ კაროლინის მაგალითზე მოცემულია შემდეგი მონაცემები: 2010 წელს ტურიზმის უშუალო (პირდაპირმა) შენატანმა შტატის ეკონომიკაში შეადგინა 9,710 მლრდ დოლარი, ანუ მთელი ეკონომიკის 3%, ხოლო მთლიანმა (პირდაპირმა, არაპირდაპირმა და ინდუცირებულმა) შენატანმა 17,039 მლრდ დოლარი, ანუ მთელი ეკონომიკის 6%. ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 2010 წლისათვის სამხრეთ კაროლინაში შეადგინა 107 ათასი ადამიანი, რაც საერთო დასაქმების 6%-ია. დასაქმებულთა რაოდენობამ 160 ათასს მიაღწია, რამაც საერთო დასაქმების 9,2% შეადგინა. ტურიზმში დასაქამებულთა უდიდესი ნაწილი მოდის სურსათითა და სასმელით მომსახურების სექტორზე, რომელშიც 54 ათასი ადამიანია დასაქმებული, ანუ ტურიზმში მთლიანად დასაქმების 51%. 21 ათასი ადამიანია დასაქმებული განთავსების სექტორში, რაც საერთო დასაქმების 19,7% შეადგენს. 2010 წელს სარგოსა და ხელფასების სახით ტურიზმში გაცემულია 2,768 მლრდ დოლარი, ხოლო არაპირდაპირი და ინდუცირებული ეფექტის გათვალისწინებით-4,912 მლრდ დოლარი.

სამხრეთ კაროლინის შტატში დანერგილი სისტემის გამოყენება მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს ტურიზმის დარგის შეფასებასა და ეკონომიკური ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვას. შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება საქართველოში დარგობრივი მართვის ორგანოებს. ის აჩვენებს მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკურ პარამეტრებს, ეროვნულ ეკონომიკაში მისი შენატანის ზუსტად დადგენას, ასევე ეკონომიკურ პოლიტიკისა და ეროვნული ტურიზმის განვითარების გეგმების შემუშავებას და პროექტის განხორციელების პროცესში კორექტირების შეტანას. მეთოდოლოგია კერძო სექტორსაც გამოადგება. ეკონომიკურ პარამეტრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინვესტიცირების მოზიდვის შესახებ გადაწყვეტილების შემუშავებაში.

საქართველოში ტურიზმის განვითარება ბოლო წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის კარგად შეფასებული ამ დარგის როლი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში.საქართველოში ტურიზმის კვლევის მიმართულებით არსებული ბევრი პრობლემა იყო და არის: ეროვნულ ტურიზმში არსებული ვითარების შესწავლამ და მისი როლის დადგენის მცდელობამ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში ბევრი პრობლემა გამოავლინა. მიუხედავად საქართველოს წარმატებებისა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის რეიტინგებში, ქვეყნის ტურიზმის სექტორი საერთა-

შორისო არენაზე არც თუ ისე მიმზიდველად გამოიყურება. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მსოფლიო მოგზაურობის, ტურიზმის საბჭოსა (World Travel and Tourism Council – WTTC) და Oxford Economics ყოველწლიურ ანგარიშებში, საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდიკატორები საერთოდ არ ქვეყნდება, ამ მონაცემთა არარსებების გამო. პრაქტიკულად შეუძლებელია ტურიზმის ხვედრითი წილის დადგენა ეროვნულ ეკონომიკაში, ადრე არ აღირიცხება მოთხოვნა მოგზაურობაზე და ტურისტულ პროდუქტზე. ეკონომიკური პარამეტრების შეფასების რაიმე მეთოდოლოგია არ არსებობდა საქართველოში. გაურკვეველი ვითარება იყო მომსახურების ექსპორტის, საერთაშორისო ტურიზმში ექსპორტ–იმპორტის ბალანსის და სხვა საკითხებში. მხოლოდ ქვეყანაში შემომსვლელთა რაოდენობის არღიცხვა წარმოდგენას ვერ ქმნის მის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე.

ტურიზმის სატელიტური ანგარიში (Tourism Satellite Account–TSA), რომლის გარეშეც შეუძლებელია მოგზაურობისა და ტურიზმის რეალური ეკონომიკური მონაცემების დადგენა, საქართველოში არ იყო დანერგილი. ეს ანგარიში რეკომენდირებულია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ 2000 წელს და დანერგილია მსოფლიოს 200–მდე ქვეყანაში. ტურიზმი მნიშვნელოვანი როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, სამუშაო ადგილების და პოზიტიური გარე ფაქტორების შექმნაში, რაც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტივობებზე. ამიტომ აუცილებელია: ქვეყანაში მოწესრიგდეს ტურიზმის სტატისტიკა და დაინერგოს ტურიზმის სატელიტური ანგარიში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად; საქართველოში დაინერგოს დანახარჯები–გამოშვების მოდელი ტურიზმის ეკონომიკური ანალიზისათვის. ძალიან კარგი იქნება თუ მოხდება MI_REC / IMPLAN სისტემის ადაპტირება; დაინერგოს „მოგზაურობის ეკონომიკური ზემოქმედების მოდელი“ (Travel Economic Impact Model–TEIM). რომელიც დარგობრივი მართვის ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს შეაფასონ საქართველოს მოსახლეობის ტურისტული აქტივობის ეკონომიკური ზემოქმედება ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკაზე.

ამრიგად, ტურიზმის დარგის ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების ანალიზი ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ის აფასებს ტურისტული საქმიანობის შენატანს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური ზემოქმედების ანალიზი ავლენს ეკონომიკურ სექტორებს შორის ურთიერთკავშირს და იძლევა შეფასებებს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. თოქმაზიშვილი (2017). „გლობალიზაცია და ბიზნესი“, №3;
2. მაია მარგველაშვილი (2011). „ამერიკული გამოცდილება ქართული ტურიზმის განვითარებისათვის „–Economic Value of Domestic Travel and its Estimation Methodology;
3. მე–3 საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ (2012). კონფერენციის მასალები, „ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების შესწავლის ეტაპები“, „ტურიზმის ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა და სახეები“, ბათუმი, გვ–48–53;
4. Mark A. Bonn, Julie Harrington (2008). „A comparison of three economic impact models for applied hospitality and tourism research“ Tourism Economics, 14(4), 769-789;
5. Stynes, D.J. (1999). „Guidelines for Measuring Visitor Spending, Michigan Tourism Economic ImpactModel“;
6. Archer, B.H. (1984). „Economic impact: misleading multiplier , Annals of Tourism Research“, Vol 11,No 3, pp 517–518;
7. Ryan, C. (2003). „The economic impacts of tourism', in Recreational Tourism: Demand and Impacts,Aspects of Tourism, Second Edition, Multilingual Matters“Channel View Publications, Clevedon, pp 148–196;
8. Connecticut Center for Economic Analysis (CCEA);
9. „The 2001 economic impact of Connecticut'stravel and tourism industry“, Report, Connecticut Center for Economic Analysis, Universityof Connecticut, Storrs, CT;
10. Rickman, D.S., and Schwer, R.K. (1995). „Multiplier comparisons of IMPLAN and REMI acrossversions: illuminating black boxes“, Environment and Planning A, Vol 26, pp 143–151;
11. Rickman, D.S., and Schwer, R.K. (1993). „A systematic comparison of the REMI and IMPLANmodels: the case of Southern Nevada“, Review of Regional Studies, Vol 23, pp 143-161;
12. Crihfield, J.B., and Campbell, H.S. Jr (1992). „Evaluating alternative regional planning models“,Growth and Change, Vol 23, pp 521–530;
13. Deller, S.C. (1992). „A consistent cross-analysis of two regional economic modeling systems: acomparison of REMI and IMPLAN“ Working Paper, Department of Agricultural and ResourceEconomics, University of Maine, Orono, ME;
14. Visit Florida, (2005). Inc , Department of Marketing and Statistics, Tallahassee, FL.;
15. Baker, K., and Aydin, N. (2005). „Special report by the Florida TaxWatch Center for Tourism“, inThe Impact of Tourism on Florida's Economy: Telling a More Complete Story, Florida TaxWatch Report,Tallahassee, FL.

TOURISM SECTOR AND ITS IMPACT MODELS FOR EVALUATING REGION'S ECONOMICS

MIRANDA GAVASHELI
PhD student at St.Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia, Georgia
mikogavasheli@yahoo.com

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.043

KEYWORDS: TOURISM, REGIONAL ECONOMICS, ECONOMIC IMPACT MODEL

SUMMARY

Tourism plays an important role in human life and in the world economy. It is developing very rapidly and is one of the most profitable spheres in business.

The development of tourism industry in small countries is of great importance. It contributes to the peaceful development of the country, creating jobs and increasing income.

Researchers often have to study and evaluate the individual sectors and how they impact on region's economy. The interest in assessing tourism in economics is very high and important.

The influence of tourism on economics are often evaluating by economic impact models, such as Capacity Utilization Model-CUM, regional economic model-REMI, and Impact analysis for planning-IMPLAN. The use of such a model is of great importance to small countries, as the more becomes to study about the development of the sector, the relationship between the economic sectors is revealed better, and it is easier to assess the changes in the economy.

პირველადი ჯანდაცვის გამოწვევები საქართველოში

თენგიზ ვერულავა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tengiz.verulava@iliauni.edu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.044

საკვანძო სიტყვები: ოჯახის ექიმი, პირველადი ჯანდაცვა, საქართველო

შესავალი

ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ მოწყობაში პირველად ჯანდაცვას განსაკუთრებული როლი ეკისრება. „პირველადი ჯანდაცვა“ პაციენტის პირველი კონტაქტია ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებასთან. იგი ერთგვარი „მეკარიბჭეა“ ჯანდაცვის სისტემაში. პირველადი ჯანდაცვის ექიმი ახდენს დაავადების პირველად შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პაციენტს მიმართავს ექიმ-სპეციალისტებთან.

პირველადი ჯანდაცვის მეშვეობით პაციენტზე წარმოებს მიმდინარე და უწყვეტი მეთვალყურეობა. ექიმი პაციენტს ხანგრძლივად, მთელი სიცოცხლის მანძილზე აკვირდება. შედეგად, ექიმმა კარგად იცის თუ როგორ ჩამოუყალიბდა კონკრეტულ პაციენტს დაავადება, როგორ მიმდინარეობს იგი. ასეთი ცოდნა კი მას საშუალებას აძლევს მართოს დაავადება.

პირველადი ჯანდაცვის კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანია ყოვლისმომცველობა, კერძოდ, ოჯახის ექიმი ზრუნავს პაციენტის არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ და სოციალურ კეთილდღეობაზეც. ამით განსხვავდება იგი ექიმ-სპეციალისტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ დაავადებათა მკურნალობას ეწევიან.

ჯანდაცვა რთული სისტემაა. პაციენტს უძნელდება, იცოდეს, თუ რა სახის სამედიცინო სერვისები ჩაიტაროს. ამ მხრივ, პირველად ჯანდაცვას აქვს მაკოორდინირებელი ფუნქცია. ოჯახის ექიმი კოორდინაციას უწევს პაციენტების სამედიცინო მომსახურებას და გვევლინება როგორც მისი ქომაგი, მეგზური, კოორდინატორი, რომელსაც შეუძლია დაიცვას პაციენტები, დაეხმაროს მას სამედიცინო მომსახურების სწორად შერჩევაში. ექიმის კოორდინირების ფუნქციის მეშვეობით პაციენტი იღებს შესაბამის სერვისს, შესაბამის დროს და შესაბამის ადგილას (ვერულავა & სხვანი, 2017; Verulava, 2017a).

მკვლევრების აზრით, ქვეყნებში, სადაც სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია პირველადი ჯანდაცვის მოდელზეა ორიენტირებული, მაღალია ჯანდაცვის სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა დაკმაყოფილება, მეტად არის განვითარებული პრევენციული სერვისები, ხასიათდება ჯანმრთელობის უკეთესი მაჩვენებლებით (Starfield,1998), დაბალია ჯანდაცვის დანახარჯები (Macinko, 2003). ცხადია, რომ ბევრად ადვილი და იაფია დაავადებათა თავიდან არიდება ან მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრა, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული დაავადებების მკურნალობა (სმესც, 2005). გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის დროს პაციენტი ცდილობს, თავიდან აიცილოს ძვირადღირებულ ჰოსპიტალურ მკურნალობასთან და მაღალტექნოლოგიურ ჩარევებთან დაკავშირებული ხარჯები (Verulava, 2017b).

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის ნაკლებ განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2.3-ს შეადგენს (ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს). პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გვერდის, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმკურნალობას. შედეგად, კატასტროფულად მაღალია ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი (დაახლოებით 40%, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 10-15%-ს აღწევს).

ოჯახის ექიმის ინსტიტუტის დაბალი განვითარების მიზეზია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისადმი დაბალი ნდობა, ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის კულტურის არარსებობა (ვერულავა, 2015ა). ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჯანდაცვა ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყნებში (ვერულავა, 2016). ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ჯანდაცვის სამინისტრო პირველადი ჯანდაცვის რგოლის რეფორმას გეგმავს, რაც ოჯახის ექიმის როლის გაძლიერებას და სამედიცინო საჭიროებების უფრო ეფექტიან მართვას გულისხმობს.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმა უპირველესად უნდა ითვალისწინებდეს ოჯახისექიმის ინსტიტუტის განვითარებას. ამისათვის საჭიროა ოჯახის ექიმების უწყვეტისამედიცინო განათლების ხელშეწყობა, პირველადი ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური გეოგრაფიული განაწილება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, შრომის ნორმალური ანაზღაურების უზრუნველყოფა.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმირებისთვის აუცილებელი ნაბიჯები.

რეფორმირების საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ორგანიზაციული ფორმები. მრავალი ქვეყნის გამოცდილებით, პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციული ფორმებია:

- ოჯახის ექიმის ინდივიდუალური საექიმო პრაქტიკა;
- საოჯახო მედიცინის ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია რამოდენიმე ოჯახის ექიმით;
- ამბულატორიული კლინიკა ან საავადმყოფოების ამბულატორიული განყოფილება, სადაც ერთდროულად ფუნქციონირებს რამოდენიმე სვადასხვა პროფილის სპეციალისტი.

ოჯახის ექიმები უფრო მეტად დამოუკიდებელ პრაქტიკოს ექიმებს წარმოადგენენ, რომლებიც მედდებთან ერთად ქმნიან ერთ გუნდს. მათ საკუთარი ოფისები და საბანკო ანგარიში აქვთ, სადაც ერიცხებათ კუთვნილი ანაზღაურება. საჭიროა ასეთი სქემის განვითარების სტიმულირება. აღნიშნული არ გულისხმობს ამბულატორია-პოლიკლინიკების როლის დაქვეითებას, არამედ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციული სქემების მხარდაჭერას. პაციენტებს უნდა მიეცეთ არა მარტო ოჯახის ექიმების, არამედ პირველადი ჯანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციულ სქემებს შორის თავისუფალი არჩევის უფლება. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც ოჯახის ექიმთა, ასევე პირველადი ჯანდაცვის სხვადასხვა ორგანიზაციულ სქემებს შორის კონკურენციას, რაც, თავისმხრივ, გაზრდის სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმ ვერ განხორციელდება სათანადო განათლების ოჯახის ექიმის/ექთნის გარეშე. ამისათვის საჭიროა პერსონალის პროფესიული მომზადების დონის ამაღლება. ამმხრივ, ქვეყანაში არსებობენ საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრები, სადაც ხდება ოჯახის ექიმის/ექთნის გადამზადება. თუმცა, ისინი უმეტესწილად ფასიანია და ხშირად მასზე ფინანსური ხელმისაწვდომობა დაბალია (ვერულავა, 2015ბ).

სახელმწიფომ, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით შესაფერისი კვალიფიკაციის პირველადი ჯანდაცვის ადამიანური რესურსების საჭირო სიმძლავრის განვითარება (ვერულავა, 2015გ). ასევე, უნდახდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ოჯახის ექიმების უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა.

რეფორმა მიმართული უნდა იყოს პირველადი ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გასაუმჯობესებლად. პირველადი ჯანდაცვისათვის აუცილებელი ფიზიკური ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა მისი ფუნქციონირების თავისებურებებს და პაციენტების საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს. ამ მხრივ, აუცილებელია ჯანდაცვის სამინისტროს დონეზე განისაზღვროს პჯდ მომსახურების მიმწოდებლების ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის მიმართ მინიმალური მოთხოვნები, ერთი ოჯახის ექიმის ფუნქციონირებისთვის საჭირო მინიმალური ფართი.

აუცილებელია, არსებული ქსელის დეტალური შესწავლა და ანალიზი, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მდებარეობის და სამედიცინო პერსონალის თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა.

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მდებარეობა განისაზღვრება სამედიცინო მომსახურებაზე ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის დაცვის პრინციპით, რაც გულისხმობს სერვისების 15-წუთიანი ხელმისაწვდომობის ზონაში მიღების შესაძლებლობას. იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ცხოვრობე ნმთებში, ან სოფლებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის მობილურიგუნდების შექმნა, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით უახლოესი საოჯახო მედიცინის ცენტრიდან ადგილებზე პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას გაწევენ. ამ მხრივ, ჩამოყალიბდება სოფლად ერთგუნდიანი, ხოლო რაიონულ ცენტრებსა და დიდ ქალაქებში ერთი და მრავალგუნდიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელი. სამიზნე მოსახლეობასთან პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლების თანაფარდობის გათვალისწინებით (1 ექიმი 2000 მოსახლეზე), საქართველოში საჭიროა 2000-2200 ოჯახის ექიმი, და 2300-2500 ზოგადი პრაქტიკის ექთანი. რეფორმის შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილია ექიმი-ექთნის თანაფარდობის გაზრდა. მცირედ დასახლებულ მაღალმთიან ადგილებში 250-1000 მოსახლეზე მიზანშეწონილია 1 ექთანი. 1000-2000 მოსახლეზე ერთი საოჯახო მედიცინის გუნდი (1 ექიმი, ერთიექთანი). დამატებითი პირველადი ჯანდაცვის გუნდი ემატება 1000-2000 მოსახლეზე.

პირველადი ჯანდაცვა ინტერსექტორული ფრაგმენტაციის დაძლევის და სამედიცინო მომსახურების ინტეგრაციის ეფექტური საშუალებაა. ვერტიკალური სახელმწიფო პროგრამების (ტუბერკულოზი, შიდსი...) მართვა არასაკმარისადაა კოორდინირებული. შედეგად, ხშირია საქმიანობის დუბლირება, რესურსების არაეფექტური გამოყენება, ხარჯების ზრდა. ამისათვის საჭიროა ვერტიკალური სახელმწიფო პროგრამების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის დონეზე და მათი შეთანხმებული მუშაობა. ინტეგრაცია ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების უფრო ხარჯთ-ეფექტურად გაწევას.

პირველადი ჯანდაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარების, კომპიუტერულ-პროგრამული უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საინფორმაციო სისტემა კონფიდენციალურობის დაცვით სრულად უნდა იძლეოდეს პაციენტის შესახებ კლინიკურ ინფორმაციას (პაციენტის ისტორია). მონაცემთა მოპოვების საფუძვლად განისაზღვრება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სააღრიცხვო და საანგარიშგებოფორმები.

ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის შრომის ნორმალური ანაზღაურების უზრუნველყოფა. დღეისათვის, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, ოჯახის ექიმის ანაზღაურება ხდება მასთან აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით. თითოეულ ბენეფიციარზე პროგრამას ყოველთვიურად გამოყოფილი აქვს 1,93 ლარი, რომელიც პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებას ერიცხება. სამედიცინო დაწესებულება კი ოჯახის ექიმს ამ თანხის 10-12%-ით აფინანსებს. შესაბამისად, იგი ხელზე საშუალოდ 19-20 თეთრს იღებს, ექთანი კი ამისნახევარს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთ ოჯახის ექიმთან დაახლოებით 2000 ბენეფიციარია რეგისტრირებული, მისი ყოველთვიური ხელზე ასაღები ხელფასი 400, ექთნის კი 200 ლარი გამოდის. ცხადია, ასეთი ანაზღაურებით ოჯახის ექიმის ინსტიტუტი ვერ განვითარდება. ოჯახის ექიმის ინსტიტუტი პრესტიჟული რომ გახდეს, აუცილებელია, სამედიცინო პერსონალის სათანადო ანაზღაურება.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის ანაზღაურების კომბინირებული მეთოდების დანერგვა, რაც გულისხმობს სულადობრივი მეთოდის გარდა ანაზღაურების სხვა მეთოდით დაფინანსებას (გაწეული მომსახურების მიხედვით, მიზნობრივ ანზღაურება და ა.შ.). ბრიტანეთის ოჯახის ექიმის დაფინანსება დამოკიდებულია არა მარტო მასთან რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობაზე, არამედ თუ როგორ მუშაობს იგი. ამ შემთხვევაში ექიმები დაინტერესებული არიან გააფართოვონ დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურების სპექტრი, უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების უწყვეტობა, წახალისებულია სოფ–ლად მუშაობა. განსაკუთრებით ყურადსაღებია ექიმების სტიმულირებადი ანაზღაურების მეთოდები ბენეფიციარებზე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად. ექიმის დაფინანსების მეთოდი წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისების ეფექტურად განხორციელების ერთ–ერთ მთავარ ბერკეტს.

პირველადი ჯანდაცვა სისტემის ფუნდამენტია, რომ–ლის გარეშე შეუძლებელია რაიმეს აშენება. პირველადი ჯანდაცვის გამართულ სისტემაზე მნიშვნელოვნადაა დამო–კიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სერვი–სებისადმი ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვაზე გამოყოფილი მწირი სახსრების ეფექტური ხარჯვა.

ლიტერატურა:

1. Macinko J et al (2003). The contribution of primary care systems to health outcomes within Organization for Economic Cooperation and Development (OECD) countries, 1970-1998. Health Serv Res.

2. Verulava, T., Maglakelidze, T., Jorbenadze, R. (2017a) Hospitalization Timeliness of Patients with Myocardial Infarction. Eastern Journal of Medicine, 22 (3): 103-109.

3. Verulava, T., Jincharadze, N., Jorbenadze, R. (2017b). Role of Primary Health Care in Re-hospitalization of Patients with Heart Failure. Georgian Medical News, 264 (3): 135-139.

4. საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი – სმესც (2005). პირველადი ჯანდაცვის არსი, ფილოსოფია და როლი. მომიჯნავე სპეციალობის ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამა.

5. Starfield B. (1998). Primary Care. New York, NY: Oxford University Press; 1998.

6. ვერულავა, თ. (2015ა). პირველადი ჯანდაცვა სისტემის საძირკველია. ჟურნალი “ლიბერალი”. 17.07.

7. ვერულავა, თ. (2015ბ). პირველადი ჯანდაცვის რეფორმისთვის გასატარებელი პოლიტიკის პირველი ნაბიჯები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). საქართველო.

8. ვერულავა, თ., ბეჭვაია, ჯ. (2015გ). სამედიცინო პერსონალის სამეცნიერო — ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში. სამართალი და ეკონომიკა (6), 74–86.

9. ვერულავა, თ. (2016). ჯანდაცვის პოლიტიკა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

10. ვერულავა, თ., ასრათაშვილი, ა., ქაფიანიძე, შ., წიქორიძე, თ., მინდიაშვილი, ს. (2017). პირველადი ჯანდაცვის ექთნების როლი გულის უკმარისობის პაციენტების ინფორმირებულობის ამაღლებაში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 3. ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი, 69–73.

CHALLENGES AND PROBLEM IN PRIMARY HEALTH CARE IN GEORGIA

TENGIZ VERULAVA
Academic Doctor of Medicine,
Ilia State University, Georgia
tengiz.verulava@iliauni.edu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.044

KEYWORDS: FAMILY DOCTOR, PRIMARY HEALTHCARE, GEORGIA

SUMMARY

Primary health care has an important role in the organizational arrangement of health care system. Without a fundament of primary health care system it is impossible to build anything. The primary health care system reflects on the quality population health, the availability of health services and the cost of spending on the health care. The family doctor›s institute and primary health care system in Georgia have not been developed with regarding international standards. The lack of primary care system in Georgia indicates that the referral to outpatient medical facilities is considerably lower than the European countries. The reason for this is the lack of confidence in primary care institutions and the absence of comprehencive primary health care system in the country. It is nessesery to develop a family doctor›s institute in Georgia. This requires the promotion of continuous medical education of family doctors, optimal geographical distribution of primary health care institutions.

რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“

ინგლისური ტექსტის კორექტორი: **ნინო ქერაშვილი**

დაკაბადონება: **ნიკა ხვედელიძე**

გარეკანის დიზაინი: **ლიზა ჯალაღონია**

თბილისი, 0141, დ. გურამიშვილის გამზ. №76

ტელეფონი: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

ფაქსი: (+995 032) 214 35 83

ელ-ფოსტა: info@eugb.ge

გამომცემლობა „საუნჯე“

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL GLOBALIZATION & BUSINESS

Proof-reader of English text: **Nino Kerashvili**

Page Make-up: **Nika Khvedelidze**

Cover Design: **Liza Jalaghonia**

76 D. Guramishvili ave,Tbilisi, 0141, Georgia

Phone: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

Fax: (+995 032) 214 35 83

E-mail: info@eugb.ge

„Saunje“ Publishing House

PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

saungeo@gmail.com

facebook.com/saunje publishing

Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88

